საქართველოს მ.რუსთაველის სახელობის სახელმწიფო
თეატრალური ინსტიტუტი

ქართული რეჟისურის საკითხები

I (შრომათა კრებული)

თბილისი
1983

УДК 792.02 (С 922)

ქართული რეჟისურის საკითხები

ქართული რეჟისურის საკითხები.-
სამეცნიერო შრომების კრებული - თბ.,
შ.რუსთაველის სახ.სახელმწიფო თეატრალური
ინსტიტუტი, 1983, გვ.231

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული - ქართული რეჟისურის საკითხები, შ.რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით სექტორში 14 წლის მანძილზე რეჟისურის საკითხებზე არსებული მასალების საფუძველზეა შედგენილი. წარმოდგენილი შრომები მკითხველ-სათვის საინტერესო იქნება ცალკეული კვლევა-ძიებითა და კრიტიკით.

შრომების კრებული აგებულია საბჭოთა თეატრმცოდნეობის მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე და შედგენილია ხელოვნებათმცოდნეობის ამ დარგის მიღწევების გათვალისწინებით.

კრებული გამოსაცემად მოამზადეს: ე. ჯაფარიძემ, ჯ. იოსელიანმა, მ. გიგინეიშვილმა, ნ. ფურცელაძემ

სარედაქციო კოლეგია:
რედაქტორი ვახტანგ ქელიძე /ფილოსოფიურ მეცნ.კანდ./

სარედაქციო კოლეგია: ე.ნ. გაგუშვილი /ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი/, ე.პ.კიკნაძე /ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი/, დ.ს.ჯანელიძე /ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი/

შ.რუსთაველის სახ.სახელმწიფო თეატრალური
ინსტიტუტი.
1983.

წინასიტყვაობა

რეჟისურა თეატრში, დღესდღეობით, კოლექტიური შემოქმედების წარმმართველი და ხელმძღვანელია. იგი მსახიობთა დასის იდეურ-მხატვრული მიმართულების გამგებ და დამდგენ შემოქმედად არის აღიარებული. რეჟისურა, მრავალი დარგის ხელოვანთა ოსტატობის სინთეზირებისა და ტექნიკის მარჯვე გამოყენების გზით ქმნის ჰარმონიულ მთლიანობაში ორიგინალურ სასცენო ნაწარმოებს.

საბჭოთა თეატრის რეჟისურამ თავი ისახელა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნით. საბჭოთა რეჟისურა თეატრის შემოქმედებას ისე წარმართავს, რომ სცენა ნამდვილად იყოს პარტიულობის, ხალხურობის გამომხატველი, ადამიანის იდეური და მშვენიერი სულიერების მძლავრი საშუალება. საბჭოთა რეჟისურის წინამძღოლობით სასცენო შემოქმედება, ეროვნული მხატვრული გამოცდილების ათვისებით ეროვნულ ნიადაგზე იზრდება. ამასთანავე, საბჭოთა რეჟისურის ნოვატორობა შეხამებულია სოციალისტური ერების ურთიერთდაკავშირის, ურთიერთგამდიდრების პროცესთან, მსოფლიო თეატრალური კულტურის პროგრესული ტრადიციების გამოყენებასა და განვითარებასთან. ამ შემთხვევაში არამარტო სახელმოხვეჭილი თეატრების ბრწყინვალე დადგმები იგულისხმება, არამედ მსახიობის აღზრდის სტანისლავსკის სისტემა და რეჟისორული შემოქმედების მრავალსახეობა, რაც სტანისლავსკის, ნემიროვიჩ-დანჩენკოს, მარჯანიშვილის, ვახტანგოვის, მეიერჰოლდის, ახმეტელის, თაიროვის, კურბასის, [illegible] და სხვა რიგ თანამედროვე რეჟისორთა მხატვრულ პრაქტიკაშია არის წარმოდგენილი.

საბჭოთა რეჟისურის შემოქმედებაში მხატვრული ფორმების, სტილისა და ჟანრის მრავალფეროვნებისათვის დიდი გასაქანი ეძლევა პირად შემოქმედებით ინიციატივას. საბჭოთა რეჟისურა თავდადებით

ემსახურება სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების ჰუმანური იდეებ-ის დამკვიდრებას, მასების პარტიული აღზრდას.

ზემონათქვამი გამომდინარეობს რეჟისურის დიდოსტატთა შემოქ-მედების განზოგადებით წარმოდგენისგან; რასაკვირველია, ყოველივე ეს არ მიესადაგება ზუსტად თითოეული რეჟისორის თეატრში ქმედობას, თუმცა ისინი იძლევიან ზოგჯერ ისეთივე უფლებებს, რაც მხოლოდ მა-ღალნიჭიერ ხელოვანთათვის არის უპრიანი. ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ თეატრში რეჟისურის ადგილის, როლისა და მნიშვნელობის დღევანდელი ვითარება სრულიადაც არ არის უცვლელი და ამის მინიშ-ნებანი უკვე თავს იჩენენ.

რეჟისურის ხელოვნება დღესდღეობით იმდენად დაწინაურებული და ამაღლებულია, რომ მისი შემოქმედებითი გამოცდილება, მისი ის-ტორია და თეორია თეატრმცოდნეობისგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მით უმეტეს, ეს ითქმის ქართულ თეატრმცოდნეობაზე, რამ-დენადაც ქართული საბჭოთა რეჟისურის მიღწევებმა მსოფლიო აღიარე-ბა ჰპოვეს. ამის გამოა, რომ საქართველოს შ. რუსთაველის სახელო-ბის თეატრალური ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით სექტორში, მისი არსებობის 14 წლის მანძილზე რეჟისურის საკითხებზე არა ერთი და ორი ნარკვევი დაიწერა, რამაც მოგვცა წინამდებარე კრებულის შედგენის შესაძლებლობა. მანვე განაპირობა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ტომების გა-მოცემა.

ეს კრებული სამეცნიერო-კვლევით სექტორში დაგროვილი მასა-ლებისგან არის შედგენილი; ცხადია, მას რეჟისორული ხელოვნების პრობლემების ამომწურავი გაშუქების პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ აქ წარმოდგენილი კვლევა-ძიე-ბითი და კრიტიკული ცდები, მკითხველთა ინტერესს არ იქნება მოკ

ლებული.

წინამდებარე კრებული აგებულია საბჭოთა მეცნიერების თეორიული საფუძვლებზე და შეგნებულია ხელოვნებათმცოდნეობის ამ დარგის მიღწევების გათვალისწინებით. აქტორებს და არ დაუკლიათ, რომ წამოჭრილი საკითხების ისტორიული, თეორიული გაშუქება, შემოქმედების ფსიქოლოგიის თვალსაზრისით საკითხების კანონიერება შეხამებული ყოფილიყო თანამედროვე სოციოლოგიურ და ესთეტიკურ მოთხოვნილებასთან, ნაყოფიერ შეხედულებები ახლებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებასთან. შესაძლოა, მთელ რიგ კონკრეტულ სახელოვნო მოვლენების წარმოსახვასა და გაანალიზებაში ბევრია ინდივიდუალური მიდგომის, გემოვნებისა და მიმართების გამო, მაგრამ ამ სადავო და საკამათო აღმოჩნდება. ამას ჩვენ ვერსად ვაუვალთ, პირიქით – ეს ღირებული იქნება, რამდენადაც ხელოვნების გმირ ჭეშმარიტება გმას გაიკვლევს.

მადლიერების გრძნობით მივიღებთ სპეციალისტებისა და თეატრით დაინტერესებულ მკითხველის ყოველ შენიშვნას და რჩევას შემდგომი კრებულების სრულყოფისათვის.

დ. კანელიძე

ნინელი ჭაჭანიძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო სექტორის ხელმძღვანელი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე

შექსპირის "ჰამლეტი" კ. მარჯანიშვილის დადგმით[1]

გამოკვლევის ამ ნაკვეთში განვიხილავთ 1925 წელს რუსთაველის თეატრის სცენაზე კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ შ. შექსპირის "ჰამლეტის" მეორე მოქმედებას, რომელმაც განსაკუთრებით დიდი ცვლილება განიცადა. მარჯანიშვილმა სრულიად უკუაგდო პირველი სურათის დასაწყისი - პოლონიუსისა და რეინალდოს დიალოგი. დატოვა მეორე სცენა /პოლონიუსისა და ოფელიას დიალოგი/, მაგრამ წინ წაუმძღვარა მესამე მოქმედებიდან მეორეს დასაწყისში გადმოტანილი "ყოფნა - არყოფნის" მონოლოგი, თანაც ამ მონოლოგს შეუერთა მეორე მოქმედებიდან ჰამლეტის დამამთავრებელი მონოლოგი "სწორედ მონა ვარ". შემდეგ აქას მოაყოლა ისევ მესამე მოქმედებიდან გადმოტანილი მეფის ლოცვა, ჰამლეტის შემოსვლა სამლოცველოში და მისი მონოლოგიდან ამოღებული ნაწყვეტი და მესამე მოქმედებიდან მეორეში გადმოტანილი ჰამლეტისა და ოფელიას დიალოგი. შეცვლილია პირველი სურათის დაბოლოებაც. მესამე მოქმედებიდან სურათის დამაბოლოებელ მონოლოგად მესამე მოქმედებიდან გადმოტანილია ოფელიას მონოლოგი "ოჰ, რა დიდებულ გონებასა ეწია ბნელი". პირველი სურათის 133 სტრიქონიდან მარჯანიშვილმა დატოვა 44 სტრიქონი /33%/, ტექსტის ერთ მესამედზე ცოტა მეტი, ხოლო ორი მესამედი /67%/ ამოშალა და მის ნაცვლად მესამე მოქმედებიდან მეორეში გადმოიტანა 105 სტრიქონი.

---

[1] იხ. "თეატრმცოდნეობითი ძიებანი", გ. 11. პირველი მოქმედება.

რაკი მარჯანიშვილმა პირველი მოქმედებიდან ამოშალა ნორ-ვეგიის მეფესთან ელჩების წარგზავნის სცენა, ამას სრულიად ლო-გიკურად მოჰყვა მეორე მოქმედების პირველი სურათიდან ნორვეგი-იდან დაბრუნებული ელჩების თხრობის ამოღებაც. მეორე მოქმედება, ნაცვლად დამამთავრებელი ჰამლეტის მონოლოგისა "სწორედ მონა ვარ", მარჯანიშვილმა დაასრულა მესამე მოქმედებიდან გადმოტა-ნილი ჰამლეტისა და ჰორაციოს დიალოგით. თანაც, მოკლედ მა-რჯანიშვილმა ტექსტი შეამცირა და შეკუმშა.

მეორე მოქმედების შექსპირისეული ტექსტი, უმეტეს წილად, თხრობითია /ელჩების თხრობა, პოლონიუსის თხრობა ჰამლეტისა და ოფელიას სიყვარულზე, მსახიობებისაგან მონოლოგების კითხვა და სხვ./, რაც ძლიერ ანელებს ქმედით ხაზს და უკარგავს დინამიკუ-რობას. პირველი სურათი, მაგალითად, ერთიანადაა აცილებული ჰამლეტს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოფელიას თხრობას ჰამ-ლეტის შესახებ.

მარჯანიშვილის სარეჟისორო გეგმით გათვალისწინებულმა ტექსტის გადაადგილებამ და შეკვეცა-შეკუმშვამ მეორე მოქმედე-ბის პირველი სურათის ცენტრში ისევ ჰამლეტი მოაქცია. რაკი სალოცველში ჰამლეტი /უშ. ჩხეიძე/ ხელმწიფესთან /აკ. ვასაძე/ შეპირისპირებით მოექცა, კონფლიქტიც გამწვავდა და სურათიც ქმედითი გახდა. მეორე სურათიდან ელჩების თხრობითი სცენის ამოღებამ, თხრობითი სცენების შეკვეცამ, მოქმედების დამამთა-ვრებელ სცენად "სათაგურის" თაობაზე ჰამლეტისა და ჰორაციოს კონსპირირების ჩასმამ, მთელ მეორე მოქმედებას, საკვანძოსა-თვის აუცილებელი ქმედით-რიტმის გამართვას დასაყრდენი შექმნა და მთლიანობაში კარგად მოქმედებაც უფრო მიზანსწრაფულად გაშ-ლილიყო.

"ჰამლეტი", შექსპირის 105-ე სონეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ერთზე, ერთისთვის, ერთის გამო შექმნილი ქებაა" და მიტომაც მარკანიშვილის სარეჟისორო პარტიტურიდან გეგმით მეორე მოქმედებაც ჰამლეტ-ჩხეიძეზე, ჰამლეტ-ჩხეიძისათვის, ჰამლეტ-ჩხეიძის გამო დაიდგა და აეწყო. მარკანიშვილს ერთხელ შეეკითხნენ: რა უნდა იღონის რეჟისორმა, რომ ერთმა აქტიორმა არ გაიტაცოს საზოგადოება და, თანაც, დასაბუთებია თუ არა ეს თეატრში. მარკანიშვილმა უპასუხა: "ეს დამოკიდებულია პიესაზე, თუ ყველაფერი აგებულია ერთ როლზე, – დასაბუთებია"[1]. "ჰამლეტი" მარკანიშვილისათვის უპირატესად ერთ როლზე, ერთ სახეზე, ჰამლეტ-ჩხეიძეზე იყო აგებული.

მარკანიშვილს სურდა თავიდან აეცილებინა სტატიკურობა, უკვე იმთავითვე მზამზარეული, სრულიად ჩამოყალიბებული სახის მოცემა, სცენიდან სცენაში, სურათიდან სურათში, მოქმედებიდან მოქმედებაში გაეშიდღიყო ჰამლეტის მხატვრულ-სცენური სახე და ამითაც იყო განპირობებული მარკანიშვილის სარეჟისორო გეგმა და ტექსტის მონტაჟი.

მარკანიშვილს უყვარდა კონკრეტულობა, მას გააჩნდა რიგების არაჩვეულებრივი გრძნობა და მოქმედების ლოგიკური თანმიმდევრობით განკითხვებაზე იყო გადაგებული. რაკი უშ. ჩხეიძის ჰამლეტს ბევრი არგუნა დროდა დაიღვეული კაბინეტის აღდგენა, ამ უმძიმესი მოვალეობის შეგნებამ იგი ყოფნა – არყოფნის ტანჯვამდე მიიყვანა. ამ ბრძოლაც პირველი მოქმედების დასასრულს წარმოჭრილი სიტყვებიდან: "დროდა კაბინეტი დაირღვა და წყვეტილა ბედმა ჩვენ რად პარგუნა მისი მეკარე"[2], მარკანიშვილისეული მონტაჟით გადასული მეორე მოქმედების დასაწყისად აირჩევდა "ყოფნა – არყოფნაზე" სო-

---

1 "კ. მარკანიშვილი რეჟისორულ ოცნების შესახებ" /მარკანიშვილის სახ. სახელმწიფო ხელოვნების სამეცნიერო კრებული, 1922-1941/ მარკანიშვილის თეატრის გამოცემა, თბ., 1939, გვ. 51.

2. შექსპირი, ტრაგედიები, თბ, 1954, ტ. I, გვ. 61.

ლად თანმიმდევრული და ბუნებრივი აღმოჩნდა. თანაც, მეორე მოქმედების ამ სულისშემძვრელი, წყვდიადის გამპობი ელვა-მონოლოგით დაწყება მარჯანიშვილს საშუალებას აძლევდა სპექტაკლი და მისი მთავარი შემსრულებელი აემაღლებინა "ფილოსოფიურ უმაღლეს ტრაგედიამდე"; მარჯანიშვილს ეწადა ამაღლებულის ამაღლება.

მარჯანიშვილმა უშ. ჩხეიძის ჰამლეტის "ყოფნა-არყოფნის" მონოლოგის წარმოსათქმელად სამლოცველო აირჩია. რატომ? – მართლაც უნდა გამოხატულიყო ჰამლეტ-ადამიანის უძლიერესი სულიერი მღელვარება, ადამიანისა, რომელიც მხარეალად მიჩნეულს განუკითხავად კი არ დაიცხრობა, არამედ ურჩევნია ჯერ სარწმუნოებას მოეთათბიროს, ამიტომაც სამლოცველოში შედის არა როგორც დოგმატიკოსი, არა როგორც სკეპტიკოსი, არამედ როგორც თავისუფალი მოაზროვნე ფიქრთაგასართველად; არა! ფიქრთაგასართველად კი არა, "ყოფნა – არყოფნის" გადასაწყვეტად. ჰამლეტი, რამდენადაც არ უნდა უსწორებდეს თავის დროსა და საუკუნეს, თვით შექსპირის ეპოქას, მაინც თავის სოციალური წრის იდეურ ატმოსფეროში სუნთქავს და ამაშია მისი ტრაგიზმის არსიც, შექსპირის რეალიზმის სიღრმეც, მარჯანიშვილის ძიებების მართებულობაც და უშ. ჩხეიძის განსახიერების სიწრფელე.

მარჯანიშვილმა რეპეტიციაზე უშ. ჩხეიძე არჩევანში შეიყვანა: ჰამლეტი ფიქრობს თავის მოკვლაზე; იგი შეიძლება სამლოცველოში შემოვარდეს კაეშნად აღგზნებული, აღმართავს ხელს "გულსა დაცემად დანისა", ანდა შევიდეს სულიერად დაცემული, სასოწარკვეთილებაქმნილი. უშანგი ჩხეიძემ რეჟისორის შემოთავაზებულთაგან მეორე ვარიანტი აირჩია!

სცენა იწყებოდა მუსიკით. ჰამლეტი შემოდიოდა ნელი ნაბიჯით, ის არავის და არაფერს ხედავდა, ფიქრებში იყო ჩაძირული, კი არ მიდიოდა, ფიქრს მიჰყვებოდა; მიაბიჯებდა გულდაჯერით,

სახეშეშლილი, მაგრამ წელგატეხილი კი არა, როგორღაც მოშარდული,
გარეგნულად თითქოს უგულისყურო – ცალ ფეხზე წინდა ჩამოხვეწილი,
მაგრამ შინაგანად მღელვარებით შეკრული.

აი, ჰამლეტი-უშანგი მუხლებზე დაეცა, მაგრამ ღმერთთან დია-
ლოგი არ შედგა, ლოცვა არ მოხერხდა. ჰამლეტი იატაკზე დაეშვა,
დიდი პაუზის შემდეგ ძირს დამჯდარი იწყებს "ყოფნა-არყოფნის" მო-
ნოლოგს. სახეობრივად ეს იმის თქმა იყო, რომ სიკვდილ-სიცოცხ-
ლის საკითხი ზეცაში კი არ წყდება, ზეცის ძალით კი არ ირკვევა,
ზეცა კი არ კარნახობს ადამიანს მის გადაწყვეტას, არამედ თვით
ადამიანმა უნდა გადაჭრას.

რა უფრო უპრიანია კაცური კაცისათვის – სულით ქმნილები-
სათვის, აიტანოს მჩაგვრელ ბედის ნესტრით გმირვა, მოითმინოს
ჟამთა სიმწარე, მძვარვალთა ჩაგვრა, შეურაცხყოფა ღირსეულის
უღირსისაგან, თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას და ბრძო-
ლაში სიკვდილს არ შეუშინდეს?!. აი, ეს იყო მარჯანიშვილისა
და უშ. ჩხეიძისათვის ამ მონოლოგის დედაარსი, დედააზრი, დედა-
აზროვანა. თვითმკვლელობას – არა! ავკაცობის, მძვარვალობის, მჩა-
გვრელ ბედის მოთმინება, ჟამთა სიმწარის ატანა, უმსგავსოებისა
და უხამსობის მოთმენა – თვითმკვლელობაა. ხოლო ავკაცობასთან,
მძვარვალობასთან, მჩაგვრელ ბედთან შერკინება სიცოცხლეა, –
ამ ბრძოლაში სიკვდილიც კი სიცოცხლეა – უკვდავებაა. აი, ეს აზ-
რი უნდა ყოფილიყო გამოხატული ამ მონოლოგით და ამიტომ დასწორ-
და მარჯანიშვილს, რომ "ყოფნა-არყოფნას" მიაბა მეორე მოქმედე-
ბის დასასრულიდან წამოღებული მონოლოგი "სწორედ მონა ვარ", რაც
მთლიანად მონური მორჩილების, ხმისჩაწყვეტის, ლაჩრობის მხილე-
ბაა: ცხადია, შექსპირისეული ტექსტის ასეთი გააზრების შთა-
მაგონებელი უნდა ყოფილიყო სიკვდილ-სიცოცხლის ისეთი გაგება
და გააზრება, რაც შექსპირზე ოთხი საუკუნით ადრე მოგვცა რუს-

დავეღმა ავთანდილის ანდერძში:

რა უარია, მაძაცსა, ომშიგან პირის მბზეკელსა,
წელრეკილ შეშინებულსა და სიკვდილსა მშეკველსა!
სჯობს სამელისა მიხვეჭა ყოველსა მოსაბვეჭელსა.
ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გმა ვინრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი სუსტი და ძალგულოვანი;
ბილწ შეყარნეს მიწამან ერთგან მყუე და მბრთოვანი
სჯობს სიცოცხლესა ნაგრახსა სიკვდილი სახელოვანი!

გავიხსენოთ, რომ მარჯანიშვილი, სანამ "კაცნეტს" დადგამდა, "ვეფხისტყაოსნის" დადგმაზე მუშაობდა და სულაც არ უნდა გვეკვეთნოს მოულოდნელად, რომ მან ქართული რენესანსული ადრის ლამპარით გაანათა შექსპირისეული "ყოფნა - არყოფნა".

"ყოფნა - არყოფნის" მონოლოგში, როგორც ამას შექსპირის მკვლევარები აღნიშნავენ, ხაგგასინით იგრძნობა "სოციალური კრიტიკის"[1] და გასაკვირია, რომ რევოლუციის დანაბიერებისაკენ მისწრაფებულ თეატრში "ყოფნა-არყოფნის" საკითხის სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთან დაკავშირება, განსაკუთრებით უნდა აღექვა მარჯანიშვილს, იგი ხაგგასინით უნდა ყოფილიყო ჩაიმოჩენილი. მარჯანიშვილისა და უშ. ჩხეიძის თეატრისათვის "ყოფნა- არყოფნა" ეთანაბრება მტარვალთა ჩაგვრის პირველებას თუ არმოთმენებას "იტანოს მრავალ ტანის ბეშვრომა გვირგა, თუ მეეპრძოლოს მოწინააღმდეგე უბედურებას და ან მებრძოლით მოსპოს იგი". კაცნეტის "ყოფნა - არყოფნაში" ეს საკითხი გადაწყვეტილია მკითხველობასთან სიცოცხლის მოსპობასთან. მაგრამ მარჯანიშვილი და უშ. ჩხეიძე არ გაკაყვნენ ამ კონკრეტულ ფინს. მარჯანიშვილისათვის უფრო სათნ-

---

[1] შ ე ქ ს პ ი რ ი უ., ტრაგედიები, ერთი გამოცემიდან, "ჰამლეტი". შესავალი ნიშნის ავტორისა/, ტ. II, 1954, გვ. 741.

ბერქსი იყო ყოფნა-არყოფნის სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირება, რაც გამართლებას და საფუძველს პოულობდა არამარტო შექსპირის შემოქმედებაში, არამედ შექსპირისეული ეპოქის ქმნილებაში, სოციალიზმის მოძღვრების წინამორბედ ნაწარმოებში - თომას მორის "უტოპიაში". ამ წიგნში მხილებულია სოციალური უთანასწორობა, დესპოტიზმი და პატივმოყვარეობა, სასახლისკარის ინტრიგები და ფულსა და კარიერაზე გაყიდული სინდისი და, ცხადია, "ყოფნა-არყოფნის" სოციალური კრიტიციზმი სადღაც ეხმიანება "უტოპიის" აზროვნებას. ამიტომაც, მარჯანიშვილს საფუძველი ჰქონდა "ყოფნა-არყოფნის" გააზრება ასე წარემართა.
მართალია, ამან ასახვა ვერ ჰპოვა უშ. ჩხეიძის ნარკვევში "ჩემი პამლეტი", მაგრამ ამ დადგმაზე მარჯანიშვილთან მომუშავე რეჟისორმა კ. პატარიძემ თავის ნარკვევში -"რეპეტიციებზე", გარკვევით აღნიშნა: "მონოლოგი "ყოფნა-არყოფნა" პესიმიზმით არ იყო აღსავსე, არც ტრაგიკულ ქვითინად ისმოდა ნევრასთენიით შეპყრობილი კაცისა, რომელიც მომავალს ვერა სჭვრეტს და ბედს ემორჩილება. მარჯანიშვილის აზრით, ეს მონოლოგი ძლიერია როგორც ბრძოლის აუცილებლობის შეგნება"[1].

იმისათვის, რომ "ყოფნა-არყოფნაზე" ფიქრი მარჯანიშვილს მიემართა ბრძოლის აუცილებლობის შეგნებისაკენ, მან ეს მონოლოგი გააგრძელა და დაურთო მეორე მოქმედების ბოლოდან გადმოტანილი "სწორედ მონა ვარ".

ახლა საინტერესოა, როგორი განწყობით წარმოთქვამდა ამ მონოლოგს უშ. ჩხეიძე. აქ ჩვენ გვეხმარება რეჟისორის თანაშემწის ჩანაწერები.

---

[1] П а т а р и д з е К. На репетициях, в кн.: "Котэ Марджанишвили. Творческое наследие", т.I, стр.281.

ტექსტი კ. მაისკანიშვილის მონაცემთა

ილუსტრის დაწა-
წერის კ. პატარი-
ის მინანერები
ფანქრით

ქამელეტი

სწორედ მონა ვარ, მანანწალა და ყეფოფრილი
მე უმსგავსი, უგრძნობელი, გაუბედავი -ნაწოინევს წინ ერთი.
საქმეს ვეძლევი, თითქოს მე არ მემეხებოდეს ნაბიჯით
და ხმას არ ვიღებ, არ ვიღებ ხმას იმ
ხელმწიფისათვის,
რომელს გვირგვინიც და სიცოცხლეც უძვირფასესი
ავაშაკებრივ გამოსტაცეს იმ დანყევლილმა
გაცა მხდალ ურ. ვინ გაბედავს უცხო მიწიდან გადადგა წინ
კითომ ავიტან... ავიტან-მეიტი. ყველას ავიტან... ერთი ნაბიჯი.
რა არის ჩემთვის წყეულებულად? კიდევ ერთი
მე ხომ მტრედის გულ-ღვიძლი მიძევს ნაბიჯი. და-
და არც ნაღველ გამაჩნია, რომ ვიგრძნო რამე, დგა.
ეს რომ არ იყოს, ყვავ-ყორანები ამაკ ჭკეყნისა
იმ მინის მძოვრით აქაბდისაც უნდა დამეძღო!
ოქ, სისხლის მსმელო, გაყუჩულებით აღსავსევ, წუწკო, ადგა,
ბილწო, მურტალო, მოღალატევ, უსინდისო!.. ნაწოდა სანი
სწორედ ჭკვიდან დაგიცალე, -ეთქ, ვაჟკაცობავ! ნაბიჯით წყა
ოვიდასი ძაძა მოვიკეთ მე და ავის წილსა სცენ. ვინც და
შურისძიებად ბიბინებენ მეცაც ჭკეყნელიც ანალისთან,
მე კი უბრალო ლაპარაკით გულსკავის ვიკლავ დაკუნდრო,
და კიბყევლები, ვიგინები რისკიც ქალივით ნაწოინია.
ვარ, ამ სიცოცხლეს[1].

---

[1] ე ე ე ს კ ი ნ ი ვ ა, ქამელეონი, თარგმ. ივ. მაჩაბლისა. კიდე მა-
რკინენების ინსტიტუტის ისტორიის რესპუბლიკის სახ. თეატრში.
პრემიერა, 12 ნოემბერი, 1935 წ. რესპუბლიკის თეატრის მუზეუმ-
ის ხელნაწერთა ფონდი, ფ. N 1-ბა.

ნაბასადამე, "ყოფნა-არყოფნა", როგორც ამას უშ. ჩხეიძე გადმოგვცემს, იკითხებოდა ძირს დამჯდარი; როგორც ჩანს, მინა-მატის დაწყებისას, ის უკვე ფეხზე იყო, მაგრამ რომელი სიტყვი-დან, არ ჩანს. რიღესაც საკითხი კონკრეტული ბორკების ატანას ეხებოდა, სიტყვებზე: "ჩა არის ჩემთვის შეურაცხყოფა?" - კამღე-ტი-უშ. ჩხეიძე ისევ ძირს ჯდებოდა, მაგრამ როგორც კი ხელმწიფის მამხილებელ ლანძღვა-გინებას შეუდგებოდა, წენამოიჭრებოდა, აბა-ლისთან მივიდოდა და ხელის დარტყმით ამბობდა: "პიტნი, მურტა-ლ, მოღალტევ, უსინდისო". - ეს არამარტო ხელმწიფის მხილება იყო, არამედ მეცხადური საყვედურიც და იქნებ ღვთის გმობაც.. ანალიზე მუშის ცემა მეტად საინტერესო მიმანსცენაა, კამღე-ტის მამხილებელი, მებრძოლ სულისკვეთების გამომხატველი. კამ-ღეტი-უშ. ჩხეიძე ამხელს უმოქმედობას, მორჩილებას. ბორკების, ავკაცობის, მტარვალობის მოთმენის ატანას კი არა, მის მხოლოდ სიტყვიერ მხილებასაც კი იგი სამარცხვინოდ მიიჩნევს. ამის მე-დეგ კაპიტეი-უშ. ჩხეიძე უმრალო დაპირაკით გულსკავის არ მოკ-ლავს, წყევლა-გინებით რისკით ქალვით თავს არ დაიღუპს, რად-გან ნაშდვილ ბრძოლას მოკლებული სიცოცხლე, ფუჩეხის ფასია სნო-რედ.

და, გასაოცრებელია არაკაცი, ის, ვინც თავისი უმსგავსი სიც-ცხლით გოგებასაღად და სულჩქეე ადამიანს აჩქმევინებს: "ფუ, ამ სიცოცხლეს!" და ანალიზე მუშის ცემით ღვთითმებრძოლ გმირს ამსგავსებს.

რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცულ "კამღეტის" სასცენო ეგზემპლარში რეჟისორის დანამატების ხელით მიწერილია: "მეფე მეხრის დაჩიქრებული და უცბად ერთმანეთს შეხედავენ... დილ კაუბა. კამღეტი გადის". ამის გასწვრივ ტექსტში იკითხება:

"შეიდის ხელმწიფე, კამლეტი მიიმალება".

მარჯანიშვილი განმეორებით მიმართავს თვალთასარჯყორცნას, კამლეტისა და კლავდიუსის მზერად შერჩნებას. პირველი იყო დედოფლისა და კარისკაცთა თანდასწრებით სადარბაზო საკრებულოში, რეორე - კამლეტისა და პირისისხლიანი მეფის სამლოცველოში უეცარი შეხვედრისას, ახლაც, აკაკი ვასაძის კლავდიუსს შეეძლო შექსპირის ასოცდამესამე სონეტის ტექსტით ეთქვა: "მსახვრალი მზერით ცხვალ-მკვდარი მიმკალი სიკვდილ". უსიტყვო დრამის შემოქმედი მარჯანიშვილისაგან, იასაკვირველია, შეშხვევით არ იყო, რომ ასე დაუნებით ძიმართავდა თვალთასარჯყორცნას. ამ შეშხვევაში ამ გამოსახველი სანუალების განმეორებით მიმარჯვებას განაპირობებდა უშ. ჩხეიძის თვალების სულის გამჭოლი მზერა და აკაკი ვასაძის გამოხვევი თვალთცება. აკაკი ვასაძის მოგონებაშ ამ ოშკადაშჯილობის ამბავიც ჩემოგვინახა: "კამლეტი კლავდიუსის მსაჯელია - კამლეტის მზერა მეფეს სამინელ ლოდვას ახსენებს, - იგი სინდისის ქხიეებაა, რომელიც სტანჯავს ასე სასტიკად პირველ სცენაში, მეფის საქეიმო სიტყვის წარმოთქმის დროს; კამლეტი პირველი დარტყმით გმირავს კლავდიუსის სინდისს... მეშდეგ მიდიოდა სცენა სამლოცველოში... ვხედავ კიდევ კამლეტს, დაჩოქილს ანალოსთან. ჩემი გაუბედავი ნაბიჯის ხმა რომ მოესმოდა, კამლეტი თავს ასწევდა, შემოხედავდა /"ისევ მხიეება ტანჯულ სულს"/"[1]. ამ თვალთასარჯყორცნით უშ. ჩხეიძის კამლეტს აკაკი ვასაძის კლავდიუსი ჯვარცმული ყაკვდა.. ამ შეშხვევაში მზერა იყო მაქმელი სიტყვაზე მეტისა. როცა მარჯანიშვილი მსახიობებს ამ იდეა-ხერხის გამოყენებისაკენ მიმართავდა, ამას ნემდეგით ასაბუთებდა: "ხშირად საჭირო ხდება დახატვა ისეთი გრძნობისა, რომლის სიტყვით გადაცემა შეუძლებელია.

[1] ვასაძე აკ., ჩემი შეხვედრებით გზა, ჟურნ. "მნათობი", 1967, №1-2, გვ. 265.

უსიტყვო დრამის მიზანია სწორედ ამნაირი გრძნობის გადაცემა".
ყოველი დიდი შემოქმედი გრძნობდა, რომ ნათქვამი სიტყვა სრულად და ამომწურავად ვერ გადმოსცემდა სულში მიმდინარე სათქმელს. მარჯანიშვილი სასცენო ხელოვნებაში, მის უსაზღვრო და მიჯნადაუდებელ სინთეზურობაში ხედავდა სიტყვათგანწყობისაგან აღძრული სიმწარის გაქარვების ძალას. რუსთაველის ვაებას: "რომე მწადდეს ვერ დავწერენ მე სიტყვაში ნათალნი"[1] ბარათაშვილის ამონაკვნესს "მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავ გრძნობათა გამოთქმა"[2], თითქოს საშველი ეძლეოდა. თითქოს შექსპირის ოცდამესამე სონეტის აღქმა ხორცდებოდა თვალთმეტყველებით: "ის უკეთ გეტყვის, რა ჰქონია მის დამწერს აზრად, ვიდრე ეს ენა, ვიდრე სხვა რამ უნართაგანი". მარჯანიშვილი და მისი სკოლის მსახიობები განცდის გამოხატვის შესაძლებლობას აფართოებდნენ მთლიანპიროვნული გამომსახველობით, სიტყვის მიღმა გაბედულად მიმართავდნენ სხეულმეტყველებას, დრამატული ჟანრის საზღვარს გადადიოდნენ და პანტომიმის მოშველიებით უკვდავ გრძნობათა გამოთქმის ძალას აძლიერებდნენ. იმას კი არ ვამბობ, თითქოს მარჯანიშვილამდე და მისი სკოლის მსახიობებამდე დრამატული საზღვრებიდან ხსნის საძებრად სხვა არავინ გაჭრილიყოს. არა! მარჯანიშვილმა და მისმა აქტიორულმა სკოლამ ამ გაჭრით ძირნაპოვარი განაზოგადა, დააკანონა როგორც თეატრალური არსთვისება: დრამატული მსახიობის ხელოვნება არამარტო მეტყველი სიტყვის ხელოვნებაა, არამედ მთლიანი პიროვნული გამომსახველობაა, მხატვრული კითხვის ხელოვნებაც კი უსუსურია მთლიანპიროვნული გამომსახველობის გარეშე.

მარჯანიშვილს ისე ჰქონდა სასცენოდ გადაკაზმული შექსპი-

---

1 რ უ ს თ ა ვ ე ლ ი შ., ვეფხისტყაოსანი. 1937, სტრ. 1573
2 ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ნ., თხზულებანი, 1958, გვ. 110

რის. ტრაგედია, რომ ჰამლეტის ემოციების გამოხატვა მთლიანპირო-ვნულ გამომსახველობით ყოველგვარ მიჯნადაუდებლად ამაღლებულ. მარჯანიშვილმა ისეთი ქმედითი ვითარება შექმნა ჰამლეტის სცე-ნური სახის შემოქმედს – უშანგი ჩხეიძეს, რომ თვალ[illegible]ყველ-ბით უსიტყვო მონოლოგებს ათქმევინებდა, გაბაასებით მაყურებელ-თა სულში უსაზღვრო წვდომას, უნიჭიერეს თანაგანცდის მომპოვებელ ძალას ანიჭებდა, ჰამლეტის ემოციების გამომხატველი უშ. ჩხეიძის თვალები, სხეული გამომხატველი მოძრაობანი ხშირად უფრო მეტის მთქმელი იყო, ვიდრე სიტყვა და ვიდრე მუსიკა. ამის ძალითაცაა, რომ დიდ ტრაგიკოს მსახიობზე შეიძლება ითქვას, იგი ავტორის კონგენიალური არისო.

დავუბრუნდეთ სცენას სამლოცველოში. კლავდიუსისა და ჰამ-ლეტის ეს შეხვედრა იყო ბოროტებისა და სიკეთის, ავკაცობისა და სულიერი კეთილშობილების შეჯიბრება. ამ ერთწამიერ მზერათ-ტყორცნაში იმდენა სულიერი ძალა იყო დახარჯული, რომ აკაკი ვასაძის კლავდიუსი უკვე ჯვარცმული იყო. აკი, წერს კიდეც: "როგორც ჯვარცმული ჰამლეტის წინ, ვიწყებდი ლოცვას, თვალ-ისართყორცნით ისე ვიყავი მოცელილი, რომ ძალა არ მედვა პირ-ჯვრის გადასაწერად."[1] ხოლო ჰამლეტი – უშანგი ჩხეიძე გარბოდა. როგორ? თვალთსაისარტყორცნით ჯვარცმული ჰყავდა მოპირდაპირე და გაიქცა? დიახ, გარბოდა და ამ შემთხვევაშიაც, როცა მარჯანი-შვილი ამ სცენის ვითარებას თხზავდა, ის შექსპირთან იყო, შექს-პირისეულს ასახიერებდა, რაც ოცდამესამე სონეტში იყო აღბეჭ-დილი:

ვით მრისხანე კაცს, შინაგანი ჯავრით და ბრძოლით
ჭარბი სისხლისგან ეკარგება ღონე სრულად.[2]

---

1 ვ ა ს ა ძ ე აკ., ჩემი შემოქმედებითი გზა, ჟურნ. "მნათობი", 1947, N1-2, გვ. 265

2. უ. შექსპირი, სონეტები, თარგ. [illegible], თბ, 1964, გვ 27.

ისე გარბოდა ეშ. ჩხეიძის ჰამლეტი სამლოცველოდან, თითქოს მოკლულს გვამს ტოვებდა და არა ფეხზე მდგომ კლავდიუსს. მარჯანიშვილის ტექსტში ნათქვამია: "მიიმალება". რა საოცარ ცვლილებათა ნაირსახეობით იძერწებოდა ამ სცენაში ორი დიდი ქართველი მსახიობის სხეულმეტყველება, თითქოს დიდ ქართველ ფსიქოლოგს დიმიტრი უზნაძეს ამ სცენის ნახვის შემდეგ უნდა დაეწერა, რომ "ემოციას ყოველთვის თან ახლავს მკვეთრი სხეულებრივი ცვლილებები"[1].

ასე ჩაიწერა მარჯანიშვილის შემოქმედებითი აღმაფრენით, ეშ. ჩხეიძისა და აკაკი ვასაძის მაღალნიჭიერებით კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცელი "ჰამლეტის" სცენური ისტორიისათვის.

კლავდიუს-ვასაძე მონანიების ლოცვისათვის ემზადება. ეს მონოლოგი, ეშ. ჩხეიძის სიტყვით, ვასაძე-მეფის ყველაზე საუცხოო და ძლიერი ადგილი იყო. ეს ბოროტი და მზედაცემული ადამიანი განიცდიდა დიდ ტანჯვასა და მწუხარებას. როგორც გულიდან ამონაკვნესი გოდება, ისე ისმოდა მეფის სიტყვები: "კერანო მუხლნო, მოიდრიკენით"[2]. ამ სპექტაკლის დადგმიდან თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა და ახლაც, როდესაც ვასაძეს თხოვდნენ წაეკითხა რაიმე, ის უპირველესად ამ მონოლოგს კითხულობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მსახიობის რეპერტუარში ეს მონოლოგი საუკეთესოთაგან საუკეთესო იყო.

კლავდიუსის მონოლოგს მარჯანიშვილი დიდი დაზოგვით მოექცა. რეჟისორმა 41 სტრიქონიდან ამოსაშლელად გაიმეტა 7 სტრიქონი /17%/. ხოლო ჰამლეტის სამლოცველოში შემობრუნებისას, ნათქვამი მონოლოგის 27 სტრიქონიდან მხოლოდ ორი დატოვა, ხაზი გადაუსვა ტექსტის 82%. თან მეორე მოქმედების დასასრულის მონოლოგიდან აქ გადმოაადგილა

---

1 უ ზ ნ ა ძ ე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940, გვ. 120.

2 ჩ ხ ე ი ძ ე ეშ., მოგონებები და წერილები, გვ. 224

ნ სტრიქონი და მაინც ბინილოგი დარჩა 70%-იან შეკვეთილ. რატომ ვაქცევთ ტექსტის ასეთ რეპროსორულ გადაკეთებას, შემცირება-შემოკლებას, ჩამატებას და გადაადგილებას ასეთ ყურადღებას? საქმე ის არის, რომ რეპროსორის წიაღილ ფაქტორის დაუცხრომლობა, ტექსტის გახელებული ჭრა-კერვა, პანტომიმური სცენების ხშირა და სპექტაკლში ჩართვა. კარგად გამოხატავს რეპროსორულ გაკაშრების მიმართებას, კლასიკური ნაწარმოების რეჟისორასთან ურთიერთობაში განხორციელებისაკენ წარმართვას, იმ ახალს, რაც ამ შემთხვევაში დამდგმელსა და შესრულებელ მსახიობს შეაქვს კამერტის ძირითად გაგებაში.

მარკანიშვილმა წაუშალა დაწერილ ხელმარჯვე კამერტს ფრისძიების დაყოვნების, ჯავრის ამოყრის ის დასაბუთება, რაც ამ მონოლოგშია მოყვანილი. რაკი კლავდიუსი ლოცულობს, ამ დროს მისი მოკვლა არ ეგების, რადგან ეს, იმ დროის რწმენით, მას ზეცასაკენ გაუხსნიდა გზას. ეს ფრისხსიება კი არა, დაყოვნება იქნებოდა. მან სხვა დრო უნდა შეარჩიოს, რომ "სრულიად უწმინდურს... რამ საქცელს", მაინც მას სანუგეშო მიეცეს: "დაკრას და ცოდვამდე რაკდის ქვეყანელს, რომ მისი სული იყოს ბნელი, შეჩვენებული, ვით მის საბუთი ჯოჯოხეთი". ან, ეს ქრისტიანულ-რელიგიური დასაბუთება მარკანიშვილმა მისი კამერტის გაგებისათვის მიიჩნია სრულიად შეუფერებლად და ეროვნულად გადაბმა, ტექსტიდან ამოაგდო. მის ნაცვლად მარკანიშვილმა აღადგინა პირველად შეხვედრის დაწყებული ურთიერთობის ხაზი და მას ფრისძიების დაყოვნება დაუკავშირა; მაგრამ, ასეთი დასაბუთება მარკანიშვილმა ბოლომდე კი არ გაიაზრა, ბოლომდე კი არ შეიხსნა, არამედ მიაგნო მთავარ შეხსნირის ტექსტში. ბეჭსპირს ფრისძიების დაყოვნების რაღაც-ზე დასაბუთება აქვს ტრაგედიის სხვადასხვა ადგილას მოყვანილი და მარკანიშვილმაც ამათგან ის აირჩია, რომელიც კამერტის გაგე-

ზისათვის უფრო შესაფერისი აღმოჩნდა. მარჯანიშვილმა მეორე მოქმედების დასასრულიდან, ჰამლეტის მონოლოგიდან ამოკვეთა ეს დასაბუთება და უკუგდებულის სანაცვლოდ აქ გადმოტანა:

იქნება მართლა მე რომ ვნახე, იგი აჩრდილი
ეშმაკიც იყო, და ეშმაკს ხომ, როდესაც უნდა,
შეუძლიან თვით საამური სახე მიიღოს,
იქნება იმან განიზრახა ჩემი დაღუპვა,
რადგან ჩემებრივს სევდიან და სუსტ ქმნილებაზედ
მავნედ მოქმედობს ძლიერება ავის სულისა
სჯობს რომ საბუთი უფრო მტკიცე მეჭიროს ხელში.[1]

გადმოაადგილა რა მონოლოგის ამ ნაწყვეტის დასაწყისი /"იქნება მართლა"/, მარჯანიშვილმა იგი შეცვალა სიტყვებით: "მაგრამ შესაძლო არის" და ამით ეგებისობა გაზარდა, რადგან ქართული გამოთქმა "მართლა", იმდენად გაცვეთილია ხშირი, უადგილო და უაზრო ხმარებით, რომ თავის პირდაპირი და არსებითი მნიშვნელობა შელახული აქვს.

თუ რატომ არ მოკლა ჰამლეტმა მლოცველი მეფე, ეს კრიტიკის თავსატეხად მრავალგზის ყოფილა ქცეული. ჰამლეტის აზრით, მლოცველ კაცს რომ ზურგში მახვილი ჩასცეს, იგი კლავდიუსზე უარესი იქნება. მ. მოროზოვი ამ მომენტში ჰამლეტის უარისთქმას შურისძიებაზე ეპოქის "შურისძიების ფსიქოლოგიით" ხსნიდა; "შურისმაძიებელმა მტერს ბოლო მაშინ უნდა მოუღოს, როდესაც ის საშარცხვინო საქციელს ჩაიდენს"[2]. ასეთი ახსნა მარჯანიშვილისათვის მიუღებელი იყო. და, მაინც, რას მიაღწია მარჯანიშვილმა ტექსტის გადაკაზმვით, ერთის ამოღებით და მეორის ჩასმით?

1. აღადგინა შექ-ჩრდილის ხაზი და შურისძიების დაყოვნების [illegible], 1954, გვ. 106.
2. М о р о з о в М., Комментарий к пьесам Шекспира, М.–Л., 1941, стр.18.

დასაბუთებაც აჩრდილისადმი დაჯერებას დაუკავშირა.

2. უკუაგდო შურისძიების გადიდების მოტივი, იმ ეპოქის "შურისძიების ფსიქოლოგია", თითქოს შურისმაძიებელს თავისი მტერი ლოცვის დროს რომ მოეკლა, ამით მის სულს ზეცისკენ გზას გაუხსნიდა /კლავდიუსი ამ დროს ლოცულობდა, მაშასადამე თუ მოკლავდნენ, თავს სამოთხეში ამოჰყოფდა/. ამის ნაცვლად მარჯანიშვილმა შურისძიების დაყოვნების მოტივად აქცია კლავდიუსის დანაშაულის საბუთის უკმარისობა – აკი, ჰამლეტს ათქმევინებს: "სჯობს რომ საბუთი უფრო მტკიცე მეჭიროს ხელში". მარჯანიშვილმა ამით უფრო მკვეთრად წარმოაჩინა ჰამლეტის კაცთმოყვარული ბუნება, სამართლიანობისადმი ერთგულება, რაც ასჯერ გაზომვას და ერთხელ დაჭრას გულისხმობს, როცა ეს ადამიანის სიცოცხლეს ეხება.

3. აჩრდილი მარჯანიშვილმა თავიდანვე ტრადიციული მოქმედი პირის სახით კი არ გამოიყვანა, არამედ შუქ-ფერით, რომელიც შემდეგ ჰამლეტთან მარტო შეხვედრისას რეალურ ფიგურად წარმოისახებოდა. წარმოსახვის ასეთი ვითარებისათვის სრულიად გამართლებული ჩანდა ჰამლეტის დაეჭვება: "მაგრამ შესაძლო არის მე რომ ვნახე იგი აჩრდილი, ეშმაკიც იყო".

4. მარჯანიშვილი ამ შენაცვლებით ქრისტიანულ-რელიგიური /სამოთხე-ჯოჯოხეთი/ სახიერებას უარყოფდა და მის ნაცვლად შექსპირისავე მითურ-ზღაპრულ შემოქმედების წარმოსახვას იყენებდა. სჯეროდა თუ არა თვით შექსპირს აჩრდილების, კუდიანების, ელფების /"ჰამლეტი", "მაკბეტი", "ზაფხულის ღამის სიზმარი"/, მკვლევართა სიტყვით, ამაზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ შექსპირის დროის მაყურებელთა ბრბოს აჩრდილებიც, კუდიანებიც და ელფებიც რეალურ, სრულიად გასაგებ, ახლობელ და ცოცხალ არ-

სებად ქცევაა წარმოდგენილი[1]. ამ მხრივ, ამ შემთხვევაშიაც, მარჯანიშვილი შექსპირისეული რეალობის ნიადაგზე იდგა; მარტო დეკორების სიმარტივე კი არ კმაყოფილებდა, არამედ ტიპური ხასიათის, ტიპურ ვითარებაში წარმოსახვას ესწრაფოდა. დანიის ჯვლისწული ჰამლეტის ტრისთვალის, ისევ შექსპირის ეპოქისთვისაც კი არტისტებისა და ეშმაკების ცრურწმენა სრულიად ტიპურ ვითარებას წარმოადგენდა.

5. მარჯანიშვილმა 1924 წელს, "ჰამლეტის" დადგმაზე ერთი წლით ადრე, ბებერისის ოპერის თეატრში დაბაბრაციელა "აბესალომ და ეთერი"; ამაზე ცოტა ადრე მუშაობდა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" ინსცენირებაზე, რუსთაველის თეატრში ცოცხლობდა მარჯანიშვილის დადგმები ი.დეკანოზიშვილის "სინადრე" და ამბენად, ჰამლეტის ეშმაკისაგან ცუნების მიტივი, ქართულ მიტურ-ფოლკლორულ და პოეტურ სტიქიას უკავშირდება /"სინადრე" ხომ ერთიანად სავსე იყო ეშმაკებით; "აბესალომ და ეთერში" - ეშმაკის მიერ მურმანის ცუნება; ქაჯეთი და ქაჯები "ვეფხისტყაოსანში" და სხვ./. ასე რომ, მარჯანიშვილის მიერ ეშმაკეული მიტივის არჩევანისათვის იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ უკვე კლასიკური ნაწარმოების დაბრუნებისას, ერთეულად დაბრუნებისკენ სწრაფვას დარჩენილი მნიშვნელობა აქვს და ეს მიმენტი თეატრალებისთვის არ უნდა დეკორებიეს.

მეორე მოქმედებაში დადმოცემული მეფისა და ჰამლეტის სამოლაპარაკო შეხვედრის სცენას მარჯანიშვილმა მიაკუთვნა ოფელიასთან შეხვედრის სცენა. ეს ერთადერთი სცენაა ტრაგედიაში, სადაც ოფელია და ჰამლეტი პირისპირ და დაბნარტებით ხვდებიან ერთმანეთს. და ამდენადაც მეტად მნიშვნელოვანია. ავტორის დეკორაციაში ეს სცენა ბესამე მოქმედებაშია და უშუალოდ მოსდევს "ყოფნა-არყოფნის" მონოლოგს. მარჯანიშვილმა ერთიც და მეორეც ადგილ

[1] Brandes G. Drama e teatr epoxi Shekspira, S.,1925,c.XX;
შ ა რ ი ს. შექსპირი და მისული მიტები, "ქართული შექსპირიანა", ტ.3, ბ., 1972, გვ.51-71.

ტანა მესამე მოქმედებიდან მეორეში და მათ შუა ჩასვა სცენა სამლოცველოში, რაც მესამე მოქმედების მესამე სურათიდან არის ამოღებული. სცენათა ასეთი თანამიმდევრობის შექმნით არამარტო გამძაფრებულია და მხატვრულ სახეობრივად დაკონკრეტებული ჰამლეტის მდგომარეობის სიმწვავე, არამედ თანამედროვე სცენის მოთხოვნათა შესაბამისადაც არის იგი გამართული — ერთი მხრივ, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის ჩვენება, როგორც გამოსავალი "ყოფნა-არყოფნის" გადასაწყვეტად, და, მეორე მხრივ, დაეჭვება — საბუთის სიმტკიცის უკმარისობით გამოწვეული და გადამწყვეტ დაკვრაზე, ხელსაყრელ პირობებში უარის თქმა. ამას მოსდევს ბოროტების ქსელში გაბმული სიყვარული, უარმყოფელის უარმყოფელობა. მარჯანიშვილი საოცარი ლოგიკურობით და თანამედროვე სცენისათვის აუცილებელი ლაკონიურობითა და დინამიკურობის მიღწევით კუმშავს ამ სცენებს. ავტორისეული ნაწარმოები მარჯანიშვილის მიერ იმდენად არის გადაკეთებული, რომ გასაგები ხდება, თუ რატომ იყო, რომ მეიერჰოლდს მსგავს შემთხვევაში სპექტაკლის დამდგმელად კი არ მიაჩნდა თავი, არამედ სპექტაკლის ავტორად. ისევ სტატისტიკას მივმართავთ. ოფელიას და ჰამლეტის სცენის შექსპირისეული ტექსტის 64 სტრიქონიდან მარჯანიშვილმა ამოშალა 28 სტრიქონი, ე.ი. ტექსტი შეამცირა 43%-ით, თითქმის გაანახევრა. მარჯანიშვილმა უშ.ჩხეიძის ჰამლეტისათვის, თავის ამ ტრაგედიის საკუთარი გაგებისა და რევოლუციური თანამედროვეობის პოზიციიდან გააზრებისათვის, სრულიად მიუღებლად მიიჩნია და ავტორისეული ტექსტიდან ამოკვეთა ის, რაც საბაბს აძლევდა ოფელიას ჰამლეტი ჭკუიდან შეშლილად მიეჩნია; მარჯანიშვილმა ტექსტიდან ამოკვეთა და ამოიღო ის, რაც ეწინააღმდეგებოდა ქართულ ეროვნულ ფსიქოლოგიას, რაც ჯანსაღ ეროვნულ გრძნობასთან და საუკუნეობრივად ჩამოყალიბებულ ძვირფას და ძირძველ ტრადიციასთან თანხმო-

რებაში ვერ მოვიდოდა. მარკანიშვილმა უმ. ჩხეიძის კამლეტს, საქრ-ვის მამას, საქრვის წინაშე დანძღვა-გინება არ აჩქმეჟინა და არც ქალწა ლისების დამაშცრებელ, ქალწმოძულეობის მღაღადებლად გა-გაეყვანა აკადრა. მოგადკაცობრიულ, რეპროდუქტიულ აქ სიყდანნეშ-მაში აღმოჩნდა ჯანსაღი ეროტიკული ტრადიციის მოხსენიებასთან /ქა-ლისადმი მოკრძალება, ქალის პატივისცემა/, დაიგინდა ამ სცენის ტექსტიც და აბისდა მიხედვით წარმოადგა მისი აქტიორული მესრულე-ბაც.

უმ. ჩხეიძის კამლეტისათვის ოფელიასთან შეხვედრის სცენა ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი იყო. უაღრესად ტრაგიკული სიყვარულ-ის ორმხრივი უარმყოფლობით, უაღრესად დრამატული ადამიანის სუ-ლიერად დამდაბლების დაუოგავი მხილებით და უაღრესად ლირიკულ უნრეველის განცდაა ფაქტი გადმოცემით. არცერთ სხვა სცენაში ასე მკვეთრად და ნათლად არ ჩანდა ოვითგმობამდე გამძაფრებული იდეალისადმი რეალურის დაპირისპირების სიმწვავე. უმ. ჩხეიძის კამლეტს შეეფერებოდა შექსპირის 133 სონეტის სიტყვებიც ეთქვა ბელისწერისათვის:

ჩემი ძეირე მეც დაგნებდა დიდ ხანია,
დაკარგე ერთიც, ისიც, შენც და შენი სულიც.[1]

თუ ამ სცენაში უმ. ჩხეიძე ამაღლებული იყო ტრაგიკულის სულის-შემძვრელ სრულქმნილ გახორციელებით, ეს იმის გამოც, რომ მისი თანამესახიე იყო ჯერიკო ანჯაფარიძე. უმ. ჩხეიძე მემდეგნ გვიამ-ბობდა: "კამლეტში" მხოლოდ ერთი სცენა გვქონდა, სადაც მარჯორი ბედებიან ერთმანეთს კამლეტი და ოფელია... ამ სცენაში კამლეტი-სა და ოფელიას სიყვარული ისე დაფარულია სხვა მნიშვნელობის სი-ტყვებით, როგორც ძვირფასი ქვა, ან ძვირფასი მაგნეული იმალება ხშირად სულ სხვა საბის ქანებს ქვეშ. მაგრამ ამ მთელ ტექსტის სამუალებითაც ისეთი დიდ გრძნობით აქარებდა ჯერიკო სცენას,

[1] ო. შექსპირი, სონეტები, გვ. 1964, გვ. 137

ისეთი საოცარი იყო მისი გაწყდა, რომ, როდესაც მას მივუახლოვდებოდი, სხვები შეკრებილები, მე მეგონა მისი სახის თუ სხეულის ყოველი წაკვთი რაღაც შინაგან ცხოველებას გამოცდილა და ახლაც დღესაც მიცქერიან მისი სევდიანი თვალები, დღესაც მესმის მწირთოლვარე ხმით წარმოთქმული სიტყვები. ამ სიტყვებში ისმოდა ისეთი სინანული, ისეთი უმანკოება, რომ ადამიანი, არ ვიცი სიბრალულისაგან თუ სიამოვნებისაგან, რაღაც ტკივილს იგრძნობდა, თუ მეც საკუთარ გრძნობით ვატარებდი მასთან სცენას, ეს ალბათ იმიტომ, რომ ის მშვენიერი პარტნიორი იყო"[1].

"კამელიის" საოცარსირი პარტიტურაც შეიცვალა თუ როგორ ძიძგნარეობდა ამ სცენაში ორი დინება, ერთი სიტყვიერი – სიყვარულის უარისმყოფელი, ოლესა მონასტერში რომ აგზავნიდა და მეორე–პანტომიმური, მიმოდრამა – სიყვარულის მადიდებელი და მაღიერებელი. თუ საძღვრელის სცენაში მკერდსა და კამელიას შორის თვალისაერთყორცნით გამოთქმებოდა საოცარი, აქ სიტყვის მეპირისპირებით ემოციის გამომხატველ მოქრაობას, ხელის ენასა და თვალთმეტყველებასთან გამოთქმული ვაება ვაება მონაბოლო სიყვარულისა. აი, რას ეკითხულობთ რეჟისორულ პარტიტურაში: კამელიის სიტყვებზე– "შენ რომ პატიოსანი ქალი ხარ, ოლესა? – გაუკვირდის ხელს. უახლოვდება ერთ წამიერ.

– მარიას ამბობ: სიღამაზეს უფრო ადვილად შეუძლიან პატიოსნება გამოაქანცოს, ვიდრე პატიოსნებას სიღამაზე თავის მსგავსად გარდაქმნას" – პიბრუნდება და ხელს არხმევს.

–"უფრო ეს დასაკერებელი არ იყო, ვაკრამ ეხლა კი დრო მოიაება". – კაბელი ეიცის... ოლესასთან, მოკრდება ხელში ხელს. უსიტყვოდ ეალერსება. ოლესას სიტყვებზე: "მეც მჯეროდა თქვენი

[1] ჩ ხ ე ი ძ ე ნ., პიესები და წერილები, თბ., 1955, გვ. 196–199.

სიყვარულის - ჰამლეტი ნაბევარი წაბიჯით მიუახლოვდება. ჰამლეტის სიტყვებზე: "ნადი მონასტერში", - ბელი გაუშვა. ჰამლეტის სიტყვებზე: ჩვენ ყველანი ნაძღეული მაჭყურები ვარო. ნურც ერთს ნურას დაჭვიკერებ - წელ-წელა მიდის. ბელი განვლილ აქვს. ოფელიასკენ მიდის, ოფელიაც ხელავ მიჰყვება"[1].

ამის მიზეზით შეიძლება ჰამლეტის ამ სცენის სრული რეკონსტრუქცია. აქ აღბეჭდილია გრძნობის გამომხატველი მოქმედება, ბელის ენა, ბელი ხელით გასაგრძება, ხელი ალერსი; განვლილ ხელ, როგორ მოიქცევა, როგორ მისტირის ოფელიას სიყვარულის დაკარგვას, ვინც ისე უყვარდა, რომ ორმოში ადას ძმას ერთად მიგროვილ, მასავით "ვერ ეყვარებოდა".

უშ. ჩხეიძე ამ სცენაში მარცხენა ჭკუაშეშლილობას ხედავს[2], საამისო საფუძველი მარკანიშვილმა ტექსტის გადაკაზმვით მოგვცა ,ხედვ და არც საღვინით რცხვენოდა ოფელიასადმი თავისი სიყვარულისა[3]. უშ. ჩხეიძე ჰამლეტით ჯერ კიდევ აბაცაბრდა უფლისწულს ანსახიერებდა, რომელსაც სიყვარული ესახლებოდა კიდეც.

ამ სცენაში უშ. ჩხეიძის ჰამლეტი და ვ. ანჯაფარიძის ოფელია რეპრესირულ გაამრებით გაღრმავებულ და გამდიდრებულ ტექსტის ქვედინებას მიჰყვებოდნენ და "მღლავნებოდა ორივეს ულმესი სიყვარული, მთელი მათი გრძნობების სინაზე და სიღრმე, თანაც ჰამლეტის ულმესი გულისტკივილი, რადგან მან უკვე ეჭვი შეიტანა საყვარელი ადამიანის გულწრფელობაში"[4].

---

1 ჩუსოველის თეატრში ბაცური რეჟისორის თანაშემწის ეტუდიალი, გვ. 67-70.

2 Б е л я е в с к и й Б. "Гамлет", Драма Шекспира. Мочалов в роли Гамлета, соч. в 3-х томах, т.I, М., стр.365.

3 С ы ч е в с к и й С. Сальвини в роли Гамлета, Одесская ГПЗ. "Правда", 1980, №13. Из кн.: Чальсо Сальвини, "Томазо Сальвини", М., 1971, стр.318.

4 ჭუბინიშვილი, თეატრი და ცხოვრება. გვ.225-226.

ეს სცენა უშ.ჩხეიძის შესრულებით იყო იმისკენ სწრაფვა, რომ ჯამლეტის სახით გამოხატულიყო გმირის ეპიკური და კეთილშობილი ბუნება, რომელიც დროს უსაყვარლეს არსებასაც კი აბხედა სიყვარულისადმი უმკაცრეს და უდანაშაულო ბრძოლაში. მისი განცდანი, მის მიერ დატრიალებული სიყვარული იმის მაჩვენებელი იყო, თუ რა დიდი მსხვერპლის გაღება შეეძლო ახალი სამყაროს ამ წინამორბედ მებრძოლ ადამიანს, რომელიც ის დაუბანებელი წყვეთა ყველაზე უნაკლო და მკაცრებულ ახალ სამყაროსთან იყო ჯერ კიდევ დაკავშირებული.

თუმც, წარმოდგენისადმი დაბეჭდილ ტექსტში მეორე მოქმედების მეექვსე სურათში სასცენო გარემოდ წიგნსაცავია ჩაწერილი, მაგრამ მინიშნება არაფრით ყოფილა დეკორაციული გამოხატული[1]. კედელ-ყურეც ისევ კიბეა. ცხიერების ასაკად-დასასრულის, უწყვეტი მოძრაობის, აღმავლობისა და დაცემის შესაძლებლობაა გასაცნობი გამომსახველი.

ჯამლეტი - უშ.ჩხეიძე მწუხარე, წიგნის კიდეში შემოიხედა სცენაზე/ სცენის სიღრმე გადაჭრისას, მაგიდას, სკამს გამოეხედა და იქვე ჩაჯდებოდა, კიდეს გაჩერდებოდა. მალიანად კიდეს იყო მიცემული, რომელ ჯამლეტის სახიერება გარკვეული იკვეთებოდა - გასაგები ხდებოდა, თუ რენესანსული ამბოხების კერისკენ - ვიტენბერგის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად რატომ ესწრაფვოდა იგი. უშ.ჩხეიძის ჯამლეტი ხმლისა და დაშნის კაცის არის და "დიდებული ჯენა-გინებაც". უშ.ჩხეიძის ჯამლეტის პირველებული რაინდული მგმობარება და შეგარება ჩვენებული იყო ამომწურავად დასაბუთების მეცნიერული ღანდაკით.

უშ.ჩხეიძის ჯამლეტი პოლონიუსთან სცენაში[2] არავითარ ჯენა-

---

1 რეჟისორ კ.პაპავრიძის ცნობა /1973 წ. 11.VI საუბრის ჩანაწერი, /ინახება ჩვენთან/.

2 ამ სცენის ტექსტი თარგმნის დანართებულია /47 სტრიქონიდან დათვლებულია 22/. ამიტომაც იმ, რაც მიკვლევასთან დაკავშირებული ბოლო ბიტები მსჯელობით ან მიმდინარე ხდომის წარმოდგენს - პასუხისგებლის გასწორებაზე სჯა, პოლონიუსის მიერ სასიცოცხლო დაკვალიანების გახსენება.

შეშლილობას არ თამაშობდა, სრულადაც არ ცდილობდა თავი მოეჩვენებინა სულით ავადმყოფად. ეს კი ' არა და, ჰამლეტი-ეშ. ჩხეიძე ათამაშებდა პოლონიუსს - ნ.გოცირიძეს. ჰამლეტის ყოველი სიტყვა იყო გადაკვრით ნათქვამი. თითეული სიტყვა იყო უდიდესი ირონია. ირონიის ძალით ამ სცენაში ეშ. ჩხეიძის ჰამლეტი იყო შეამაღლებული, ნ.გოცირიძის პოლონიუსს დასცინოდა, ჰკიცხავდა, დაუზოგავად ამხელდა. ჰამლეტი "თევზის ვაჭრად" მიიჩნევდა პოლონიუსს:

<u>პოლონიუსი</u>

როგორ ბრძანდებით, ხელმწიფისშვილო?

<u>ჰამლეტი</u>

მადლობა ღმერთს, კარგად გახლავართ.

ეს ეშ. ჩხეიძის მიერ ისე იყო ნათქვამი /კითხვას თავს არ ანებებდა, თავი წიგნში ჰქონდა ჩარგული და ხელის აქნევით პასუხობდა/, რომ ასეთი შეხვედრით შეურაცხყოფილი პოლონიუსი გაკვირვებით ეკითხებოდა: მე ვეღარა მიცნობ, ხელმწიფისშვილო?

ჰამლეტი პასუხობდა: ძალიან კარგადა გცნობ, შენ თევზის ვაჭარი ხარ.

როცა ჰამლეტი პოლონიუსს თევზის ვაჭრად მიიჩნევს, შექსპიროლოგთა აზრით იგულისხმება, რომ პოლონიუსი თავისი ქალიშვილით ვაჭრობს, მაჭანკლობს, ბუდიად ცდილობს, რომ ჰამლეტი გარყვნილი თევზის ვაჭრის ანკესზე წამოეგება[1]. მართალია ქართულ თარგმანში "თევზის ვაჭარი" ვერ ინარჩუნებს შექსპირისდროინდელი ინგლისურისათვის დამახასიათებელ ფარულ მნიშვნელობას, მაგრამ ამ დანაკლისს ქართველი მსახიობი სარკაზმამდე გამძაფრებული გამოთქმით, თანაც აშის შესაფერისი სახისმეტყველებით ანაზღაურებდა. თანაც, ეშ. ჩხეიძის ინტონაციაში შეიმჩნეოდა ვაჭრისადმი ზიზღი. ახალი ეკონომიკ-

---

1 М о р о з о в М. Комментарий к пьесам Шекспира. стр.14.

ის პოლიტიკის გაჭარების პირობებში დაეხ წაეყენეს ვაჭრებმა. ის გარემოებაც, რომ ქამელეონის მიერ ფეხის ვაჭრად დასახელო პროფინიუსის როლს ასრულებდა ფხილისელ ვაჭარ-სოვდაგრების სახელო მეშვიდე ნიკო გოცირიძე – უმ. ჩხეიძის ქამელეონის გაანყობას ამარტივებდა და მის მიმართვას ხელმწიფის კარის მინისტრისადმი "მეფ ფეხის ვაჭარი ხარ" აუსიტყვა ირონიის,. სარკაზმის ელფერს აძლევდა. ასეთი კატეგორიული წესრიგეით იქნინუებოდა ქამელეონის სახეირება თანამედროვეობით /სოციალური, კლასობრივი მიდგომა/ და ეროვნულობით /ქართული რეალისტური დრამატურგიისა და სასცენო ხელოვნების ტრადიცია/.

ტრაგიკოსის მოსასხამი და ამეკელი ნელების მეშვიდეებით ნაცადი კომიკოსის ნიკო გოცირიძესთან თანასახიობა /პარტნიორობა/ უმ. ჩხეიძეს ხელს არ უშლიდა თანაბრად ყოფილიყო ფანჯა-ეაების გამომჭმელიც და ნაღლიანი სიცილით მაშხილებელიც. ქამელეონის როლის შესრულებელ ინგლისელ მსახიობისა და რეჟისორის ჯონ გიელგუდის აზრითაც ქამელეონის როლი ნაწილად იუმორს, დაუოკებელ ენერგიასა და ფილოსოფიურ რეფლექსს მოითხოვს[1]. აკი, შარკანიშვილმაც კითხვაზე: შეეძლია თუ არა ერთსა და იმავე მსახიობს შეასრულოს ტრაგიკული და კომიკური როლები, – უპასუხა: "ეს დამოკიდებულია აქტიორის ტალანტზე, მაკალითად მსახიობი მიხეილ ჩეხოვი კარგად ძლეულა ამ ამოცანას. ჩვენში უმ. ჩხეიძეს შეუძლია ეს" [2]. უმ. ჩხეიძე ნაღველანი ირონიით ესაუბრებოდა ოტელოს, მაშხილებელ, სარკასტულ სიცილით უპასპინძლებოდა პროპონტისს, გიდენშტერნს და რიზენკრანცს და ამასთანავე განსწავლულ ქორაციოსადის, მსახიობებისა და მეფადიაეებად ქცეულ ქასხარებისეკისაც კი შეძლო მხარი აება იმაზე ბაასში, რაც "ფი-

---

1 Г и л г у д Дж. На сцене и за кулисами, М., 1968, стр.271.
2 ш а р к а з и м а ш в и л и კ., მეოცნებეთელი ესკიზირებაა, თბ., 1972, ე. I ეს. 217.

ლისეფისი სიმშრალე არც კი მოელანდებაო". ნაფეხ-ჩრდილების ისეთ ისტატს, როგორიც მარკანიშვილი იყო, ჰამლეტისა და ყვარყვარე თუთაბერის ბასიანების მწვდომი მსახიობის აღმოჩენა და აღზრდა რეალურ საფრთხეს უქმნიდა სინთეტურობის განმტკიცებისაფვის ქარხულ აქტიორულ შეხიქმედებაში.

უმ.ჩხეიძის ჰამლეტის სახიერებაში, მარკანიშვილისეულ დიდებაში იდეალურისა და მისი უარისმყოფელი ყოფითობის შეჯახება არსებითის მოამგეშდავად გამოხატვას ისმკვეთრებს მატებდა. დრამატულისა და კომიკურის ხონაცვლეობას ჯარიო საინტელო ეძლეოდა, სცენამე გრაციკულის განცდა მაყურებელთა თანაკანცდაში იძირებოდა და თეატრი თავის დანიშნულების წვდომით მაღლდებოდა. ამის აღნიშნა მით უფრო საჭირო ხდება, რადგან უარმყოფლობა ზოგჯერ ისეთ უკიდურესობამდე მიდის, რომ თავისი უცნაურობით გადამდებობას იღენს, გადამდებ სნეულად იქცევა და უბიძგებს უილსონ ნაიტის მსგავს გაკეთაო შეშფოთებას, რის მიხედვითაც ჰამლეტი უარყოფითის და ბნელის გამომხატველად ცხადდება, ხოლო ჰორიშიო, კლავდიუსი, ლაერტი და მისთანანი დადებითისა და ნათელის[1].

ჰამლეტ-პოლონიუსის გაბაასებიდან ერთი კითხვა-პასუხიც იქცევს ყურადღებას იმით, თუ როგორ გაიდაიქმნა იგი მარკანიშვილის რეჟისორული ჩანაფიქრით, უმ.ჩხეიძის და ნ.გორჩაკოვის სცენური განხორციელებით.

შექსპირის ტექსტი	უმ.ჩხეიძისა და ნ.გორჩაკოვის განხორციელებით
პოლონიუსი	
რას კითხულობ, ბატონიშვილო?	მაგიდასთან წიგნით ხელში მის ჰამლეტი-უმ.ჩხეიძე და კითხვას განაგრძობს.
ჰამლეტი	
სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს..	წიგნიდან თავაუღებლად, ისე,

[1] В а й м а н Р. Некоторые вопросы изучения Шекспира в Англии и США. Собр. Шекспир к четырехсотлетию со дня рождения. М., 1964, стр. 50-51.

სხვაკუთრის პასუხობდა: "სიტყვებს" და კითხვას განაგრძობდა.

პოლონიუსი-ნ.გორჩაძე კისერს ნათგრძელებდა, წიგნში ჩახედვას ერიდებოდა, მაგრამ აშკარად გამოხატავდა პასუხით დაუკმაყოფილებლობას. ის, როგორც მინისტრი, მიჩვეული იყო კითხვაზე ღებულობდეს შეკითხვის მისაგებ აზრობრივ პასუხს.

ჰამლეტი-უმ.ჩხეიძე ხელმეორედ ამბობდა: "სიტყვებს" /რით ვერ გაიგე, ვკითხულობ სიტყვებს/, როდესაც გორჩაძის პოლონიუსი მორიდებული დათხეთხით ეროვნულად კითხვისწინშნად ძველი ფაქს ადგა წიგნის კითხვაში ჩაღრმავებულ უფლისწულს, თითქოს საყვედურობდა: რა ამ სიტყვების პასუხია, უმ.ჩხეიძის ჰამლეტი, ამ ყადნიერი ჩაცემით გულმოსული ბესამდე წარმოთქვამდა: "სიტყვებს" /გაიგე, ვკითხულობ სიტყვებს/.

პოლონიუსისა და ჰამლეტის გაბაასება-ცილობაში ამ კითხვა-მიგებისათვის ესოდენ ყურადღების მიქცევა არ უნდა გვეჩვენოს მეთხუთმეტედ. იგი დაკავშირებული უნდა იყოს მთელი სპექტაკლის გააზრებასთან, ჰამლეტის ხასიათის საფაბლის კართან ისევ მეორისპირებაში გაბნასთან, რაც ემყარება ავტორისეული ტექსტის სწორად წაკითხვას და რევოლუციური თანამედროვეობის სულისკვეთებას. "სიტყვა" განმოგადებაა მთელი სამყაროს რენესანსული კულტურის ნიაღში განსწავლული ადამიანის ფიქრა-გრძნებისათვის და სულ არაფერს ნიშნავს სუგნობრივი განსაზღვრულობის გარეშე, სასახლის კარის სამსახურში გამოყენებული ადამიანისათვის. რასაც ჰამლეტი "გონების თვალით" ხედავდა და კითხულობდა, ის მიუწვდომელი იყო სასახლის კარის მოხელისათვის, რარიგ მაღლად არ უნდა ყოფილიყო ის აზრევებული. გავიხსენოთ, რომ ჰამლეტის გულსაჭმას გამოარენს არა "მეენისფრად მეღებილი მისასხამი" /პირველი მოქმ.მეორე სურათი/, არამედ სახსოვარ წიგნაკში "ტვინის წიგნში"[1] ჩაწერილი და აღბეჭ-

---

[1] ივ.მაჩაბლის დარგმანით-"სახსოვარ წიგნში"; ა.რადლოვასა და ბ.ლებინსკის რუსული თარგმანებით: "В книге мозга". Н.Морозова. Метафори как выражение характеров действующих лиц. Шекспировский сборник, 1947, стр.234.

დიდ /პირველი მოქმედების მეხუთე სურათი/.

შემდეგი სცენაა ჰამლეტის შეხვედრა როზენკრანცთან /ლადო აზაშიძე/ და გილდენსტერნთან /გიორგი სარჩიმელიძე/. ტექსტის 160 სტრიქონიდან დატოვებულია მხოლოდ 60, ე.ი. უკუგდებულია და-ახლოებით 62%. სახელდობრ: რაც ტრაგიკოსთა და ბავშვთმსახიობ-თა დასების ურთიერთობაზე აზრებს შეიცავს და რასაც არავითარი, ან უმნიშვნელო მცირე კავშირი აქვს ტრაგედიის ძირით ხაზთან და ამდენად მისი ამოღება თავის დაზღვევაა სცენური მოქმედების შეფერხებისაგან.

შექსპირის არამც თუ კომედიებში, არამედ მის ტრაგედიებშიც კი ვხვდებით არა ერთ და ორ ისეთ სახიერ გამოთქმას, რაც შთაგო-ნებულია დიდი დრამატურგის თანამედროვე ინგლისის დაბალი სოცი-ალური ფენების მეტყველებით და რაც ძნელად შესათავსებე-ლია მეოცე საუკუნის ლიტერატურულ ენასა და სასცენო მეტყველება-სთან. ამიტომაც არის, რომ მთარგმნელები ასეთ გამოთქმებს არიდ-ებენ ან ანეიტრალებენ. ქართულმა მთარგმნელობითმა და სასცენო მეტყველებითმა გამოცდილებამ ამ მხრივ გარკვეული წესი შეიმუ-შავა /იხ. ამ ნარკვევის გვ. 19, 20/ და მით ხელმძღვანელობდა კ. მარჯანიშვილი, როდესაც "ჰამლეტის" სასცენო ტექსტს ადგენდა. აი, ერთი ასეთი ადგილიც, ჰამლეტის შეხვედრიდან როზენკრანცთა და გილდენსტერნთან.

ტექსტი ივ. მაჩაბლის თარგმანით	ტექსტი კ. მარჯანიშვილის მო-ნტაჟით
ჰამლეტი	ჰამლეტი
ოჰ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, რასა იქ, გილდენსტერნ? შენ რაღასა იქ, ჩემო როზენკრანც? როგორა ხართ?	ოჰ, ჩემო ძვირფასო მეგობ-რებო. რასა იქ გილდენსტერნ? შენ რაღასა იქ, როზენკრანც? როგორა ხართ?

როზენკრანც

გახლავართ ისე, როგორც შეეფერება
დედამიწის უმნიშვნელო შვილებს.

გილდენსტერნ

ბედნიერი ვართ იმით, რომ მეტის-
მეტად ბედნიერი არა ვართ და
ბედს. მაღლა ქოჩრის წვერზედ არ
ვაზივართ.

ჰამლეტ

არც ხომ იმის ფეხქვეშა ხართ
მოქცეული?

გილდენსტერნ

არა, ბატონო

ჰამლეტ

მაშ, გეტყობათ, სარტყელთან იქნე-
ბით, სადაც მისი წყალობის ცენტრში
ალაგია.

გილდენსტერნ

დიახ, ბატონო, იმისი წყალობა არ
გვაკლია.

ჰამლეტ

მაშ თქვენ ბედის საიდუმლო ადგილას
დაახლოებული ყოფილხართ. აბა რა გა-
საკვირველია, - ის ხომ ბაზარზე ხე-
ლაღებული ქალია. - ახალი ამბავი რა
იცით?

როზენკრანც

გახლავართ ისე, როგორც შე-
ეფერება დედამიწის უმნიშვ-
ნელო შვილებს.

გილდენსტერნ

ბედნიერი ვართ იმით, რომ
მეტისმეტად ბედნიერი არა
ვართ და ბედს მაღლა ქოჩრის
წვერზე არ ვაზივართ.

ჰამლეტ

არც ხომ იმის ფეხქვეშ ხართ
მოქცეული?

ახალი ამბავი რა იცით?

როზენკრანცი

არაფერი, ბატონო, იმას გარდა, რომ ეს ქვეყანა თითქოს უფრო გაპატიოსნდა.

ჰამლეტი

მაშ მეორედ მოსვლის დღე უნდა მიახლოვებულიყოს; მაგრამ ეგ თქვენი მოტანილი ამბავი მართალი არ არის; სჯობს, ისევ თქვენი საკუთარი ამბავი ვიკითხო: რა უყავით, მეგობრებო, ბედს ისეთი, რომ აქ, ამ საპყრობილეში გამოგისტუმრათ?

გილდენსტერნ

საპყრობილეში, ხელმწიფისშვილო?

ჰამლეტ

დანია საპყრობილეა.[1]

რა უყავით, მეგობრებო, ბედს ისეთი, რომ აქ სა-პყრობილეში გამოგისტუმრათ?

გილდენსტერნ

საპყრობილეში, ხელმწიფის-შვილო?

ჰამლეტ

დიახ, საპყრობილეში... ჩე-მთვის დანია საპყრობილეა.[2]

მარჯანიშვილმა ტექსტიდან ამოიღო ის, რაც ქართველ სასცენო მეტყველებისათვის, თეატრის აღმზრდელობითი დანიშნულებისათვის მიუღებლად მიიჩნია. ასეთი მიდგომით უნდა ხელმძღვანელობდეს დღესაც დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი და სცენიდან არ უნდა გვიმასპინძლდებოდნენ უხამსობით და ქუჩა-კიჟინების ჟარგონით. ამასთან, არ უნდა იბღალებოდეს ხალხური სახიერება და ქართული

1 უ. შექსპირი, ტრაგედიები, ტ. II, გვ. 84-85.

2 უ. შექსპირი, „ჰამლეტი", [illegible]

ენის გამომსახველობითი კეთილშობილება. მარჯანიშვილმა ჩაბადა ის, რაც უბან-უბან, ბაგარ-ბაგარ მოხეტიალე დასების საბაგრი მახვილსიტყვაობით იყო მოაგონებული და ყურადღება გაამახვილა სიტყვაზე კოშტყვაზე, ქამელეონის მსუბუქმეველობასა და სიტყვის სინამდვილის აღქმასა და შეფასებაზე. ქამელეონის მიერ გიდენშტერნის საპასუხოდ ნქმული: "დანია საპყრობილეა" მარჯანიშვილმა გაიგო, გააძლიერა და გააღრმავა, სინამდვილის ობიექტურ ასახვას /დანია საპყრობილეა/ სუბიექტური აღქმის ხაგვასტიი გამოხატვა დაუპირისპირა /"ჩემთვის დანია საპყრობილეა"/.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მარჯანიშვილი პიესის ავტორის ტექსტისადმი მეტად ფრთხილ და მოკრძალებულ დამოკიდებულებას მოითხოვდა. აკი, მილერზე მუშაობისას აცხადებდა კიდეც: "მე დაუშვებლად მიმაჩნია სიტყვების გამორეწა ტექსტის მიბარი, არც რაპ უნდა დამახინჯდეს, არც რამ უნდა გადაკეთდეს. მილერი მილერად უნდა დარჩეს. თუმცა, მე მოგან რამდენადმე შევამოკლე ტექსტი და გადავაადგილე მოგიერთი სურათი, ვინაიდან პიესაში აიის გაჭიანურებული მოგი ადგილები, ისტორიული ცვილებანები, ისინი აშოსაღებია, რადგან მოქმედების დინამიკას ანელებენ"[1].

ჯონის მოგონებებში კ. მარჯანიშვილი ამბობდაც, რომ ანაკლამდა აქტიორებთან მუშაობის დროს არაერთხელ მიუმართავს სტანისლავსკის თეორიის საფუძვლებისათვის[2] და, თუ დაკვირვებით გადავიკითხავთ ე.წ. რბეიქის წარკვეთას –"ჩემი ქამელეონ", აშკარად შეიმჩნევა, რომ პიესი ცილ ცალკეული სცენების მიზეზეიოად კი იყო დაყოფილი წაკვეთებად, პასუხებით კითხვებზე: "რას ვგრძნობ", "რა მსურს" /ოზენკრანცთან /ლადო ანდრონიკაშვილთან/ და გიდენშტერნთან

---

1 ე ა რ ჯ ა ნ ი მ ა ი ნ ი კ., მეოცე საუკუნის ლიტერატურა, თბ., 1972, გვ. 1, გვ. 359.

2 იქვე, გვ. 100.

/დიმიტრი მაკაშია, გიორგი სარჩიმელიძე/ შეხვედრის პირველ ნაკვეთი აღინიშნებოდა კამღეტის სიბარულით. - თავისი აღრინდელ მეგობრები წახა, ვისთანაც ნეტარი წლები ატარებდა გატარებული, ვისი წრფელი სიყვარულით იყო გული ანთებული, წახა და გაიხარა. ასე აღინიშნებოდა ამ სცენის პირველი ნაკვეთი.

როგორც კი კამღეტი-უნ. ჩხეიძე თავის ძვირფას მეგობრებს მოკიდხავდა, მათი მიკიბულ-მოკიბული კასუხი ეკუს აღუძრავდა, უნ. ჩხეიძის კამღეტი იყო ფრთხილი და დაკვირვებული, მას ვერაკას გამოაპარებდნენ. სიხარულს სევდა ენაცვლებოდა და იმდენადმე დაუოკებელი იყო სევდის გაუხარკვაში, რამდენადაც სიხარულით აღტაცებაში, გულსტკივილით და დანანებით შეყურებდა თავის ყოფილ მეგობრებს და ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, სულმდაბლობით დაეცნენ და დაკარგეს კაცური კაცობა, თუ სულგრძელობით შეინარჩუნეს მეგობრობაც და ადამიანობაც.

როგორც კი უნ. ჩხეიძის კამღეტი გადაწყვეტდა სიმარდე როზენკრანცსა და გიღღენსტერნის გამოკიხვით გაეგო, თავისი მდიდარი ბუნების მხედ სინერველეს მეგობრული გრძნობის წნევაზე განდას მაჯდამი მიმარდულ სიტყვებში აქსოვდა. იწყებოდა კამღეტის როლის ერთ-ერთი ყველაზე ძნელეკი მონაკვეთი - როზენკრანცსა და გიღღენსტერნის გამოტეხა, მათ მიერ ღირის აღიარება, რომ ისინი კამღეტთან იყვნენ შეგზავნილები. ოფელია და პოლონიუსი არ ეყოფოდა - ახლა ესენიც დაემატნენ. ოფელის ნარე შეიკრაო, ერთიანად მსხვერპლ-კაშუშებით იყო გაჯერებული. ამ მონაკვეთის ხორცსხხმისათვის მსახიობს დრამატურგისაგან არავითარი სხვა საშუალება არა აქვს შეთავაზებული გარდა იმისა, რომ კამღეტმა თავის ძმადნაფიცებს სიმარდე აოქმევინოს მეგობრობასა და ერთგულებისადმი სიყვარულზე დაფიცებით. როგორც აღნიშნული ტექნია /ვ.ვ.ვ-ვ5/, დაკო

ალექსი-მესიმწვილი როლის ამ მონაკვეთში ფიზიკურ მოქმედებას მიმართავდა, მის წინ მდგომ რობერტინასა და გიდენსტერნის დავუბს იღლიებქვეშ მოიმწყვდევდა და თავგადაწეულებს თვალებში მზერით ძიძგილებდა სიმართლე დაეწქვათ.

უშ. ჩხეიძე როლის ამ მონაკვეთში განცდის შინაგანი ძალით იფარგლებოდა. აქაც თავს იჩენდა ენებიანობის ის მასშტაბი, რაც ასე დამახასიათებელია ტრაგიკულის მაუალი, მარადი და გულმოგმნვდომი განსახიერებისათვის. სარეჟისორიდ განკუთვნილ ჰიესის ეგზემპლარში, იმ ადგილას, სადაც უშ. ჩხეიძის კამეტი თავის ძველ ცხოვრებას ყოველივეზე ძვირფასს აუცილებდა, სიმართლე ეთქვათ - დიდი პაუზაა ფანქრით აღნიშნული. ეს დიდი პაუზა განკუთვნილი იყო იმისათვის, რომ კამეტის გამჭოლ მზერას უპატიოსნობის ქვესკნელ გაეღვია, რომ იქ ჩაძირულ და ჩაკირულ პატიოსნებას ხმა ამოელო და სიმართლე ეთქვა.

ამ სცენაშიაც ძალუმად ჩანდა კამეტის ნებისყოფა და მეგობრების ხვდრა. უშ. ჩხეიძის კამეტი უსასრო, მერყევი და უნებისყოფო კაცი კი არ იყო, არამედ მიგანსნრაჟული პიროვნება, რომელსაც მუსნეცდა შეპარობა მნედაცუკულა უარეც მრახვებშიაც გარკვეული და მავხიერებელი ყოფილყო პრისხლიანი ეერაგობისა. განსაკუთრებით ძვირფასი და აღსანიშნავია უშ. ჩხეიძის მიერ კამეტის როლის ლოგიკური, თანმიმდევრული განვითარება, რაც ასე მკვეთრად ჩანს ამ სცენის გაანალიზებაშიც. აღქმის სისწრაფე და უნარიანობა, სურვილის აუქმა, ნიჭიერი ინტერპრეტაციის ამოცანის დასახვა, თანამესახიობებთან უნყვეტი ურთიერთობა და მეგობება, შინაგანი ენერგიის ძალა, მიგანსნრაჟული ნებისყოფის სიმეტკიცე და ვარეგნული გამომსახველობის სიმდიდრე - ყოველივე ეს შინაგანი განცდის უნყვეტი ლოგიკური ნაკადის კამეტიზაციაში ქმნიდა იმ დიდ სიმართლეს, რაც მაყურებლის თანაგანცდასთან ერთად უშ. ჩხეიძის კამეტისათვის მოკრძნდა

არარეალისტურად დიდი ნაბიჯებია.

რობესპიერისა და გიდენშტერნის გამოჭეხვის შემდეგ გასაგებია, რომ ერთბაშად უმ. ჩხეიძის პაპლეტი აღგზნებულ და წერილ ჩრებოდა, თითქოს მხიარულად, რაღენადაც ავკაცობასა და ბიროკრატიასთან ამ წერილებშიც ის გამარჯვებულ გამოდიოდა, თუმც, ეს გამარჯვება მას ძვირად დაუჯდა. ამ გამარჯვებამ ბავშვობიდან თანამგზავრობა მეგობრობაც ძირს დაამხო და გააცამტვერა. მართალია, გარეგნულად თითქოს მხიარულება ეუფლებოდა, მაგრამ ნამდვილად კი სამნიენ ტანჯვას განიცდიდა - მისთვის საკურთხიელად ქცეულ ქვეყანაში ჯაფუნ-მსხვერპლით იყო გარშემორტყმული და არაკისზე დანდობა არ შეეძლო[1]. აქაც, თინაგანი განცდის და გარეგნული გამომსახველობის წინააღმდეგობით მეპირისპირებაში, უმ. ჩხეიძე ტრაგიკოსი მსახიობისათვის აუცილებელ სიწრფელეს და სიმაიდეს აღწევდა.

როდესაც მარჯანიშვილმა 1907 წელს კიევის თეატრში შექმნა სახალხო დექცია-სპექტაკლების სერია, მას წინ წაუძღვარია დექცია-სპექტაკლი თემაზე "თეატრი და ცხოვრება", რომლის სასცენო იუსტრაციაში მისი დადგმით შეიქანა შექსპირის "ჰამლეტიდან" სცენა აქტიორებთან[2]. აქედანაც ჩანს, თუ ისა დიდ ყურადღებას აქცევდა მარჯანიშვილი ტრაგედიის ამ სცენას, რომელიც თეატრისათვის \საცნობ/ შესაძლებლად მიიჩნევდა შექსპირის მიერ ჰამლეტის პირით გამოთქმულ მოსაზრებებს. წლების მანძილზე ამ სცენას მარჯანიშვილ ამდაგვარი გაკეთება და გაანირება არ შეეცვლია.

მარჯანიშვილი და უმ. ჩხეიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სცენას მსახიობებთან. მათ აქ შეეძლოთ თეატრისადმი [illegible] უმ. ჩხეიძე, მოგონებები და წერილები, [illegible]

2 მარჯანიშვილი კ. წიგნიდან: [illegible]

1958 წ.
გვ. 199.

დაიანთი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ნათლად, მკვეთრად და დამაჯერებლად გამოეხატა.

მსახიობებმა სცენიდან,მსტოვარ-ჯაშუშებით აჭედილი სასახლის წყვდიადში, ავკაცობის ბნელეთში ნათელი სხივი იჭრებოდა, იქმნებოდა ჭეშმარიტების ნელთბის რეალური შესაძლებლობა. თეატრის ხელოვნებას დაწნაზე უპირატესი მნიშვნელობა ეძლეოდა. იგ სასწორზე დაიდებოდა იმქვეყნის ფილოსოფია და ხელოვნება, იმის გადაჭრაში "რაც ფილოსოფოსი სიბრძნით არც კი მოიაზრებიან", ხელოვნებას მიეცემოდა უპირატესობა სიბრძნის ნელთმასა და ეცნობის ამოცნობაში.

ამ სცენით მარკვანიშვილის დაგვმით და უმ.ჩხეიძის მიერ კამლეტის როლის შესრულებით ხაბგასმით იყო მინიშნებული საზოგადოებრივი ფენა, რომლის ძალითაც ადამიანის თავისუფლებამ შეიძლება ფრთა შეისხას და კამარა შეკრას. კამლეტი-უმ.ჩხეიძე მსახიობების მოსვლას დიდი სიხარულით ხვდებოდა, ერთი წუთის წინ ის საშინლად იყო აღგზნებული გიულდენსტერნისა და როზენკრანცის დაცინვით, თუმც არ იშრნევდა, მაგრამ საშინელ ტანჯვას განიცდიდა, რომ ამქვეყნად კამლეტი იყო სულით ობოლი, უიესაფარი. მარტოობის ხნარე გრძნობით ერთიანად შეპყრობილი.

მსახიობთა მოსვლა უმ.ჩხეიძის კამლეტს სრულად შეცვლიდა, უკუაგდებდა ქარაგმულ და გადაკრულ სიტყვებს, გამოინვევ ირონიას - იცი ცხრილ და მოსიყვარულე ადამიანად იქცეოდა. ან მოზეციალე ხალხთან უმ.ჩხეიძის კამლეტს სიახლოვე, სულიერი თანაზიარობა აკავშირებდა. მაგრამ შეხვედრისას კამლეტის მიერ ქართულად ნათქვამი "კალარკება" მაგდაში კანსაკუთრებულ სიახლოვეს გამოხატავდა. ალი, პირველ აქტიორს მიპარაკავდა "ჩემო ძეგლო მეგობარო" და დასის ყველა მსახიობს თავის ძეგლობრებად სახავდა.

აპასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ სცენა შესაფასებლად ქალეს ხელოვნებაში /ლორენა ა./, სადაც კამლეტი

სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებზე ბაასს გაუბამს და რომელსა შესახებ პორაცის ეტყვის: "ბაღში მიდექს ისე გაისტატე, რომ გლეხებიც კი ცდილობენ დაკვადებს აღარ ჩამორჩნენ და ოხუნჯობაში ლაბის გაგასწრონ"[1].

უმ. ჩხეიძის კამლეტისადმი პლებეურს, რაგრეც სოციალურ წეწებად სიახლოვეს კანსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა. საშფოთა დეპრის რეჟისორისა და მსახიობის მიერ ამის ხაგგასმა იმის მოწმელი იყო, რომ კლასიკურ ნაწარმოებთა ახლებურ წაკითხვას და გაგებას ფარდი საშიელი ქონდა მოპოვებული.

წეშიზვეთით არ უნდა იყოს, რომ მიხეილ ჩეხოვიც დაკის დაგმაში და კამლეტის როლის გაწსახიერებაში მსახიობთა სცენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რაც უკვე მქონდა აღნიშნული /გვ. 97-98/. დღეს, 70-იანი წლების საშეკარგარეთო დეპრში, შექსპირის საშხიობოში, ინგლისში, შექსპირის მემორიალური დეპრის რეჟისორის ტრევორ ნეხის დაგმაში კამლეტის როლის შემსრულებელი ჯონარი აცხადებს: "კამლეტი ისეთ საზოგადოებას შეეკარა, რომელშიც ის აუცილებლად იქცევა სხვადასხვა ბიღხით შეწიღნულ მსახიობად, მხოლოდ ამგვარად შეუძლია მას კონტროლ გაუწიოს დაკით ბილიდე, ყოველივე იმას, რაც ელსინორში ხდება"[2]. ამის საფუძველს ჯონარს არა მარტო კამლეტის მსახიობობის მიახლოვე აძლევს, არამედ ისიც, რომ, როდესაც კამლეტი აქტიორებს შეახსენებს, თ რომელ ლექსი უნდა წარმოქვან, თვით ისეთ ხელნებით წაიკითხავს ლექსის დასაწყისს, რომ პოლონიუსი შენიშნავს: "ღმერთს გეფიცები, ხელწერის შვილ, მშვენიერად ბრძანეთ, კილოთი და საათი გამოცდილებით". უნდა ისიც გავიხსენოთ, რომ

---

[1] რუსულ თარგმანში: "...все стали до того мастера, что мужик носком задевает пятки придворного и бередит ему болячки /Лобанов/; ხელახლა უფრო ზუსტი თარგმანით: "...все на свете обострилось и мужик так наступает на пятки дворянину, что сдирает ему мозоли /А.Радлова/.
В Ш э к с п и р М., Искусство, начало 70-х годов. "Театр", 1972, стр.188.

მ. ჩეხოვის ჰამლეტი პანტომიმურ სცენაში მსახიობებს ასწავლიდა, თუ როგორ უნდა წარმოადგინონ მათ მეფის მოწამვლა – ე.ი., ჰამლეტი მიმართავდა რეჟისორულ ჩვენების ხერხს.

მთავარი კი აქ ის იყო, რომ ჰამლეტისათვის სიმართლის დადგენაში სამართლის შეცნობის გზად და ხიდად თეატრის ხელოვნება იყო მიჩნეული. ამით შექსპირი თითქოს უპირისპირდებოდა პლატონისეულ გაგებას, რომლისთვისაც კულტურის უმაღლესი ფორმა იყო არა ხელოვნება, არამედ ფილოსოფია, ადამიანის უმაღლეს სახედ მიჩნეული იყო არა ხელოვანი, არამედ ფილოსოფოსი. ხელოვნება პლატონს ლანდის ლანდად, მიბაძვის მიბაძვად, ნიღბის ნიღბად მიაჩნდა.

შექსპირი ამას არ ეთანხმებოდა. ლანდის ლანდი, ჩრდილის ჩრდილი. მისთვის არ იყო საკმარისი ჭეშმარიტების დასადგენად, ვერც ჰორაციოს განსწავლულობა უშველიდა მას – აკი ეუბნება: "ბევრი რამ არის, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოელანდებათ" სინამდვილის ასახვაში. ხელოვნებაზე შეიძლება დამყარება, რამდენადაც არისტოტელეს განმარტებით, "ასახვა მეტყველებისა და მიმის აძვრის საშუალებით ამგვარ ვნებათაგან განწმენდას – კათარზისს /ძვ. ქართულით: წინაგანწმენდას, წინაგანსწავლას"/ ეწოდებს.

ჰამლეტი არ კმაყოფილდება მარტო თავისი დაკვირვებით მაყურებელზე, როცა ის ამ განწმენდაში მოექცევა და თავის დაკვირვებას ამოწმებს. აქ საოცარ ამბავთან გვაქვს საქმე; იგი ცდას ამოწმებს საკონტროლო დაკვირვებით, რასაც ჰორაციოს მიანდობს.

ცდისათვის საჭირო სიტუაციას იძლევა გონზაგოს სიკვდილის წარმოდგენა: ცდის პირია კლავდიუსი, დამკვირვებელი და ექსპერიმენტატორი – ჰამლეტი, ხოლო დაკვირვების კონტროლს ეწევა ჰორაციო. ეს პირდაპირ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტია, რაც მეცნიერებაში მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრის, უკანასკნელ მეოთხედში დაინერგა.

მარჯანიშვილის მიერ ჰამლეტის დადგმით შექსპირი შექსპირად დარჩა.

ამოღებულია ის, რაც ისტორიულ წყაროებს ეხება, რაც მოქმედების განვითარებას აწელებს. გამახვილებულია სოციალური კონფლიქტი, ხაზგასმულია ჰამლეტის მსოფლმხედველობის, სოციალური სინამდვილის აღქმის და შეფასების ამსახველი ადგილი.

უშ. ჩხეიძე-ჰამლეტი არავითარ ჭკუაშეშლილობას არ ამჟღავნებდა; პოლონიუსთან სცენაში უშ. ჩხეიძის ჰამლეტი ირონიისა და სარკაზმის ძალით იყო შეამაღლებული.

უშ. ჩხეიძის ჰამლეტის სახიერება კაპიტალური შესრულებით ილინთებოდა თანამედროვეობით /სოციალური, კლასობრივი მიდგომა/ და ეროვნულობით /ქართველი რეალისტური დრამატურგიისა და სასცენო ხელოვნების ტრადიცია/.

უშ. ჩხეიძის დიაპაზონი /ტრაგიკული და კომიკური როლების თანაბრად დაძლევის მაღალნიჭიერება/ რეალურ საფუძველს უქმნიდა მარჯანიშვილს სინთეზურობის განმტკიცებისათვის ქართულ აქტიორულ ხელოვნებაში. უშ. ჩხეიძე ჰამლეტის შესრულებას ამდიდრებდა მრავალმხრივი ფერებით, ნათელ-ჩრდილების მონაცვლეობით.

როზენკრანცა და გილდენსტერნთან სცენაში უშ. ჩხეიძე თავის როლს ლოგიკური თანამიმდევრობით და გადასვლების კონტრასტული მონაცვლეობით ავითარებდა. უშ. ჩხეიძეს აღმოაჩნდა ვნებიანობის მასშტაბი, რაც დამახასიათებელია ტრაგიკულის მაღალი, მართალი და გულ-შიჩამწვდომი განსახიერებისათვის.

მსახიობებთან სცენა მარჯანიშვილის მიერ გააზრებული და უშ. ჩხეიძის მიერ განხორციელებულია თეატრისადმი ღრმა სიყვარულით და რწმენით, იმის ცოდნით, რომ სასცენო ხელოვნებას დიდად ეხმარება ადამიანის სინამდვილის შეცნობასა, სიმართლის წვდომასა და ეპოქის ამოცნობაში.

ეთერ დავითაია

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, თეატრისა და კინოს ისტორი-ისა და თეორიის სამეცნიერო სექტორის უფროსი მეცნიერი თანამ-შრომელი

"კვაჭი კვაჭანტირაძის" დადგმის ა. ახმეტელისეული ჩანაფიქრი

/ახმეტელის განუხორციელებელი დადგმა/

ალ. ახმეტელი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ყველაზე მეტად ქართული ეროვნული თეატრის შექმნისათვის იღწვოდა, რისთვისაც, უმთავრესად, ხალხური ნიღბების თეატრის -"ბერიკაობის" გამოყენება მიაჩნდა. ბერიკაობის ნიღბების გამოყენებისათვის იგი დიდხანს ეძებდა პიესას, უფრო მეტიც, ეძებდა ავტორს, ვინც მის ჩანაფიქრს განახორციელებდა; ბოლოს და ბოლოს, მიაღწია კიდეც მიზანს, მაგრამ ეს სპექტაკლიც მის განუხორციელებელ ოცნებათა რიგს განეკუთვნება.. პირველი პიესა, სადაც ახმეტელმა ინტერმედიებსა და პიესის პერსონაჟებში ბერიკაობის ნიღბების გამოყენება სცადა, იყო მ. ჯავახიშვილის რომანის მიხედვით შალვა დადიანის მიერ ინსცენირებული "კვაჭი კვაჭანტირაძე". ნიღბებისათვის ინტერმედიები დაწერეს ია ქანთარიამ, პეტრე კობახიძემ და ემანუილ აფხაიძემ. სამწუხაროდ, დღემდე ვერ აღმოვაჩინეთ ვერც შ. დადიანის პიესა და ვერც ინტერმედიები; ამიტომ ჩვენი გამოკვლევა მხოლოდ საარქივო დოკუმენტების ჩანაწერს ეყრდნობა. როგორც ეს ჩანაწერები მიგვანიშნებენ, მუშაობა ძალიან საინტერესო უნდა ყოფილიყო და ამდენად სპექტაკლიც საინტერესო უნდა გამოსულიყო, რომ ახმეტელს მუშაობა არ შეეწყვიტა. მუშაობის შეწყვეტის მიზეზის დაზუსტება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ საყურადღებოა, რომ ზემდგომმა ორგანოებმა არ დაამტკიცეს რეპერტუარში შეტანილი "კვაჭი კვაჭანტირაძე" როგორც იდეურად სუსტი ნაწარმოები.

სპექტაკლი ყოველ საინტერესო იქნებოდა მხატვრული გაფორმების თვალსაზრისითაც, როგორც იმ დროისათვის უჩვეული. მაქსიმალურად ცხოვრებისეულ სინამდვილეს მიახლოებულ დეკორაციებს მიჩვეულ მაყურებელს, ალბათ, ძალზე დააინტერესებდა პირობით დეტალებში გადაწყვეტილი დეკორატიული გაფორმება, მით უმეტეს, რომ ამ დეტალებს სცენაზე თვით შემსრულებლები დგამდნენ.

* * *

"კვაჭი კვაჭანტირაძის" დადგმაზე მუშაობა ახმეტელმა 1927 წლის ზაფხულში, ბორჯომში დაიწყო, სადაც დასი დასასვენებლად და მომავალი სეზონისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად გაემგზავრა. აქვე ამზადებდა ახმეტელი, აგრეთვე განუხორციელებელ დადგმას, შექსპირის "მეფე ლირს".

როგორც რეპეტიციების ჩანაწერიდან ჩანს, "კვაჭი კვაჭანტირაძის" დადგმაში ახმეტელს დ. ანთაძე ეხმარებოდა. 19 სექტემბრის რეპეტიციის დღიურში მითითებულია: "რეჟისორ დ. ანთაძის მიერ ახსნილ იქნა როლების და პიესის ხასიათი, ამასთანავე გავლილ იქნა I სურათი". დ. ანთაძე არ იყო თანადამდგმელი, მაგრამ, ჩანს, კარგად იცნობდა ახმეტელის ჩანაფიქრს და შეეძლო შემსრულებლებისათვის ამა თუ იმ სცენის სათანადო ახსნა-განმარტება მიეცა.

მ. ჯავახიშვილის რომანი "კვაჭი კვაჭანტირაძე" სცენისათვის გააკეთა შალვა დადიანმა. დადგმას ახმეტელმა მოანდომა 93 რეპეტიცია /მუშაობა დაიწყო 1927 წლის 4 ივლისს, შეწყვიტა 1928 წლის 23 მარტს/. მუშაობის შეწყვეტის მიზეზი დღემდე გაურკვეველია. ვერსად მივაკვლიეთ სათანადო დოკუმენტს. რეპეტიციების ჩანაწერებში, რომელსაც აწარმოებდა შალვა წერეთელი, მინიშნებულიც არ არის ისეთი რამ, რაც მუშაობის შეწყვეტის მიზეზს განმარტავდა. მუშაობის პროცესში თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ამ რეპეტიციების ჩანაწერებიც საკმაოდ კარგად

არის შესრულებული და მ. ჩერეთელს მრავლ ვერ დაუდებდა, თიმურის კარგად ვერ ჩაინიშნა მთავარი მომენტები. დადგმაზე საინტერესო მუშაობა წარმოებდა, როგორც სახეთა გახსნის თვალსაზრისით, ასევე სპექტაკლის ფორმის გადაწყვეტის და პიესის სრულყოფის მხრივაც.

ბუნებრივია, ასეთი საინტერესო ჩანაწერების საშუალებით გვინდოდა, რაც შეიძლება მუსტად ამოგვეკითხა დადგმის ავტორისეული გეგმა, მაგრამ, სამწუხაროდ, პიესას ვერ მივაკვლიეთ; არა-და ავტორის საშუალო ეგზემპლარის, არამედ მ. დადიანისეულ პიესასაც კი. ეს უკანასკნელი არც საქარიველოს თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმში აღმოჩნდა, სადაც დავმყარილა მაღვა დადიანის მდიდარი არქივი მისი თეატრალური მოღვაწეობის ყველა სფეროდან. ეს ვარიანტი რომ გვეპოვნა, იქნებ მიახლოებით მაინც აღგვედგინა ის ვარიანტი, რომელიც რეპეტიციებზე მსახიობების დახმარებით გააკეთა ავტორმა. როგორც რეპეტიციების დღიურებიდან ირკვევა, ავტორს მიაჩნდა, რომ დადიანმა რომანიდან პიესაში ბევრი რამ საჭირო და აუცილებელი არ შეიტანა. ასეთი სცენები თავად შეიტანა ინსცენირებაში. დადიანისეული ინსცენირების მოგიერთი სცენა ავტორს მოქმედების მსვლელობისათვის ხელისშემშლელად მიაჩნდა და ამოიღო. საერთოდ, პიესის ირგვლივ ასეთი აზრი ჭქონდა: "უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პიესაში ხშირად მეორდება, ან ხშირად ნაადგას ერთი სცენა მეორეს, რაც პიესას ასუსტებს, ამიტომ საჭიროა გამოტოვებულ იქნას სურათები, რის შემდეგაც ინტერესდება "არტისტიკულად" შეაერთებს ერთ სურათს მეორე სურათთან. ამრიგად, პიესა გაშლის დროს იქნება სრულიად გასაგები და გამოქვეყნილი". მუშაობის პროცესში ავტორს მუდამ ხელთ ჭქონდა რომანი და შესწორებებს ამა თუ იმ სცენას თვით რომანიდან უკითხავდა. მას ეს სჭირდებოდა სიტუაციისა და ვასიათების მეტი კონკრეტულობისათვის.

თუმცა მიხეილ კავახიშვილი ლიად იყო დაინტერესებული ქაქისი

რომანის გასცენიურების ბედით და 12 ივლისს, მოსკოვში ჩავიდა, რათა მოესმინა თეატრისეული ვარიანტი. ალ. ახმეტელმა არა/თუ მოასმენინა რეპეტიცია იმ დონეზე, რომელზედაც იგი იმჟამად იყო /მიმდინარეობდა მეორე რეპეტიცია/, არამედ აუხსნა თავისი ჩანაფიქრი ზოგადად და დეტალურად. ამ დღიურში არ არის ჩაწერილი მ. ჯავახიშვილის აზრი, მიიღო თუ არა მან თავისი რომანის წარმოდგენილი ინსცენირება და დადგმის ახმეტელისეული გეგმა.

ახმეტელს პიესის დადგმა ძალზე თავისებურად ჰქონდა ჩაფიქრებული, იყენებდა ბერიკაობას ინტერმედიებში, რომლებსაც წერდნენ პეტრე კობახიძე, ემანუილ აფხაიძე და ია კანთარია. მუშაობის პროცესში ამ სამეულს დაევალა პიესის გადაკეთებაც. სამწუხაროდ, ვერც ინტერმედიების ტექსტს მივაკვლიეთ. ია კანთარიას არქივი არ არსებობს, ემ. აფხაიძის არქივი ზოგადად გადაეცა რუსთაველის თეატრის მუზეუმს, მაგრამ იქ არაფერი აღმოჩნდა, არც პ. კობახიძის ოჯახშია არავითარი ჩანაწერი.

ინტერმედიები თითქმის ყველა სურათის წინ იყო ჩართული და გამოიყენებოდა როგორც მოქმედებასა თუ სურათში გათამაშებული ამბის შეფასება. მაგალითად, იმ სცენის წინ, სადაც სილიბისტროს კვაჭის წერილი მისდის, ჩართული იყო ინტერმედია "წერილი", სადაც არა ამ კონკრეტული წერილის, არამედ საერთოდ წერილის ირგვლივ თამაშდებოდა ინტერმედია. გიმნაზიის დამთავრებასთან დაკავშირებით გათამაშებულ სცენაში ჩართული იყო შესაბამისი ინტერმედია. მეორე მოქმედების დასაწყისში მიდიოდა ინტერმედია და მოქმედება გადადიოდა გემზე და მიგა და მიგ ჩართული იყო სცენები ამ ინტერმედიიდან. მითითებულია აგრეთვე ინტერმედია ქისას და ღვინის დიალოგი კვაჭიზმზე, როგორც მოსამზადებელი კვაჭისა და რებეკას დიალოგისათვის გემზე. ინტერმედიების დანიშნულება და მიზანი შემდეგნაირად აქვს განმარტებული ახმეტელს: "ყველა სურათის დასრულებისას გათამაშებული ინ-

ნება ინტერესდია, რომელიც მაკისი მოქმედებით საკუთარი შეუსაბამება პიესის შინაარსს და სურათს. ინტერესდის მსვლელობის დროს მზადდება შემდეგი სურათისათვის ყოველივე /დეკორაცია, ავეჯი და სხვ./, ამის შესრულების შემდეგ გადაჭრილ იქნება ანტრაქტის სატიტრი" /14 ივლისი, რეპ. №10/. სცენაზე ავეჯი და ყველა სხვა ნივთი შემოკრებილი მოქმედ პირებს, მაგ. №44 რეპეტიციაზე აღნიშნულია მეორე სურათი: "ყველა ეს ნივთები უნდა მოამზადოს რეჟიმ, მოდემ, მიგრინიამ და მოგრინიამ". ეს ეხება არა მხოლოდ სცენის წინასწარ მომზადებას მაყურებლის გარეშე, არამედ მაყურებლის წინაშე სცენაზე - "პირველი სურათის დამთავრებისთანავე ეს მაგიდა შემოაქვთ შუა სცენაზე რეჟის და მოდეს".

ამ სპექტაკლში საქართველოში პირველად ამბობდა ჩაიფიქრა მსახიობების მიერ სცენაზე საკირი მოქმედების გაღრმავება. მსახიობებს შემოკრებილი და გაკრებილი სურათისათვის საკირო "სტანიკებიც" კი. რამოდენიმე ათეული წლის შემდეგ ასეთი ხერხის გამოყენება თეატრში საოცარ სიახლედ ითვლებოდა. "კვაჭში" ამბობდა ჩანაფიქრი, ვფიქრობ, არ იყო ცნობილი, მაგრამ ისიც არავის გაუსინებია, ასეთი ხერხი ქართულ თეატრში კ. მარჯანიშვილმა რომ გამოიყენა მ. დადიანის პიესაში "კაკაც გელში"; თუ "კვაჭი" არ დადგმულა და ამდენად ამ ხერხის შესახებ მხოლოდ მკვლევარმა აღმოაჩინა,"კაკაც გელში" რომ დადგმული იყო მარჯანიშვილის მიერ თავის თეატრში და მრავალ წელს იდგმებოდა მისი სიცოცხლის შემდეგაც კი. მომდევნო თაობას უნდა ევალებოდეს ტრადიციის გაგრძელება და პატივისცემა.

როგორც ვხედავთ, ამბობდა ისეთ რთულ სანახაობას აშენებდა, რომ შესაძლოა მის განხორციელებას ერთი საუკუნე არ ეყოფოდა და აიტომ განზრახული ჰქონდა ირ საღამის გაუშვა.

სპექტაკლს მხატვრულად აფორმებდა ირ. გამრეკელი, ხოლო მუსი-

კაცურად ი.ტუსკია. მაგ ამბობენ ბიერ კონკრეტულ დავალება ქონდაო მიცემული. ი.ტუსკია წერდა მუსიკას როგორც ძირითადი მიქმედებისათვის, ასევე ინტერმედიებისა და ბერიკაობისათვის.

რეპეტიციების ჩანაწერიდან ჩანს, რომ სპექტაკლში უნდა ყოფილიყო მუსიკალური ნომრები, სხვადასხვა რეპეტიციაზე მოსმენილ იყო შემდეგი მუსიკალური ნომრები: არლეკინადის დასაწყისი ; სიმღერა - "ქალი მოხვნიდა"; მაიში მესამე სურათში ქოსას და ნაცარქექიის დიალოგისათვის; წანა: "საცვარელი მყავს და მიყვარს"; "ეი, ტეი" - მღერიან მიჭრინია და მიჭრინია; "მე ვარ და ჩემი ნაბადი გამოენებელი ღამისა", რომელსაც მღერიდნენ ქოსა და ნაცარქექია; დაბადების სცენისათვის: "ოი, დილიდე, დილიდე" მესამე სურათში, მღერიან მიჭრინია და მიჭრინია; "მივდივარ ღამაც ქუთაისს", მღერიან ყველანი მესამე სურათის დასასრულს. როგორც ჩანს, ეს ჯერ კიდევ არ არის მთელი სპექტაკლის მუსიკა. რეპეტიციების შეწყვეტასთან დაკავშირებით საბოლოდ ინფორმაციაც შეწყდა.

ბერიკაობის ტიპაჟებს ამბობენ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ მხატვარმა ირ.გამრეკელმა 22 ივლისს ქოსაჯყვილას და ნაცარქექიასი, მამასახლისისა და მწერლის, 3 აგვისტოს: ცაბაკა და გოგონა; "კოკონა და აგუნა; მამასახლისი და მწერალი; "ჩარჩი და ირჩი; მიჭრინია და მიჭრინია; რეჟი და ბოდე განმეორებით შესწორებული ესკიზები მოიტანა. წარმოდგენილი ესკიზებიდან ამბობენ ყველა მიუღია, გარდა ბოდესი; მასზე შენიშვნები მიუცია და საბოლოდ შესწორებისათვის უკან დაუბრუნებია.

ძალზე საინტერესო იყო აღმაც სპექტაკლის დეკორაციული გაფორმება. მასზე მინიშნებულია იმ რეპეტიციებში, სადაც აღწერილია

სცენები; როგორც ჩანს, სცენა ცარიელი იყო და ყველა სცენას მოქმედი პირები შეავსებდნენ დეტალებით, მცირე ზომის "სტანოკებით", რაც ამა თუ იმ კონკრეტულ ადგილს მიუთითებდა. პირველი მოქმედების შემდეგ სურათის გაფორმება ძალზე საინტერესოდ ყოფილა ჩაფიქრებული: "სცენა ცარიელია. რეფოს და ზოთეს შემოაქვთ დიდი კასრი; კასრი, გახსნის შემდეგ, წარმოადგენს რესტორანს, სადაც მოთავსებულია ოთხი მაგიდა და ჩვიდმეტი სკამი". როგორც ვხედავთ, სპექტაკლი ძალზე მსუბუქად და საინტერესოდ იყო გაფორმებული; შეიძლება ითქვას, უცნაურადაც იმათთვის, ვინც სულ მალე თავის შემოქმედებით პრინციპად დიდ კონსტრუქციულ დეკორაციულ გაფორმება გაიხადეს.

პირველ რეპეტიციაზე დღიურში ძირითადი მოქმედი პირების განაწილებაა ჩაწერილი, შემდეგ კი, თანდათანობითი მუშაობისას, ჩამატებული სცენების მიხედვით, ემატებოდა გმირები და მათი შემსრულებლები. საბოლოოდ ასეთი სახითაა წარმოდგენილი:

კვაჭი კვაჭანტირაძე – გ. დავითაშვილი
სილიბისტრო – პლ. კორიშელი
ბესო ბიქია – მ. ლორთქიფანიძე
სედრაკა ავლაბრიანი – გ. სარჩიმელიძე
ჯალილ – დ. მჭავია
ქიპა ქიპუტირაძე – ალ. ომოლიანი
ცვირი – მ. მრეკლიშვილი
ჩხუბიშვილი – შ. ღამბაშიძე
ისააკ იდელსონი – ლ. ადამიძე
ვერიჩკა – ეკ. კელია
რებეკა – თ. წელკიძე
პავლო – სფ. ჯაფარიძე
ელენე – თ. ჭავჭავაძე

ტანია — ნ. ჭიჭინაძე

რასპუტინი — აკ. ხორავა

დედოფალი — თ. ღვინიაშვილი

ნიკოლოზ II — პ. კორიშელი

არევაძე — ელ. ლორთქიფანიძე

სიდოროვი — პ. მურღულია

მოძღვარი — მ. სარაული

ლოხტინა — ს. ბეჟანიშვილი

სამღერი — ივ. ლაღიძე

ლუკიანოვი — მ. ვარდოშვილი

ილიოდორი — პ. მურღულია

სუხომლინოვი — ელ. ლორთქიფანიძე

კურაკინისა — ქ. ჩეჩელაშვილი

მაკაროვი — ვ. მიხაშვილი

ერთ-ერთ რეპეტიციაზე კიდევ დაემატა რამოდენიმე პერსონაჟი:

ხუხუ — ელ. ლორთქიფანიძე

მოჭია — ნ. ჯავახიშვილი

დედაკაცები:
- ნ. ალექსი-მესხიშვილი
- თ. ღვინიაშვილი
- მ. სანაძე

ინტერმედია "არლეკინადა"

I ჯგუფი:

აგუნა — გ. სადარაძე

კოკობა — ივ. ჯორჯაძე

იჩუჩი — ივ. აბაშიძე

მწერალი /ბეწვია/ — დ. ყაზაიშვილი

ქოსატყუილა — ეშ. აფხაიძე

რეფი - პ. კობახიძე

მოფრინია - ს. თაყაიშვილი

II ჯგუფი:

ცანგალა - მ. ბერიაშვილი, ივ. ლალიძე

გოგონა - ნ. ივანიცკაია

ჩარჩი - ნ. წულაძე

მამასახლისი /ქევხა, ბეჭდოა/ - პ. კანდელაკი

ნაცარქექია - ვ. გოთაშვილი

ბოთე - ია ქანთარია

მოფრინია - ნ. შავიშვილი

მეექვსე რეპეტიციაზე ამ ინტერმედიის შინაარსის მოკლე აღწერაა ჩანიშნული. როგორც მოქმედ პირთა სახელები მიგვანიშნებენ, ისინი აღებული არიან ხალხური თქმულებებიდან და ცხადია ინტერმედიაშიც ამის მიხედვით იყვნენ გასახიერებულნი. ინტერმედია იწყება ნაცარქექიასა და ქოსატყუილას დიალოგით. თავდაპირველად სიმღერით შაირობენ თავიანთი პერსონაჟის შესაბამისი კუპლეტებით. შემდეგ შემოდიან მათი მხრის წარმომადგენლები. ინტერმედიის ბოლოს შემოდის კვაჭის მამა სილიბისტრო და უკვე იწყება პიესით გათვალისწინებული მოქმედება.

სხვადასხვა დროს, მუშაობის პროცესში, საჭიროების მიხედვით, მოცემულია ზოგიერთი გმირის დახასიათება, რომელსაც მოვიყვანთ ჩანაწერის მიხედვით:

ილლიონი - ლ. ადამიძე. ცქვიტი, ცმაკუნა, გაქნილი, ნერვული ტიპი /განსაკუთრებით ციხიდან გამოსვლის შემდეგ/, ჩაცმული სუფთად. მდიდარი, მაგრამ არა მოსმქვრეტელი. ცხვირზე სათვალით, მაგრამ იყურება მუდამ არა პირდაპირ სათვალეში, არამედ ზევიდან, თმახუჭუჭა.

პაველი – სტ. ჯაფარიძე. ძალიან დიდი ფრანტი. მაინცდამაინც არა დიდი ჭკუის პატრონი. ხელში სტეკი. გამოწკეპილი გალიფეში, დებებით. ფულის დიდი მოყვარული; შეუძლიან დაიმოს ფულისათვის ყოველივე.

არევაძე – ელ. ლორთქიფანიძე. ტიპი ძველი ტერორისტის, მაუზერისტი. გამოჭიმული განიერ ბაღაბში. დიდი წარმოდგენის მაჯის მაკვე.

ჭიპა ჭიპუნტრიაძე – აღ. ტორტლიანი. ტიპი ცერცეტა მონაჯის, რომელსაც ყველა დასცინის და აბუჩად იგდებს. დიდი ცნობისმოყვარე. კვაჭის ჯიბის ძვალი. დიდ გაქნილი კაცი.

სედრაკ აკლაბრიანი – გ. სარჩიმელიძე. ტიპი აკლაბრელ სომეხ ვაჭარ კინტოსი. ერთ-ერთი ნეკრი კვაჭიზმის.

ჯალე-თათარი – მ. მჭედლიშვილი. ნეკრი კვაჭიზმის. ტკბილეულობით მოვაჭრე და ამჟამად დროს კვაჭის დამბმარე ელემენტი.

ბესო ბიჭია – მ. ლორთქიფანიძე. კვაჭის მარჯვენა ხელი. კვაჭის შემდეგ პირველი კაცი და მეორაული კვაჭიზმის.

რასპუტინი – აკ. ხორავა. დიდი ღვთისმნიერი და მორწმუნე კაცი, ამავე დროს გაბრიყვილი. ლაპარაკობს სხარტად ეკლესიისებურად.

ლიზინა – ს. ბეჭანიშვილი. ტიპი იგივე დამახასიათებელი ხანებში, როგორც რასპუტინი. ნამოსხმული შავი ნაძოსასხამით. უსუფთაო. თავზე წარწერა "ჩემში არის ყოველი ძალა. ალიუია". ლაპარაკობს ნანყვეტ-ნანყვეტად /"სტოკატო"/ ქალაგისებურად /აღაგ-აღაგ და დროგამოშვებით ნაბევარი სიმღერით/.

მოძღვარი – მ. საბაულ. ლაპარაკობს ბანით და ბურდუნით.

ილოდარი – პ. მურღულია. ბერი, დიდ სკანდალისტი. სახე ყვითელი ფერის, დიდ თმა-წვერი. ბის როგორც ტიკისა.

ტანია – ბ. ჭიჭინაძე. ღვთისმნიერი, დიდ სორწუნე ადამიანი, მაჭრაკ გაშრინილი, არაფრით არ ჩაეღრეშება რასპუტინს გაბრინილ-

ბით. ჰყავს პირადი მდივანი, რომლის საშუალებითაც ეწევა მაჭანკ-ლობას.

ჩარჩი, იჩეჩი, მამასახლისი და მწერალი. გამოყვანილია სხვადა-სხვა ვარიაციებით ერთი საერთო დევის ნიღბით.

მამასახლისი – წარმომადგენელია წეს-წყობილების. ტიპი აღე-ბულია ხალხური თქმულებიდან /ისტორიიდან საქართველოს და სპარსე-თის ან ოსმალეთის დამოკიდებულებებიდან/. ეს ტიპი უდრის კომედია დელ-არტედან კაპიტანს. თვითონ ტიპი როგორც წარმომადგენელი მბრ-ძანებლობის, ხალხურ დღეობებში გამოყვანილია თათრის სახით, რო-მელსაც თავი აქვს მიბმული ღორისა და ხელში უჭირავს მათრახი.

ხალხური თქმულებებით აღებული მწერლის ტიპი კომედია დელ-არ-ტედან უდრის ფილოსოფიის დოქტორს, რომელმაც იცის ყველაფერი და პირველ შემხვედრისთანავე ცდილობს გააცნოს მეორე პირს თავისი ცოდნა.

დევი – ხალხური წარმოდგენით არის ერთი უზარმაზარი ესა თუ ის მაბეზარი და შემაშინებელი ტიპი, უფრო ხშირად გამოყვანილია ვაჭარი და წეს-წყობილების წარმომადგენელი. რაც შეეხება სიდიდეს, ეს მოვლენა აიხსნება შემდეგით: საბერძნეთის თეატრში ესა თუ ის ტიპი გამოიყურება გადიდებული სიდიდის ზომის ნიღბებით, რომ ხალხისათვის, რომელიც უყურებს ცოტა მორიდან, დასანახავი ყოფილ-ყო; აქედან წარმოდგენით თვითონ ტიპიც გაიზარდა გადიდებულად და გაასკეცებულად[1].

ამას გარდა, ზოგიერთ სხვა მოქმედ პირს ოცდამესამე რეპე-ტიციაზე მიეცა განმარტება: ქისა – ეპიფანე ფოსტალიონი. ეს გმი-რი მოგეხსენებათ იყო ინტერმედიის, მაგრამ პიესაში გაკეთებულ

1 შედგენილია მეშვიდე, მეცხრე და მეცხრამეტე რეპეტიციების ჩანაწერის მიხედვით.

ცვლილებების /ეს ცვლილება გაუკეთებიათ პ. კობახიძეს, ი. ქანდარიას და ეშ. ახვლედიანს/ გამო პიესაში იქნა შეყვანილი და მოენახა ფუნქცია. ასევე მიზნად კიდევ ინტერესელის რამოდენიმე პერსონაჟის მიმართ: ჩეხი - პიესაში შეიძლა კოლორიტა მოეგვას სახელით, მაგრამ მისი ფუნქცია არ არის მითითებული. ბიჭე - იგივე ყოფა მეკვირცხლეურია და მიფრინია - მარგალიტა მოსამსახურე.

მოქმედ პირთა შორის დახასიათების გარეშე დარჩნენ /ჩანაწერის მიხედვით/ პიესის ძირითადი გმირი კვაჭი და კიდევ სხვები, მაგალითად, სილბისტრო, ცვირი, ჩხეიძეილი, ვეროჩკა, რებეკა, ელენე, დელფალ, ნიკოლოზ II, სიდოროვი და სხვები. გაკვირვებას იწვევს, რომ კვაჭი არ არის დახასიათებული, თორემ დანარჩენებს შეიძლება რეპეტიციების დროს გაადაგმა, სიტუაციების შესაბამისად მოუნახა განმარტება ავტორმა.

აქვე არ შეიძლება არ მივიხსენიოთ ის ფაქტი, რომ კვაჭის როლზე ავტორს გიორგი დავითაშვილი ჰყავდა დანიშნული. ეს ფაქტი მოგვეხმარება ტიპის ავტორისეული განმარტების მიხვედრაში. რაკი მან დავითაშვილს დააკისრა ეს როლი, ჩანს, ჩაფიქრებული ჰქონდა გარეგნულად ძალზე სიმპათიური, მოხიბლავი, ბავშვისადმი ნდობის გამომწვევი ყოფილიყო კვაჭი. ყველა ეს თვისება მუდამ ჰქონდა გ. დავითაშვილის მიერ განსახიერებულ როლებს. თვით ფრანცის /შილერის "ყაჩაღები"/ განსახიერების დროსაც კი გარეგნულად სიმპათიური იყო, მის სახეზე არ იხატებოდა ბოროტების კვალი.

ამ სპექტაკლზე მუშაობის დროს განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ავტორმა ასისრულა დიდ ხნის ოცნება: ბერიკაობის, როგორც ხალხური თეატრის საუკეთესო ნიშნების, სცენურად გამოყენება. სპექტაკლში ბერიკაობა ავტორს ჩარიული ჰქონდა როგორც ინტერმედია და იგი რამოდენიმე სურათად იყო დაყოფილი. როგორც ორმოდმოქმედებიანი რეპეტიციის ჩანაწერიდან ვგებულობთ, იქი, სად მცირე

არა, ხუთ სურათად ყოფილა გაკეთებული. ოცდამეცხრე რეპეტიციაზე გაიარეს ბერიკაობის მეორე, მესამე და მეოთხე სურათი, ხოლო ორმოცდამეორე რეპეტიციაზე მეხუთე სურათი –"ცანგალა და გოგონა".

როგორც ჩანს, ახმეტელი ბერიკაობას იტალიური კომედიის დელ-არტეს თეატრის შესაბამისად მიიჩნევს. ამ რეპეტიციებით ირკვევა, რომ მას ღრმად ჰქონდა შესწავლილი ბერიკაობა და მისი ნიღბები როგორც შინაარსობრივად, ასევე მისი ტექნიკური მხარეების თვალსაზრისითაც. ოცდამეხუთე რეპეტიციაზე ახმეტელს საკმაოდ ვრცელი საუბარი ჰქონია დასთან ნიღბების თაობაზე, მათს წარმოშობაზე. როგორც შ. წერეთელი გადმოგვცემს, ნიღბების წარმოშობა ასე განუმარტავს ახმეტელს: "ეს ამბავი მომხდარა გრეციაში: ახალგაზრდა სტუდენტებმა ქეიფის დროს დაუწყეს ერთი/მეორეს ჭაჭის სროლა. იყო დიდი სიცილი იმაზე, რომელიც სრულიად დაითხუპნებოდა და აღარ უჩანდა პირისახე" /ხაზი შ. წერეთლისაა – ე. დ./. ჩანს ახმეტელმა ხაზგასმით სწორედ სახის დაფარვა განმარტა, როგორც მთავარი ნიღბისათვის.

ასეთი საუბარი უდაოდ სასარგებლო იქნებოდა მსახიობებისათვის. ჩვენ ახლა არ შევუდგებით იმის გარკვევას, სწორად განმარტა თუ არა ახმეტელმა ნიღბის წარმოშობის საკითხი. ამას ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთვის საინტერესოა, ის, რომ ახმეტელს ხანგრძლივი მუშაობა ჩაუტარებია საკითხის შესწავლისათვის. ჩანს, ახმეტელი ქართული ბერიკაობის ნიღბების შესწავლით არ იყო მარტო დაკავებული, მას აინტერესებდა ნიღბების გაჩენის საკითხი საერთოდ; როდის, რატომ და რისთვის გაჩნდა იგი და რომ ნიღაბი გარკვეულ ტიპს ნიშნავს გარდასახვის ელემენტით /თუნდაც გარეგნული სახეცვლილების თვალსაზრისით/.

ამავე რეპეტიციაზე ახმეტელმა განმარტა პიესაში გამოყენებული ნიღბები; მათ იგი ხალხურ ნიღბებად მიიჩნევს, თუმცა, მოკიერის სახელი არ ემთხვევა ხალხურ ნიღაბთა სახელებს, მაგრამ

მინაარსობრივად ამა თუ იმ ნიღბიდან არის გამომდინარე. აი, ამ ნიღბების როგორი განმარტება შემოგვინახა რეპეციტების ჩანაწერ-მა: "ხალხური ნიღბები უმთავრესად იხატება ანდა წარმოდგენილია ღვთების სახით და ასევე დროს მავნე სულთ /ასევე ტიპებს აწერენ ეშმაკებსაც/. ხოლო საწინააღმდეგო, ესე იგი, დადებით ტიპებად წარმოდგენილია კეთილი სახის ტიპები /ცანგალა, გოგონა, აკუნა და კოკონა/, რომელთა გარშემოც აგებულია ეს ყარყუმიანი ტიპების ნიღბები. ცანგალა და გოგონას სახით იხატება სიყვარული /ტრიოკული/ პოეტური, ხოლო აკუნასა და კოკონას სახით /რომელიც აუცილებლად მიკერებულია ცანგალა და გოგონაზე/ სიყვარული გმირული /Рыцарь/, ხოლო, რაც შეეხება დაბოლოებას, ამ სახით გამოყვანილია შუშმუშე-ლა, რომელიც მისდევს ამ ტიპებს პარალელურად და მოქმედებს საწი-ნააღმდეგოდ, ცდილობს საყვარლები დააშოროს ერთი-მეორეს, რომე-ლმეს ქმარი გახდეს თვითონ, რის გულისთვისაც ხალხურად წარმოდგე-ნილია მუზმუზელა მუდამ გაბრუებული სახით და მახინჯად". მიუხე-დავად იმისა, რომ ჩანაწერი სრული არ უნდა იყოს, მაინც შეიძლე-ბა ზოგიერთი დასკვნის გაკეთება. მაგალითად, მის მიერ ცანგალა და გოგონას, აკუნას და კოკონას პერსონაჟების განმარტება გვაფიქ-რებინებს, რომ აბმული კომედიის დელ-არტეს პერსონაჟებთან პარა-ლელს ხედავს. იქაც ხომ შეყვარებულთა ორი წყვილია გამოყვანილი, ერთი უფრო ლირიკული და მეორე ყოჩაღი, გონებამახვილი, მებრძოლი ხასიათის, თავიანთ საქმესაც ადვილად აგვარებენ და პირველ წყვილ-საც რომ ეხმარებიან. ამასთანავე, კომედია დელ-არტეს ნიღბებში პირველი წყვილი ბატონებია, აქაც პირველები მდიდრები არიან - ბატონები და ვაჟები, მეორეები - მათი მსახურნი. მართალია, რომ ჩვენ არ ვიცით ინგერმეგოების შინაარსი, მაგრამ რაკი ის ვიცით, რომ პირველი წყვილი იჩუჩისა და ჩარჩის შვილები არიან, ცხადია, ისინი პრივილეგირებულებად ითვლებიან. რეპეციტების განმარტე-

ბებიდან ისიც იცკევა, რომ ჩარჩი და იჩუჩი ერთმანეთს ეჩხუბებიან და მუდების სიყვარულს არ დანაკარგიანებენ. მაგ ამუნა და კოკონა ყველა მოსხიებად. ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ ამ ტიპაჟების ინტერმედიები ძალიან უნდა ჰგავდეს კომედიის დელ-არტეს ლიბრეტოებში აღწერილ სიტუაციებს იმ თვალსაზრისით, რასაც ჩვენ მეორედ აღვნიშნავდით.

ორმოცდაორი რეპეტიციის შემდეგ სრულად დასრულებული იყო პირველი მოქმედების მონტაჟი და დაწუსტებული იყო ტექსტი. პირველ მოქმედებაში იყო შვიდი სურათი /ინტერმედიების ჩათვლით/: 1. ბერიკაობის პირველი სურათი, 2. ბერიკაობის მეორე სურათი "დაბადება", 3. ბერიკაობის მესამე სურათი: ინტერმედია წერილის შესახებ, 4. წერილი გამოგზავნილი კვაჭის მიერ ქუთაისიდან /პიესის მიხედვით/, 5. ბერიკაობის მეოთხე სურათი: "ცანგალა და გოგონა", 6. მცდელობა ოთახი ქუთაისში /პიესის მიხედვით/, 7. ქეთი ქუთაისში გიმნაზიის დამთავრების და იქესაში გამგზავრების წინ, მეორე ინტერმედიასთან.

შემდეგ რეპეტიციების ჩანაწერში მოცემულია ამ სურათების აღწერა დეკორაციით, მიზანსცენებით და ყველა საჭირო ავეჯით და რეკვიზიტით. ორმოცდაშვიდმეტი რეპეტიცია დაიხარჯა პირველ მოქმედების სრულად მომზადებისათვის. ამ მუშაობის პარალელურად, დაიწყო დიალი წერდა მეორე მოქმედებას და ეხებოდნენ ბოლო ერთი მოქმედების მზადებას დასჭირდა, მეცნიერებს იმაზე, თუ რა სკრუპულოზურ მუშაობას ანარმოებდა ახალგაზრდა თეთრული პერსონაჟისა თუ სცენის ირგვლივ.

1927 წლის 27 სექტემბერს ნაკითხული იყო მეორე მოქმედება ინტერმედიებით. ამის შემდეგ დაიწყო ასეთივე სერიოზული, ხანგრძლივი მუშაობა მეორე მოქმედებაზე, რომელიც ასევე დასრულებული იყო,

როცა სპექტაკლზე მუშაობა შეწყდა. ამ ჩანაწერებშიც ზუსტად არის აღწერილი როგორც დეკორაციული გაფორმება, ასევე მიზანსცენები, ავეჯი და რეკვიზიტი. ამ ორი მოქმედების ტექსტისათვის რომ მიგვეკვლია, შეიძლებოდა ამ მოქმედებების რეკონსტრუქციის მოხდენა.

ამის შემდეგ პიესაზე ან საერთოდ სპექტაკლზე მუშაობის არავითარი კვალი არა ჩანს. ასე შეწყდა ეს საინტერესო ჩანაფიქრი, რომლის განხორციელება, ალბათ, იმ დროისათვის საუცხო სიახლე იქნებოდა, შეიძლება აზრთა დიდი სხვადასხვაობაც კი გამოეწვია და ეს კიდევ უფრო საინტერესო იქნებოდა. დასანანია, რომ ეს სპექტაკლი არ შედგა. აქ ხომ ახმეტელი ცდილობდა თავისი მთავარი მიზნის - ქართული ხალხური თეატრის პროფესიულ სცენაზე გამოყენების განხორციელებას. ეს სურვილი მას დიდხანს აწვალებდა და რამოდენიმე სეზონის შემდეგ დაიწყო მუშაობა პიესაზე "ბერიკაობა". ამ სპექტაკლზე მუშაობის განხილვისას ნათელი გახდება, თუ "კვაჭის" დადგმისას რა გამოადგა ახმეტელს, რა აიღო იქიდან და რა სიახლე შეიტანა მისი ჩანაფიქრის ახალი ვარიანტის განხორციელებისას.

გივი ჯარვილი

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო სექტორის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

ერთი სეზონი აკაკი წერეთლის რეჟისორობით

დრამატული საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ქართველიშვილმა 1903-1904 წლების სეზონში ქართული თეატრის რეჟისორად მიიწვია დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი. ამ ამბავმა ქართველი მოწინავე საზოგადოების სიხარული გამოიწვია. პირველ პრესა სეზონის დაწყებამდე დიდად [illegible] იმის

შესახებ, თუ როგორ უახლოვდება მთასანს ხალხი მომავალი რევოლუციური მოვლენებს[1].

აკაკი წერეთლისავე წინადადებით 1903 წლის 23 აგვისტოს იმართება ქართული დრამატული საზოგადოების კომიტეტის საჯარო სხდომა, რომლის დღის წესრიგში იდგა ერთადერთი საკითხი – როგორ წარმართულიყო ქართული თეატრის მუშაობა მომდინარე სეზონში[2].

აკაკი წერეთელმა როგორც რეჟისორმა, 1903 წლის 8 სექტემბერს საჭიროდ ჩათვალა წინასწარ მოეწვია ქართული დრამატული დასის კრება. ეს იყო აკაკის პირველი შეხვედრა ქართული თეატრის მოღვაწეების კოლექტივთან. აქ პოეტმა დასის წინაშე წარმოთქვა მოკლე და ღრმად შინაარსიანი სიტყვა, რომელიც იმავე დროს იყო რეჟისორის სამოქმედო მითითება დასისადმი. აკაკის ეს სიტყვა მთლიანად გამოაქვეყნა გაზეთმა "ივერიამ" /1903, №192/ სათაურით: "აკაკის სიტყვა თქმული 8 სექტემბერს ქართული თეატრის არტისტთა წინაშე". აკაკის ამ სიტყვას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მაშინდელი თეატრის კრიზისიდან გამოყვანისა და რეალისტური ტრადიციების დაცვა-განმტკიცების საქმეში. აკაკიმ აღუთქვა რა დასს მხარდაჭერა და სწორი მიმართულებით მუშაობა, ასეთი სიბრძნე შეაგონა: "ლიტერატურა მწერმე, რომელსაც ხასიათებს ტიპებს იძლევა და გამოჰყავს მაყურებელს, ცოცხლად ხატავს ხოლო, რადგან მათ რომლის "რქაც კი ასხია" სასურველ კალაპოტში ჩააყენოს".

აკაკი წერეთელმა, კიდა რა თეატრის საორგანიზაციო

---

[1] "ცნობის ფურცელი", 1903, №2233.

[2] "ივერია", 1903, №181.

საქმიანობა, კარგად უწყოდა, რომ ქართულ თეატრის კრიზისიდან გამოყვანა, მისი ავტორიტეტის მოხვეჭა მეტად იყო დამოკიდებული, პირველ რიგში, დასის წევრებს შორის ნორმალური ურთიერთობისა და შრომითი დისციპლინის დამყარებაზე, საქმისადმი სიყვარულით დამოკიდებულებაზე. "თქვენ დამანახვეთ ერთგულება, მხნეობა და გამრჯელობა ქართული თეატრისადმი და გიჩვენებთ მაგალითს მისის სიყვარულისას" - მიმართა პოეტმა ქართველ მსახიობებს, რომელთაგანაც იდეალურად მოითხოვა ხუთი პირობის დაცვა-შესრულება. ეს იყო:

1. გამართულ-გასუფთავებული ქართული ენა და არა მიქართული.

2. როლების გაზეპირება, რომ კარნახის /სუფლიორის/ იმედით არავინ ყოფილიყო.

3. პიესების მთავარი აზრის მიგნება.

4. თავთავის როლის დაკვირვებით შესწავლა

5. რეჟისორის სურვილთან მსახიობის სურვილის შეთანხმება, რომ არავინ სთქვას "ეს დიდი როლია", "ეს პატარა", "ეს შემშვენის", "ეს არა", "ამას ვითამაშებ", "იმას არა" და სხვ.

ამ პუნქტებში მკაფიოდ გამოსჭვივის აკაკის, როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, პროგრამული დებულებები და რეალისტური მიმართულება, რასაც მიზნად უსახავდა ქართულ თეატრს.

აკაკი წერეთლისათვის, როგორც რეჟისორისათვის და თეატრის თეორეტიკოსისათვის, არ არსებობდა დიდი და პატარა როლები, რადგან მისი რწმენით, "ხელოვნება მშვენიერებაა და მშვენიერებამ კი თავისთავად დიდი და პატარა არ იცის".

აკაკი წერეთელმა თავის საპროგრამო სიტყვაში ყურადღება გაამახვილა მაყურებლის პრობლემაზე. ეს იყო კლასობრივი დამო-

ვაჟების პერიოდი. თბილისში ფართოდ ჰქონდა ფრთები გაშლილი სახალხო თეატრების მუშაობას. დემოკრატიული მაყურებელი ეტანებოდა პროფესიულ თეატრსაც, რომელშიც შეინიშნება დეკადენტური მიმართულების პიესებით გატაცება. ერთი მხრივ, ამ ტენდენციამ, ხოლო მეორე მხრივ, მსახიობების გულგატეხილობამ თეატრი კრიზისულ მდგომარეობაში ჩააყენა. პრესის ფურცლები აივსო საყვედურებით საზოგადოების მიერ თეატრისადმი გულის აცრუების გამო.

აკაკის აზრით, თუ მის მიერ დასის წინაშე დასმული ხუთივე პირობა შესრულდებოდა – თეატრი თანდათან სწორ გზაზე დადგებოდა და საზოგადოებაც პირს იბრუნებდა მისკენ. სხვა შემთხვევაში, არ იქნებოდა მართებული მაყურებლის მისამართით თეატრისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო საყვედურის თქმა.

როგორც ვხედავთ, აკაკის დიდი სურვილი ჰქონდა მსახიობებში განემტკიცებინა შინაგანი კავშირი, ანსამბლურობა, ერთგულება, სათეატრო საქმიანობისადმი სიყვარული. მიაღწია თუ არა ამ მიზანს – ეს სხვა საკითხია, ერთი კი ნათელია – მას, როგორც რეჟისორს, იდეურად სწორი მიმართულება ჰქონდა აღებული.

აკაკი წერეთელმა–რეჟისორმა დასაწყისშივე გაითვალისწინა თეატრის არსებითი ნაკლოვანება – ახალგაზრდა მსახიობთა სიმცირე. ახალგაზრდა ნიჭიერ სცენისმოყვარეთა გამოსავლენად მან სპეციალურად გამართა გამოსაცდელი წარმოდგენა 1903 წლის 23 აგვისტოს, ე.ი. სეზონის დაწყებამდე. წარმოდგენილი იყო მისივე "პატარა კახის" მეორე მოქმედება, ნ. აზიანის "გაცრუებული იმედები" – მეორე მოქმედება; ვოდევილები: "ადვოკატთან" და "ძია ვანო". გამოსაცდელი წარმოდგენის ორგანიზაცია და მომზადება მიანდო ვალერიან გუნიას, რომელმაც ამ საქმეს ორი კვირა მოახმარა.

გამოსაცდელ წარმოდგენაზე გამოვლენილი ნიჭიერი სცენისმოყვარენი აკაკიმ შეიყვანა ძირითად დასის შემადგენლობაში, რო-

მელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი გახდა. 1903 წლის 9 სექტემბრიდან აკაკი უკვე მუშაობას შეუდგა. "ამისთანა დიდი დასი, როგორც ჩვენს, ჯერ ქართულ თეატრს არ ყოლია"[1] - წერდა გამომცემელი "ცნობის ფურცელი". დასის წარმადგენლობაში შედიოდა იმ დროის ყველა, მეტ-ნაკლებად გამოჩენილი მსახიობი. რეჟისორის თანაშემწედ და სცენის ადმინისტრატორად აკაკიმ დანიშნა კოტე მაჭარიშვილი. დასის გაწრდამ გააირთულა ისედაც ღარიბი რეპერტუარის შედგომარეობა. იმისათვის, რომ ყველა მსახიობს ექონოდა როლი, საჭირო იყო ახალ-ახალი პიესები, ხოლო პიესების პოვნა კი ძალიან ჭირდა. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, აკაკიმ დაიწყო დიდი მსახიობებისათვის ეპიზოდური როლების მიცემა.

აკაკიმ გაითვალისწინა ქართულ თეატრში შექმნილი მძიმე ვითარება და რეჟისორის მოვალეობის ასრულებისთანავე, 1903 წლის 8 ოქტომბრიდან, გამ. "ივერიაში" გაკრძელებებით დაიწყო ბეჭდვა თავისი ცნობილი "სათეატრო წერილებისა". იგი, როგორც თეატრის დიდი მცოდნე, იმედოვნებდა, რომ მხილება ქართული თეატრის ნაკლოვანებებისა დაეხმარებოდა "მის გამოსწორებას", "სასურველ საუძველზე დაყენებას" /აკაკის გამოთქმებია/ და უკეთესი პირობები შეექმნებოდა მის რეჟისორულ მოღვაწეობასაც.

აღნიშნულ წერილებში აკაკიმ რეჟისორის პოზიციიდან მთელი პუბლიცისტური სიმძაფრით გამოაყენა და თავადვე გასცა პასუხი ქართული თეატრის მრავალ საკითხორივ პრობლემას, მისი მოგვარების საქმეს. ეს პრობლემები იყო: მწერლობისა და თეატრის ურთიერთობა, თეატრალური კრიტიკის დაბალი დონე, თეატრი და მაყურებელი /მაყურებელი, რომელსაც აკაკი "განათლებულ" საზოგადოებას ეწოდებდა/, ორიგინალური რეპერტუარი და სხვ.

აკაკის "სათეატრო წერილების" იმგვარ პრესაში გამოქვეყნება პრეცედენტი.

---

[1] "ცნობის ფურცელი", 1903, №2260.

1903-1904 წლების სეზონში აკაკის მიერ დაიდგა შემდეგი პიესები: დ. ერისთავის "სამშობლო", შექსპირის "ვინძორელი ცოლის მიჯნურება", გ. სუნდუკიანის "ხათაბალა", დელავინის "კოვერლეის მკვლელობა", თავისი პიესები: "პატარა კახი", "განთიადი" "თამარ ცბიერი" და სხვ.

აკაკის როგორც რეჟისორის იდეურ-მხატვრული მიმართულებისა და სპექტაკლების საზოგადოებრივი რეზონანსის გასათვალისწინებლად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

პირველი პრემიერა გაიმართა 1903 წლის 21 სექტემბერს. დაიდგა დ. ერისთავის "სამშობლო". ამ პიესას კარგად იცნობდა მაყურებელი. ამ ერისთავის პიესას უკვე 20 წლის სცენური ისტორია ჰქონდა. მამინდელი ქართული თეატრის რეპერტუარში იგი ერთ-ერთ საუკეთესო პიესად ითვლებოდა და საზოგადოებასაც ძალიან მოსწონდა. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა აკაკის დადგმითაც. თეატრი მაყურებლებს ვერ იტევდა. წარმოდგენამ კარგად, მწყობრად ჩაიარა. რამდენჯერმე გამოიწვიეს მსახიობები, ხოლო რეჟისორს — აკაკის გაუმართეს ხანგრძლივი ოვაციები. გაზეთი "ივერია" წერდა: "სიამოვნებით უნდა ვაუწყოთ მკითხველს, რომ დასაწყისი სეზონისა ჩინებული იყო".

მართალია საეჭვოდ არავის მიაჩნია, რომ ბ-ნი აკაკი დასაბამითვე მოამაგე და დიდად დახელოვნებულია; ჩვენი სცენის საქმეში თავის მაღლივ ხელს დაამჩნევდა წლევანდელ ქართულ წარმოდგენას, მაგრამ კვირის წარმოდგენამ მაინც ყველა მოლოდინს გადააჭარბა, ისეთი მწყობრი, შეგნებული და მოხდენილი თამაში, როგორც კვირას ვნახეთ, საზოგადოდ იშვიათად უნახავს ჩვენს სცენაზედ და "სამშობლოს" ერთი ასე საუცხოო წარმოდგენის პირველად ვხედავთ"[1]

---

[1] "ივერია", 1903, N 204.

მეორე პიესა აკაკის დადგმით იყო შექსპირის კომედია "ჭირვეული ცოლის მორჯულება", თარგმანი კ. მესხისა. სპექტაკლს გამოეხმაურა გაზეთი "ივერია". იგი წერდა: "ახალი რეჟისორის მცოდნე და მადლიანმა ხელმა სრულიად გარდაქმნა ჩვენი თეატრი. აქამომდე თუ სირცხვილის ოფლში ვიწურებოდით უცხოს არავინ შემოხედოს ჩვენს თეატრშიო, ეხლა მოსარიდებელი არღარა გვაქვსრა. მართალია ჩვენი თეატრი გარეგნობით ვერ დაედრება აქაურ ახალ და მდიდარ თეატრებს, მაგრამ თვით საქმე, წარმოდგენები, ჯერჯერობით უკეთ თუ არა, სხვაზე ცუდათ არ მიდის "[1].

ქართველი მოწინავე საზოგადოება აღაფრთოვანა ცნობამ აკაკის მიერ მისივე პიესის "პატარა კახის" დადგმის შესახებ. წარმოდგენის დღეს, 1903 წლის 5 ოქტომბერს გაზეთი "ივერია" წერდა: "დღეს ქართველი დრამატული დასის არტისტები სათავადაზნაურო თეატრში წარმოადგენენ აკაკის დრამას, პოემას "პატარა კახს", თუმცა, მოთამაშენი მოხეკებზე ნაწილად გამოუცდელნი არიან, მაგრამ ავტორი-რეჟისორი უეჭველია ხელოვნურად მიაწყობს თავის პიესის წარმოდგენას"[2].

"პატარა კახი" ქართულ სცენაზე პირველად წარმოდგენილ იქნა 1890 წლის 18 დეკემბერს. იგი მის შემდეგ ყოველთვის დიდი წარმატებით იდგმებოდა ხოლმე. საყურადღებოა, რომ დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის სათეატრო ნათლობა ამ პიესასთან არის დაკავშირებული. 1895 წელს შედგა მისი დებიუტი პატარა კახის როლში.

საზოგადოების მოლოდინი არ გაცრუვდა. სპექტაკლს წარმატება არ ჰქონდა. პიესა მეორედ წარმოადგინეს 30 ოქტომბერს საზოგადოების თხოვნით. "წარმოდგენამ კვლავ უბეიროდ ჩაიარა, [illegible]

[1] "ივერია", 1903, №212.
[2] იქვე.

უშნოდ და ულამაზოდ, ვიდრე პირველ წარმოდგენა იყო"[1].

ორიგინალური რეპერტუარის სიღარიბის გამო, აკაკი წერეთელმა რეჟისორობის პერიოდში სპეციალურად დაწერა ახალი პიესა "განთიადი", რომელიც /ი. გრიშაშვილის სიტყვები რომ გავიმეოროთ/ პიესა კი არ არის, ერთად შეკრული და ერთი დედააზრით ამეტყველებული, არამედ ცალკეული სცენები, რომელსაც არ აკლია აკაკისეული იუმორი და პერსონაჟების ხასიათის საოცარი გამოკვეთა.

თვითონ აკაკი წერეთელმაც პიესას "თანამედროვე ცხოვრებიდან აღებული სოფლური სურათები" უწოდა. "განთიადი" პირველად ავტორის რეჟისორობით დაიდგა 1904 წლის 25 იანვარს ელისაბედ ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ. სპექტაკლმა სუსტად ჩაიარა, რის გამოც პრესაში გაიმართა პოლემიკა. გამოქვეყნდა 8 წერილი "ცნობის ფურცელში", "ივერიაში" და "ნოვოე ობოზრენიეში". მათ შორის არის აკაკის საპასუხო წერილებიც /იხ. "ივერია", 1904, №№24,30/.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თვით აკაკის მთელ თავისი დრამატურგიული მემკვიდრეობიდან მხოლოდ ორი პიესა მოსწონდა – "პატარა კახი" და "თამარ ცბიერი". "განთიადი" კი მართლაც ვერ გაუტოლდება აკაკის სხვა პიესებს. ი. გრიშაშვილისავე მტკიცებით, იგი აღარ განმეორებულა ჩვენს სცენაზე.

აკაკის რეჟისორობის დროს დიდად გახმაურდა რუსეთში ალ. სუმბათაშვილის ისტორიული დრამა "ღალატი", რომლითაც ძალზე დაინტერესდნენ საქართველოს კულტურულ და თეატრალური წრეები.

საქართველოში "ღალატი" პირველად რუსულმა დასმა წარმოადგინა 1903 წლის 17 დეკემბერს, ხოლო ქართულმა დასმა კი 1904 წლის 20 იანვარს, რაც დიდი მარცხით დასრულდა. დღემდე მკვლევართა ნაწილს "ღალატის" დამდგმელად აკაკი მიაჩნია, ხოლო თვით აკაკი კი ამ ფაქტს უარყოფს: "კოტე მესხმა მიჰმართა გამგეობას: ავტორმა

[1] "ცნობის ფურცელი", 1903, №2310.

მე დამავალა ამ პიესის /"დალაქის" – გ.ჯ./ ქართულად გადათარგმნა და ჩემ ბენეფისში დადგმა... მე მოვინდომე კიდევ მესხი და მასთან შეთანხმებით, თითქმის მის სურვილ-ნებაზე, დავუნიშნე არტისტებს მათ მათი შესაფერი როლები... ქუთაისიდან დაბრუნდი სწორედ წარმოდგენის დღეს და უკანასკნელ რეპეტიციას დავესწარი, როგორც კერძო პირი და კიდევაც საყვედური გამოვუცხადე: მე რად გამოგიცხადებივართ რეჟისორად მეთქი?"[1]

კ. მესხიც წერს: "მოგანდეს რეჟისორობა და დანიშნეს სახაზინო თეატრში წარმოდგენა, რამაც ცუდად ჩაიარა. ვითომ მე მოვინდომე ამ წარმოდგენის გაფუჭება, მე რომელიც ვრეჟისორობდი, რომლის თარგმანს თამაშობდნენ და რომელიც უმთავრეს როლს თამაშობდა"[2]

როგორც ვხედავთ, "დალაქი" კ. მესხს დაუდგამს.

1903-04 წლების სეზონი, რომელსაც რეჟისორობდა აკაკი წერეთელი, დასრულდა 8 თებერვალს აკაკისავე ბენეფისით, რომელიც გაიმართა დრამატული კომიტეტის დადგენილებით. წარმოადგინეს მისივე "თამარ ცბიერი". გაზ. "ივერიის" ცნობით, ბენეფისს ბევრი ხალხი დასწრებია, აკაკისათვის აურაცხელი საჩუქრები მიურთმევიათ არა "როგორც რეჟისორისათვის, არამედ უფრო როგორც საყვარელი და ნიჭიერი მგოსნისათვის"[3].

გაზეთის ამ პატარა რეპორტაჟში მინიშნებულია, რომ დიდი პოეტი არ იყო დიდი რანგის რეჟისორი. კ. მესხიც უკმაყოფილოა აკაკი წერეთლის როგორც რეჟისორის მოღვაწეობით განვლილ სეზონში. სეზონის დასრულებისთანავე გაზ. "ცნობის ფურცელში"[4] მან გამოაქვეყნა ვრცელი ფელეტონი სათაურით "სიცრუის სეზონი". წერილი შეიცავს

---

1 "ივერია", 1904, №42.

2 "ცნობის ფურცელი", 1904, №2407.

3 "ივერია", 1904, №34.

4 იქვე.

სეზონის განმავლობაში დაშვებულ შეცდომებს და უმთავრესად კი "დალაქის" დადგმას. "სეზონის დაწყებისთანავე ჩვენს თეატრს სიცრუე ჩაუდგა კვალში და გათავებამდის ძვალ-რბილში გაუარა", ამის დასამტკიცებლად მას რამდენიმე მაგალითიც მოჰყავს, რომელთა უმრავლესობაც, ჩვენი აზრით, ყოველგვარ არგუმენტს მოკლებულია. გარდა ამისა, კ. მესხის წერილში ნათლადაა გამოკვეთილი აკაკის საწინააღმდეგო ტენდენცია.

კ. მესხის აზრით, სიცრუე იყო ისიც, "როცა აფიშების ბოლოში ცხადდებოდა "რეჟისორი აკაკი", რადგანაც თვით აკაკიმ იმთავითვე გამოაცხადა, რომ მე რეჟისორი არა ვარ, ქორწილზე მოწვეულ გენერალს ვგავარო. ჩვენი აზრით, ეს იყო პოეტის მოსწრებული ოხუნჯობის პირადული მიზნით გამოყენება.

კ. მესხი იმასაც ირწმუნება, რომ ხან არტისტები, ხანაც საზოგადოების გამგეობის წევრები თურმე ხშირად უსაყვედურებდნენ აკაკის, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში სულ იძახდა-მივდივარ, მივდივარო და ყოველ მეორე დღეს კი მოდიოდა თეატრში. როგორც ჩანს, კოტე მესხი მოელოდა აკაკის წასვლას თეატრიდან. ესათიობებსა და რეჟისორის შორის გაუთავებელი კინკლაობითა და უთანხმოებით გულმოსულ პოეტს, შეიძლება მართლაც წამოსცდენოდა: მე წავალ და რაც გინდათ ისე აქენითო, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ იგი მართლა წავიდოდა თეატრიდან და შუა გზაზე მიატოვებდა დასს. აკაკი ხომ თავიდანვე ქომაგობდა დასის წევრებს შორის ერთიანობას, ანსამბლურობას. გაკიცხულია დასის წინაშე წარმოთქმული მისი სიტყვა, ის ადგილი, სადაც ამბობს: "რეჟისორის სურვილით თქვენი სურვილის შეთანხმებაა, რომ ავარაყინ თქვას: "ეს დიდი როლია", "ეს პატარა", "ეს მეტისმეტის", "ეს არაო", "ამას კიასრამეზებ", "იმას არაო" და ამგვარიო". აკაკი წერეთელი ბოლომდე დარჩა ამ [illegible]-ნათა პრინციპზე, რაზეც დასის წევრებს შორის ურთიერთობა გაწონილია.

ექვსი დღის შემდეგ, 18 თებერვალს აკაკი წერეთელმა უპასუხა კ. მესხს გაზეთ "ივერიის" ფურცლებიდან. პასუხში განმარტებულია ის მიზანიც, რომელიც საფუძვლად ედო მის ქართულ თეატრში რეჟისორად მიწვევის თანხმობას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ პოეტს დიდი სურვილი ჰქონდა ქართული თეატრის ნაკლოვანი მხარეების "გამოკვლევა-შესწავლის" და მისი გამოსწორებისა. ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს აკაკის საპასუხო წერილიდან შესაბამისი ადგილის ვრცლად მოყვანა: "ცნობის ფურცელში" დასტამბულ სტატიას რომ არ გამოვეწვიე საპასუხოთ, მე ჯერჯერობით, დრომდე არ მინდოდა მეთქვა რამე წლევანდელ სეზონზე, მით უფრო, რომ სასაყვედურო არავისაგან არა მიმიძღვის რა და, მხოლოდ მევე უნდა ვუსაყვედურებდე ჩემს თავს, რომ ქართულ სცენაზე ფეხი შევდგი და თუ შევდგი, რატომ იმთავითვე არ გავშორდი? მაგრამ აქაც მაქვს შესაწყნარებელი მიზეზები.

ერთი, რომ მეგობრები მირჩევდნენ: რაც უნდა გაგიჭირდეს უნდა მოითმინო და სეზონის გათავებამდე თავს მაინც ნუ დაანებებო! ერთბაშად გასწორება საქმისა შეუძლებელია, მაგრამ მაინც, რაც შეიძლო და როგორც, ეცადე ხელი შეუწყო ნელ-ნელაო!.. და, მეორე ის, რომ მე თვითონ მინდოდა გამეგო ზოგი რამ:

1. რა მიზეზია, რომ ქართულ სცენაზე ამდენი ხნის განმავლობაში, ნიჭიერი აღარავინ გამოჩენილა და ძველების ამარად ვრჩებით?

2. რისი ბრალია, რომ წმინდა ქართულის ნაცვლად რაღაც ბაზაზხანური ენა გვესმის სცენიდან?

3. რატომ ისე არ ადგენენ პიესას, როგორც ავტორებს უწერიათ? ნება აქვთ მოთამაშეებს, რომ ზოგს აკვეცავენ, ზოგს თავისას უმატებენ, ამახინჯებენ პიესებს და თავის საკუთარის გემოზე ადგენენ? და არა თუ სხვების, შექსპირის პიესებიც ვეღარ გვიცვნია: პეტრუ-

ჩიოს მაგიერად ვიღაც კუდაბზიკა იმერელს გვიხატავენ და მეოკმანის ნაცვლად ჩვენებური ხანკუბიას მოთამაშეს, ენატარტალა მეთხის მართ-ებზე მოკენწკეს!

4. რა მიზეზია, რომ არტისტებს უმეტესად არა თუ როლები არა აქვთ ხოლმე შეგნებული, ხშირიანადაც არა სწავლობენ მათ სათქმელ ორიოდე სიტყვას და სუფლიორს იერიქონის საყვირივით აძრიალებენ?

5. რატომ არ ხერხდება ქართულ სცენაზე ახალ ახალი პიესების დადგმა და ძველი რეპერტუარით რად გვაბეზრებენ თავს?

6. რად ასე მეტპირად და კადნიერად ეპყრობიან საზოგადოებას, რომელსაც უკანასკნელი წვლილი შეაქვს თეატრში?

და, ბევრი კიდევ სხვა ამგვარები! ესენი ყველა გამოვიკვლიე და მსურს მოვახსენო საზოგადოებასაც ამ მოკლე ხანში, იმიტომ კი არა, რომ ვინმეს ვაწყენინო და სხვის პირადობას შევეხო... არა! მხოლოდ იმ განზრახვით, რომ იმ გამოქვეყნებამ ეგების სარგებელი მოუტანოს ქართულ თეატრს და დღევანდელი "კომედია-ლაზარობის" ნაცვლად, რომელსაც ჩვენ ნამეტანის ნდობით ხელოვნებათ ვაღიარებთ, მართლა და ნამდვილმა დრამატიულმა ხელოვნებამ მოიკიდოს ფეხი ქართულ სცენაზე და მანამდე კი აღარას ვიტყვი".

ეს დაპირება პოეტმა მართლაც შეასრულა. იმავე წლის ბოლოში გაზეთ "ივერიის" ორ ნომერში /№111, 117/ გაგრძელებებით დაიბეჭდა მისი სტატია "ქართული თეატრი".

აქ იგი კვლავ შეეხო თეატრის უდიდეს მნიშვნელობას "ადამიანის გრძნობა-გონების ამაღლების, სულისა და გულის გასპეტაკების" საქმეში; კვლავ შეაგონა მათ, ვინც შემცდარა და უბრალო, გასართობ რამედ მიაჩნია სცენა, რომელიც სწორედ წმინდა ტრაპეზია და გულწრფელ მსახურებას მოითხოვს ადამიანისაგან".

აკაკის ღრმად სწამდა, რომ დრამატული ხელოვნება საგრძნობლად ჩამორჩება თავის დონეს, რომ ის, რასაც ჩვენ ვჯერდებით, უბრალო

ტიკინობია, ანუ ბავშური გართობაა უსულო დეკორებთანო. აკაკი იმასაც კარგად გრძნობდა, რომ ქართულ დრამატულ დასში, ზოგიერთი ისეთი ძალის მსახიობი იყო, რომელსაც მართლა მსახიობობა ეთქმოდა, მაგრამ ეს ერთეულები არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ დასი სრულქმნილ და უნაკლო ყოფილიყო. ქართული სათეატრო დასის ჩამორჩენილი დონე მსახიობთა უნიჭობით არ იყო განპირობებული, მაგრამ მარტო ნიჭი არასაკმარისად მიაჩნდა მას: "როგორც უდაბნოში სურნელოვანი ყვავილი ვერ იხარებს, თუ მზის სხივები და ცვარი ნამი აკლია, ხელოვნებაც ისეა. თუ სულიერი საზრდო გამოელია და გრძნობა-გონების წვრთნამ და განვითარებამ აახიბინა, უნაყოფოდ დაჭკნება. ჩვენ არტისტებსაც ნიჭს გარდა, ყველაფერი აკლიათ, არ გამოუვლიათ სათეატრო სკოლა, არ იციან ის დედა ენა, რომელზედაც აცვენენ, ხელოვნების არა გაეგებათ რა და არც სურვილი აქვთ, რომ შეისწავლონ".

აკაკიმ იცოდა რომ ამისთანა დასის ხელმძღვანელობა ძნელი იქნებოდა, მაგრამ მან თავი არ მოარიდა იმ იმედით, რომ უსაშველო არა არის რა, და, ფიქრობდა ნელა-ნელა საქმეს გამოასწორებდა. გავიხსენოთ კვლავ მისი სიტყვა დასის წინაშე წარმოთქმული, როგორი გულით იყო მგოსანი მონდომებული ყოველივეს, მაგრამ გზად ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი გადაეღობა, რომელთაგან მან ბევრი სააშკარაოზე გამოიტანა თავის საანგარიშო წერილში. იმ მიზნით, რომ იქნებ ამის შემდგომ მაინც შველებოდა საქმეს.

ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც ძლიერ უშლიდა ხელს აკაკი წერეთელს თავის რეჟისორულ მოღვაწეობაში, იყო თეატრის შენობის მოუგვარებლობა. მას საყონელს ადარებდა: "სცენაზე არტისტები ცახცახებდნენ სიცივით და პარტერში პუბლიკა". ამ მიზეზით თეატრში მაყურებელი ნაკლებად დაიარებოდა, ეს კი უარყოფითად მოქმედებდა თეატრის საფინანსო უბანზე.

მეორე ხელისშემშლელი მიზეზი იყო რეპერტუარის სიღარიბე; მდარე, ჩიქორთული ენით დაწერილი ორიგინალური პიესები და "ბარბაროსულად გადმოტყავებული ნათარგმნები".

აკაკის მუშაობაში ხელს უშლიდა აგრეთვე მსახიობთა უდისციპლინობაც. რეპეტიციებზე დროზე არ ცხადდებოდნენ მსახიობები, ზოგი მათგანი კი სულაც არ მოდიოდა. აცდენდნენ დილის რეპეტიციებს, რადგან მათი უმეტესობა სამსახურში იყო დასაქმებული, არ სწავლობდნენ როლებს, ძველი თაობის მსახიობები თაკილობდნენ რეჟისორის შენიშვნებს: "ჩვენ ცნობილი და ქებლიკის მიერ მოწონებული მსახიობები ვართ და თვითონ ვიცით, როგორ უნდა ვითამაშოთო". აკაკის დრამატული საზოგადოების კომიტეტიც მიაჩნდა დამნაშავედ, რომელსაც ერთი მიმართულება და აზრი არ გააჩნდა.

გაზეთი "ივერია" განცვიფრებული კითხულობდა: "ვერ გაგვიგია, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობს დრამატიული საზოგადოების გამგეობა, როცა გვერდს უვლის ზუდერმანის, იბსენის, ჰაუპტმანის, გინდა ოსტროვსკის და სხვა პიესებს და ადგილს უთმობს ჩვენს სცენაზე ისეთ ნაწარმოებებს, როგორიცაა "კოვერლეის მკვლელობა"! რა თქმა უნდა, ეს საყვედური რეჟისორის მისამართითაც იყო.

ჯერ კიდევ სეზონის დაწყებიდან ორი თვის თავზე პრესაში გაისმა სამდურავის ხმა აკაკი წერეთლის როგორც რეჟისორის შესახებ: "ათზე მეტი წარმოდგენა გაიმართა და ერთი ახალი შინაარსიანი წარმოდგენა არ გვინახავს. ათჯერ და ოცჯერ ნათამაშევ პიესის გამეორება სასახელო და სასიქადულო არ არის. როცა ამდენი ტრუპა შეადგინეს და რეჟისორად ბატონი აკაკი მოიწვიეს და საზოგადოებას უკეთესის იმედები აღუძრეს, უარესისათვის ქება-დიდებას და მადლობას არავინ უნდა მოელოდეს"[2].

1 "ივერია", 1903, N235

2 "ცნობის ფურცელი", 1903, N2314.

აკაკი წერეთელმა, როგორც რეჟისორმა, ქართულ თეატრში ვერ გამოიჩინა სათანადო რევოლუციური სიფხიზლე, ვერ დაანახა დროის შესაფერი მებრძოლებითი ცეცხლი. პერიოდი, რომელშიაც მას ერთი სეზონის განმავლობაში მოუხდა ქართულ თეატრში მოღვაწეობა როგორც რეჟისორს, - არის დიდი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით აღსავსე პერიოდი. უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივ ასპარეზზე უკვე გამოსულა "პირველი ქართული მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია", ე. წ. მესამე დასი /1893-1898/. 1903 წლის ოქტომბერში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის მეორე ყრილობაზე შექმნა ბოლშევიკური კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელიც დირექტივებს უშუალოდ ლენინისაგან ღებულობდა. იგი ხელმძღვანელობდა რევოლუციურ მოძრაობას როგორც საქართველოში, ისე მთელ ამიერკავკასიაში. გავიხსენოთ დიდი ლენინის სიტყვები: "ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია 1903 წლიდან არსებობს".

აკაკიმ, რომლის პოეტური ხილვები, ორგანულად გამომდინარეობდა ეპოქის მოწოდებიდან, აკაკიმ საზოგადო მოღვაწემ, დიდმა დემოკრატმა, რომელიც მესანიშნავად ხედავდა "ცხრაას ხუთი წლის რევოლუციას, მის ნათებას, რევოლუციას, რომელსაც ქართულ პოეზიაში არ ჰყოლია უფრო დიდი მომღერალი, ვიდრე იგი იყო" /პ. ინგოროყვა/, აკაკიმ, რევოლუციის ცეცხლით აღგზნებულმა, რომელმაც პირველმა გადმოიღო ქართულ ენაზე ცნობილი პროლეტარული ჰიმნი "ინტერნაციონალი", აკაკიმ ქართული თეატრის რეჟისორმა, რომელიც ასე ცდილობდა თეატრი ხალხთან, მშრომელ მასებთან დაეახლოვებინა - საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ თეატრში ვერ აუბა მხარი რევოლუციურ სულისკვეთებას.

ცოტა მოგვიანებით, 1910 წელს იგი იგონებდა: "დრამატული კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ქართველიშვილმა, რომლისაც დიდი პატივისცემა მაქვს, მომწერა, რომ ერთი სეზონის განმავლობაში

რეჟისორობა მეკისრა და მეც ხალისით ვეკიდებოდი.

ჩემმა რეჟისორობამ საკმაოდ ვერაფერი მოუტანა ან თეატრს და არც მსახიობებისთვის იყო მისი მოტანა ბევრი სხვა და სხვა მიზეზებისა გამო".

სეზონი, რომელსაც საფინალოდ ედგა აკაკი წერეთელი, დაკომპლექტებული იყო ნიჭიერი ძალებით, ძირითადად იმ ძალებით, რომლებიც ქართული თეატრის განახლებასთან დაკავშირებით მოვიდნენ. დასი შეიცვა რამდენიმე ნიჭიერი მსახიობითაც, მიუხედავად ამისა, აკაკი წერეთელმა, როგორც რეჟისორმა ვერ იხსნა თეატრი კრიზისიდან. თეატრის შემოქმედებით წარუმატებლობის მიზეზები მან კარგად ჩამოაყალიბა თავის წერილში "ქართული თეატრი". მასში ვკითხულობთ: "რიცა ქართულ სცენაზე შემოვიდგი ფეხი, სურვილი დიდი მქონდა შემსახურებია, იმედები კიდევ უფრო მეტი, მაგრამ მოკი ჩემის უძლურებით და მოკიც სხვადასხვაგვარ მოულოდნელ დაბრკოლებათა გამო, ჩემმა ოცნებამ ამაოდ ჩაიარა და დამარწმუნა, რომ არავითარ შრომას და მეცადინეობას არ შეუძლია იმ უკუღმართობის გასწორება, რომელიც დღეს ქართულ სცენაზე არსებობს".

თეატრის ოპერატიულ გამგებელი იყო დრამატული საზოგადოება, რომელიც არ უთანაგრძნობდა მუშაობა კლასს რევიზიორის ბრძოლაში, არ/ შრომატა თეატრში მონინავე რევიზიორის რეპერტუარის შექმნისათვის. 1913 წელს გამოვა "ცნობის ფურცელი" /N2314/, სადაც ის ქართული თეატრის რეპერტუარს, პირდაპირ ამბობდა: "ეხლა ჩვენ მეფეები და გმირები არ გვინდა. საწყალი, ღატაკი მუშა ხშირად ჩვენთვის უფრო საინტერესოა, ვიდრე მეფე და გმირი. ჩვენ მათი გვირგვინების და ძვირფასი ნამოსასხამების დახატვა კი არ გვინდა, არამედ სული, კაცის ცხოველი სული და ვინ იცის ეიპოვით თუ არა ამ სულს ძვირფას ნამოსასხამს ქვეშ, მით უფრო იშისთანას, როგორიც ჩვენ გვინდა და რომელშიც საკუთარი გამოხატება მთელი ჩვენი დასახი-

რებული საფარე".

როგორც ვხედავთ, საჭირო იყო თეატრის მუშათა წრეებთან დაახლოება. მართალია აკაკი წერეთლის ინიციატივით რამდენიმე წარმოდგენა სპეციალურად გატანილ იქნა მუშათა რაიონებში – ნაძალადევსა და ავლაბარში, ფასდაკლებული, სახალხო წარმოდგენის სახელწოდებით, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ეს სეზონიც არ გამოირჩევა თავისი წინა სეზონებისაგან. იგი თავისი იდეურ-მხატვრული მიზანდასახულებით ვერ ამაღლდა ეპოქის ამოცანების სიმაღლემდე.

მირა ფიჩხაძე

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო სექტორის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

მ. ვახვახიშვილის მუსიკა კ. მარჯანიშვილის სპექტაკლში "ურიელ აკოსტა"

როგორი უნდა იყოს ჩვენი თეატრი?
რეალისტური, რომანტიკული, სიმბოლური,
ლირიკული – ოღონდ დამათრობელი!

კოტე მარჯანიშვილი

მარჯანიშვილზე ბევრია დაწერილი. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა გამოკვლეულია ღრმად და საინტერესოდ. მისი რეჟისორული სტილი დიდხანია შესწავლის საგნად იქცა მსახიობებისათვის, დრამატურგებისათვის, თეატრის მოღვაწეთათვის. სცენის დიდი ნოვატორი, მარჯანიშვილი მთელ თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე განამტკიცებდა სინთეზურ ხელოვნებას, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ამ ხელოვნებისა, მუსიკა, რომელიც მარჯანიშვილს ძლიერ უყვარდა და რომელსაც თავის სპექტაკლებში უზარმაზარ ფუნ-

ქცრას აკისრებდა, დღევანდლამდე თითქმის შეუსწავლელია. ქართველი მუსიკათმცოდნეები დიდ ვალში არიან არამარტო გამოჩენილი რეჟისორის, არამედ მთელი ქართული თეატრალური ხელოვნების წინაშე.

ეს შრომა პირველი ცდაა ქართული თეატრის ახლო წარსულში მუსიკოსის თვალით ჩახედვისა, მნიშვნელოვანი პრობლემის - დრამისა და მუსიკის ურთიერთკავშირის გაშუქებისა, რომელიც დღეს ესოდენ აქტუალურია.

მე შევეცადე თავი დამეღწია ფაქტების კონსტატაციისაგან, რადგანაც დღეს ყველასათვის ცნობილია, თუ რაოდენ დიდი იყო მუსიკალური საწყისის როლი მარჯანიშვილის სპექტაკლებში. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ყოველი ახალი სპექტაკლი დიდი რეჟისორის უსაზღვრო ფანტაზიის წყალობით ბადებდა ახალ მუსიკას.

ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო: გამომეკვლია მარჯანიშვილის დამოკიდებულება მუსიკალური ხელოვნებისა და საერთოდ ხელოვნების მონათესავე დარგების სინთეზისადმი; გამეანალიზებინა მარჯანიშვილის საუკეთესო სპექტაკლების მუსიკის სპეციფიკური და სტილისტური თავისებურებანი და მათი იდეურ-აზრობრივი სინქრონულობა სცენურ მოქმედებასთან.

აღნიშნული შრომა ამ მხრივ პირველი ნაბიჯია, რომელსაც, ვფიქრობ, მოჰყვება კიდე მარჯანიშვილის სხვა წარმოდგენების ანალიზი.

ჩემი არჩევანი /სპექტაკლი "ურიელ აკოსტა"/ განაპირობა რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა:

1. "ურიელ აკოსტა" კ. მარჯანიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლია, სადაც განსაკუთრებული სისრულით და განზოგადებულობით გამოვლინდა ქართველი რეჟისორის ნოვატორული ტენდენციები.

2. "ურიელ აკოსტა" ის სპექტაკლია, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მოქალაქეობრივი ჟღერადობა, მაღალი პათოსი და აქტუალო-

რობა. ეს სპექტაკლი ბევრად თანადროულად იკლერებს.

3. მარჯანიშვილის საუკეთესო სპექტაკლებშიც კი მუსიკა არ ყოფილა ასე მჭიდროდ დაკავშირებული მოქმედების განვითარებასთან, როგორც აქ.

4. დაბოლოს, დღესაც ცოცხალია მუსიკის ავტორი, კომპოზიტორი თამარ ვახვახიშვილი, მარჯანიშვილის განუყრელი თანამგზავრი 11 წლის განმავლობაში, მისი თანამოაზრე, მისი მრავალი შემოქმედებითი გეგმის თანაავტორი, საინტერესო და თავისებური ხელოვანი. თ.ვახვახიშვილი არა მარტო ქართული საბჭოთა თეატრის ოქროს ბაზის ცოცხალი ისტორიაა, არამედ პირველ ქართველი თეატრალური კომპოზიტორიც.

სინთეზური თეატრის შემქმნელმა, მარჯანიშვილმა, ნოვატორულად გაიაზრა სცენური წარმოდგენის ყოველი კომპონენტის დანიშნულება. ამგვარი გააზრება სრულიად კანონზომიერი იყო, რაც ნაკარნახევი იყო რეჟისორის საოცარი მრავალმხრივობით.

საკვირველი ბუნებრივია, რომ მარჯანიშვილის არცერთ სპექტაკლში მუსიკა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო საილუსტრაციო. ყოველი ტაქტი, ყოველი ბგერა, ყოველი მუსიკალური ფრაზა იყო ნაწარმოების შინაგანი შინაარსის მატარებელი, მას უნდა შეექმნა პირობები მხატვრული სახის რეალისტური განსახიერებისათვის. მუსიკის როლი სპექტაკლში იმდენად გაზრდილი იყო, რომ დღეს, როდესაც ვეცნობით ამა თუ იმ პარტიტურას, ვრწმუნდებით, რომ ყოველი მოგვანი გათვალისწინებული იყო მუსიკალური დრამატურგიის კანონები.

მარჯანიშვილის ამგვარი დამოკიდებულება მუსიკალური საწყისისადმი დრამატულ თეატრში გამომდინარეობდა მისი ღრმა რწმენიდან, რომ მუსიკას გააჩნია უზარმაზარი შემოქმედებითი ძალა. უფრო მეტიც: მარჯანიშვილს სპექტაკლი არ მიაჩნდა ნამდვილ სპექტაკლად

მუსიკის გარეშე. ამაზე მოწმობს ცნობილი ფაქტი "ურიელ აკოსტას" დადგმის ისტორიიდან: პირველად, რეპეტიციებზე, წყევლის სცენა იდგმებოდა მუსიკის გარეშე და, მიუხედავად ბრწყინვალე აქტიორული შესრულებისა, არ აკმაყოფილებდა მარკანიშვილს. თამარ ვახვახიშვილი იგონებს, რომ კოტემ სპეციალურად დაანერინა მას მთელი მუსიკალური სურათი, თუმცა, სპექტაკლში მუსიკა საკმაოდ დიდი რაოდენობით ჟღერდა. დასი მაშინვე დარწმუნდა, თუ რაოდენ შეივსო და გააღრმავა ეს ეპიზოდი. მიუხედავად იმედაშვილის პროტესტისა /ის დე-სანტოსის როლს ასრულებდა/, რომელიც ამბობდა, რომ მუსიკა მას ხელს უშლის, მარკანიშვილმა თავისი გაიჭანა. სულ რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ იმედაშვილი უკვე ვეღარ კითხულობდა თავის მონოლოგს ორკესტრის გარეშე... ასე კი იმიტომ მოხდა, რომ იგი არ იყო დრამატული ეპიზოდის უბრალო ილუსტრაციული მუსიკალური თანხლება. აქ რეჟისორმა და კომპოზიტორმა დრამატულ თეატრში სრულიად ახალი მეთოდი გამოიყენეს - მელოდიურ-რიტმული გამომსახველობის საშუალებების და სამეტყველო ინტონაციის ურთიერთშეგავლენისა და ურთიერთკავშირის მეთოდი. მარკანიშვილის მიერ თეატრალური მუსიკის ახლებური გააზრების შესახებ უფრო ვრცლად საუბარი ქვემოთ გვექნება.

მარკანიშვილს მუსიკალური განათლება არ ჰქონდა მიღებული, არც სმენა გააჩნდა და არცერთ ინსტრუმენტზე არ უკრავდა, მაგრამ საოცარი სიფაქიზით ერკვეოდა მუსიკის სპეციფიკურობაში. მას შეეძლო მუსიკის სამუშაოებით ასახა სწორი და ეპოქა, გაეღრმავებინა ხასიათები, შეეშნა ორიგინალური მიზანსცენები, მისი სარეჟისორო, ხოლო უფრო ადრე, სამსახიობო მოღვაწეობის პირველივე ნაბიჯებიდანვე გაეთვლინდა ჭეშმარიტად შემოქმედებითი დამოკიდებულება მუსიკისადმი. მუსიკისადმი უაღრესი სიყვარულმა შეიყვანა იგი მუსიკალურ თეატრში, მიმართა ისეთ ურთულეს ჟანრებს, როგორიც არის ოპერა და

და ოპერეტა. ეს გახლავთ გამოკვლევის სპეციალური და უაღრესად საინტერესო დარგი, იმდენად, რამდენადაც მუსიკალურ თეატრში მიღებული გამოცდილება, საინტერესო ჩანაფიქრები და შემოქმედებითი ტენდენციები მარჯანიშვილმა შემდგომ გადაიტანა და დიდად გამოიყენა ქართულ დრამატულ თეატრში. სწორედ მიუთითებს გ.კრიტსკი მარჯანიშვილის კომიკურ ოპერაში მუშაობის აწყარია კავშირზე შემდგომში დრამაში დადგმულ სპექტაკლებთან. აი, რას წერს იგი: "ძიებები რიტმული მოქმედებისა მუსიკის თანხლებით - ეს მეთოდი მან ფარდით გამოიყენა თავის სარეჟისორო პრაქტიკაში".

"აბესალომ და ეთერის" და "დიმარას" დადგმა საოპერო სცენაზე, ჯოშინის კოდევილი "ამერიკელები" და იტალიურ. ბუფას სტილში დაწერილი გლუკის "მოჯადოებული კადი", ჩიმაროზას "ფარული ქორწინება" თბილისის საოპერო სტუდიაში, მოცარტის ოპერები, ოპერეტები "ბოკაჩო", "მასკოტა", "დამურა", "მშვენიერი ელენე", მონუმენტური "ვილელმ ტელი" და "ლოენგრინი", "პერიკოლა" და კიდევ ბევრი სხვა ნაწარმოების სცენური განსახიერება მოწმობს კოტე მარჯანიშვილის უმარჩამარ შემოქმედებითს დიაპაზონზე. მართლაც რომ, დიდად მრავალმხრივი ნიჭი უნდა ქქონოდა კ.მარჯანიშვილს, რომ შეექმნა ესოდენ მავისებური, ესოდენ განსხვავებული ერთმანეთისაგან, მაგრამ ერთნაირად მომხიბვლელი სპექტაკლები.

მარჯანიშვილის როგორც რეჟისორის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყოველთვის გამოიდინარეობდა ამა თუ იმ თეატრალური ჟანრის ბუნებიდან. მისი ნოვატორობა არასოდეს ყოფილა თვითმიზანი. მისი ძიებანი, როგორი თამამი, უჩვეულო და გაბედული არ უნდა ყოფილიყო ისინი, ემორჩილებოდა ავტორის ჩანაფიქრს და სპექტაკლის სპეციფიკურობას.

საოპერო წარმოდგენაზე მუშაობისას, მარჯანიშვილი არ კარგავდა არცერთ შეერას. მის სპექტაკლებში ვერ შეხვდებოდით ე.წ.

"საერთო პლანის" განყენებულ, არაფრისმთქმელ მუსიკას. რაც მთავარია, ის ქმნიდა ჭეშმარიტად სინთეზურ სპექტაკლს, რომელზედაც ოცნებობდნენ ყველაზე გამორჩეული საოპერო და საოპერეტო კომპოზიტორები. მარჯანიშვილის დამოკიდებულება მუსიკალური დარგისადმი მუსიკალურ თეატრში მისი შემოქმედებითი მუშაობის პროცესი მაღალი პროფესიონალიზმის მაგალითია. ეს მაგალითი ყურადსაღებია და მისაბაძია განსაკუთრებით დღეს, როდესაც თანამედროვე მუსიკალურ თეატრებს აგრერიგად ესაჭიროება ნამდვილი მუსიკალური რეჟისორები.

რომელი თეატრალური დარგისთვისაც არ უნდა მიემართა მარჯანიშვილს, მუსიკისადმი მისი სიყვარული ყოველთვის უცვლელი რჩებოდა. მუსიკა მისთვის იყო შთაგონების წყარო, იგი ეხმარებოდა რეჟისორს სპექტაკლის რიტმის შეგრძნებაში, რაც ყოველთვის ასე აღაფრთოვანებდა მაყურებელს მის დადგმებში. შემთხვევითი როდია, რომ თანამედროვენი და მათ შორის გამორჩეული საბჭოთა მუსიკისმცოდნე ასაფიევი /იგორ გლებოვი/ მიუთითებდა ობერის ოპერის "ბრინჯაოს მერნის" დადგმაში იმ ყველაზე დამახასიათებელ თვისებაზე, რითაც გამოირჩეოდა მარჯანიშვილის რეჟისორული ხელწერა – მუსიკალური რიტმისა და სცენური მოქმედების ორგანული კავშირი. ამასთან დაკავშირებით, მინდა მოვიშველიო მარჯანიშვილის მოგონება, რომელიც შესანიშნავად ახასიათებს დიდი რეჟისორის შემოქმედებით ლაბორატორიას, მის დამოკიდებულებას მუსიკალური ხელოვნებისადმი. მოგონება ეკუთვნის იმ პერიოდს, როდესაც მარჯანიშვილი მუშაობდა სამხატვრო თეატრში კამსუნის პიესაზე "ცხოვრების ბრჭყალებში".

"მძიმედ მიდიოდა ჩემი რეპეტიციები, ძნელად მნებდებოდნენ მსახიობები, ვიდრე საცის გადასარევმა მუსიკამ არ გაიტაცა ისინი. მე მჭირდება შეანწეული მუსიკა, რომელიც აღაფრთოვანებდა მაყურებელსაც და მსახიობსაც. და, საცი, ეს მოუსვენარი, თითქმის გე-

ნიალური სატ, მაშინვე მიმიხვდა. ჩვენ მთელი ღამეები ვისხედით რიალთან, მე ტექსტს ვკითხულობდი, ის კი საოცარ აკორდებს ქმნიდა".

მარჯანიშვილს არაჩვეულებრივად მიაჩნდა ის მსახიობი, რომელიც ვერ იმორჩილებდა დავის სხეულს, სუნთქვას, რომელსაც არ ჰქონდა სმენა. ალიტომაც, ყოველთვის გულმდგინედ დაეძებდა მისი დადგმებისათვის ისეთ კომპოზიტორს, რომელიც გაუგებდა მას, გაითვალისწინებდა მის შემოქმედებითს პოზიციებს, გახდებოდა მისი თანაავტორი. საქართველოში იპოვა კიდეც ასეთი კომპოზიტორები: დამარ ვახვახიშვილი, იოსებ ტუსკია, კოტე მელიონეთუხუცესი, მაშინ სრულიად ახალგაზრდა ანდრია ბალანჩივაძე, რევაზ გაბიჩვაძე და სხვ.

დავისი ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლის "უჩიელ აკოსტას" შესაქმნელად მარჯანიშვილი მოვიდა სცენაზე არა მარტო გამოცდილ, დასრულებულ რეჟისორად, ნამდვილ ოსტატად, არამედ ადგილზე ბელოვანად, რომელსაც ჰქონდა მუსიკალურ თეატრში მუშაობის უზარმაზარი გამოცდილება და რომელმაც კარგად იცოდა, თუ რაოდენ დიდი დატვირთვა შეეძლო დეკორაციებისა მუსიკისათვის დრამატულ სპექტაკლში.

1929 წლის 2 თებერვალს ქუთაისში შედგა პრემიერა, რომელმაც ახალი ფურცელი გადაშალა ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში. ეს იყო სპექტაკლი, სადაც ყოველივე – მსახიობთა ბრწყინვალე თამაში, მუსიკა, განათება, მხატვრული გაფორმება, დეკორაციები შერწყმული იყო ერთიან ჰარმონიულ მთლიანობაში. ეს იყო თანამედროვეობა სპექტაკლი.

მაყურებელი გაოცა გუცკოვის დრამის თანამედროვე ლეგალობამ, აღელვა სპექტაკლის უდიდესმა ემოციურმა ძალამ, მისმა მაღალმა რომანტიკულმა პაფოსმა, მინაარსისა და სახეების სიღრმემ და მგზნებარებამ. მაყურებელმა სცენაზე იხილა და მოისმინა ადამიანის გონების გამარჯვება, სიყვარულის ტრაგედია და ზეიმი.

დიახ, სწორედ რომ მოისმინა, რადგანაც მანამდე ქართულ დრამატულ სცენაზე მუსიკას არ ჰქონია ასეთი დიდი იდეურ-აზრობრივი მნიშვნელობა, არასოდეს მუსიკა ასე აქტიურად არ შეჭრილა მოქმედებაში, გმირთა სულიერ სამყაროში და ასე არ დახმარებია მაყურებელს კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდომოდა ავტორის ჩანაფიქრს.

ახალ თეატრში მისვლისთანავე მარჯანიშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა. გარდა ახალგაზრდა მსახიობებისა, მას სჭირდებოდა ენერგიით სავსე, მდიდარი ფანტაზიით დაჯილდოებული მაყურებელი, მისივე მსგავსი ენთუზიასტები, სპექტაკლის შემქმნელები - დირიჟორი, მხატვარი, ქორეოგრაფი, კომპოზიტორი. მარჯანიშვილისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მათ მიერ რეჟისორის შემოქმედებითი პრინციპების გაზიარება.

"კომპოზიტორი ჩემი მეორე მეა. ის ვალდებულია უწინასწარმეტყველოს ჩემს ფიქრებს, გრძნობებს, მე სხვაგვარად არ წარმომიდგენია". მაგრამ მარჯანიშვილი არასოდეს თავს არ ახვევდა სხვას თავის აზრებს, არ უკარგავდა ახალგაზრდობას მის ინდივიდუალობას, პირიქით, დიდი გულისყურით ეკიდებოდა მათს რჩევა-დარიგებებს, განსაკუთრებით აფასებდა მათში გატაცებას და მდიდარ ფანტაზიას.

"ურიელ აკოსტასათვის" მან იპოვა ასეთი ენთუზიასტები: მხატვარი პეტრე ოცხელი, ქორეოგრაფი დავით მაჭავარიანი, დირიჟორი ალექსანდრე გველესიანი, კომპოზიტორი თამარ ვახვახიშვილი.

ილაპარაკო "ურიელ აკოსტას" მუსიკაზე, ეს ნიშნავს ილაპარაკო საზოგადოდ მუსიკალური საწყისის მნიშვნელობაზე მარჯანიშვილის თეატრში, მისი მუშაობის შემოქმედებით პროცესზე კომპოზიტორთან.

ერთი შეხედვით, რეჟისორის დამოკიდებულება კომპოზიტორთან, შესაძლოა, დღეს უცნაურად და ნაკლებად დამაჯერებლად მოგვეჩვენებოდა, მაგრამ მარჯანიშვილის სპექტაკლებმა გაუძლო დროის გამოც-

დას, ცხოვრებამ დაამტკიცა მისი ადამიანი ძიებების რეალურობა და მაღალმხატვრულობა, ამიტომ მისი ამგვარი დამოკიდებულება კომპოზიტორთან ჭეშმარიტად მიბაძვის მაგალითია.

მარჯანიშვილის პირველი და აუცილებელი პირობა იყო არა მოგადი, არა განყენებული მუსიკის დაწერა /როგორი კარგიც არ უნდა ყოფილიყო/, არამედ წმინდა თეატრალური მუსიკის შექმნა. მას არაფრად მიაჩნდა კაბინეტში, სცენის გარეშე დაწერილი მუსიკა, მოქმედებისგან, სპექტაკლის მინაგანი პულსისგან მოწყვეტილი. ამიტომ უპირატესობას იგი ყოველთვის თეატრალურ კომპოზიტორებს ანიჭებდა. კომპოზიტორი, ისევე როგორც მსახიობი, უნდა ყოფილიყო სპექტაკლის დაბადების პროცესის აუცილებელი მონაწილე. ნამდვილ თეატრალური მუსიკა, მისი ღირსი იწმენილი უნდა შექმნილიყო მთელ ანსამბლთან მჭიდრო ურთიერთკავშირში. "მუსიკა უნდა ეხმიანებოდეს მსახიობის გრძნობას. ყოველდ დაუშვებელია ჩასვა მსახიობი წინასწარ გამზადებულ მუსიკაში", - ეს იყო კიდე მარჯანიშვილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პრინციპი. მარჯანიშვილი მოითხოვდა, რომ კომპოზიტორი აუცილებლად დასწრებოდა ყველა რეპეტიციას. მას ძალზე სჭირდებოდა რეპეტიციებზე შეთხზული მუსიკა, რომელიც გაიტაცებდა და ააღელვებდა მთელ ანსამბლს, განსაკუთრებით აფასებდა კომპოზიტორში იმპროვიზატორულ წიჭს. ბევრი მუსიკალური ნომერი შემდგომ არ შედიოდა პარტიტურის საბოლო ვარიანტში, მაგრამ კომპოზიტორი რეპეტიციებზე იდვისებდა მთავარს— სპექტაკლის მინაგან რიტმს, ტემპს, სპექტაკლის კოლორიტს, რომელიც მის დვაღინ იბადებოდა. კომპოზიტორისათვის ნათელი ხდებოდა, რას მოითხოვდა მისგან რეჟისორი, რაც მას ეხმარებოდა შემდგომ მუშაობაში.

კომპოზიტორთან ერთად მარჯანიშვილი რეპეტიციებზე მთელ ორკესტრს იწვევდა. ორკესტრანტები, რომლებიც ჩვეულებრივ, შუშაო-

ბის დამთავრების შემდეგ შინ მიიჩქარიან, ამჯერად არ ტოვებდნენ თეატრს და ხშირად მთელი ღამე, დილამდე ისხდნენ სცენასთან მოჯაჭვულნი, მოჯადოებულნი მარჯანიშვილის რეჟისურით.

რეჟისორის მდიდარი ფანტაზია ხშირად უბიძგებდა კომპოზიტორს შესანიშნავი ფურცლების შექმნისაკენ და პირიქით, სახოვანი, მკაფიო, დასამახსოვრებელი მუსიკა რეჟისორში ახალ იდეებს და აზრებს იწვევდა.

სწორედ მუსიკამ მიიყვანა მარჯანიშვილი მეორედ "ურიელ აკოსტას" საბოლოო დადგმასთან.

"ერთ ხანს მას დაავიწყდა ეს პიესა, – იგონებს თამარ ვახვახიშვილი, – შემთხვევამ კვლავ შეახსენა მას "ურიელის" არსებობა. ვერიკო კონცერტზე უნდა გამოსულიყო, იუდითის მონოლოგი უნდა წაეკითხა, მე მან მთხოვა მუსიკა დამეწერა. ჩვენ პარტერში როიალს მივუჯექით და რეპეტიცია დავიწყეთ. უეცრად დავინახეთ, რომ ჩვენს ზემოთ მარჯანიშვილი დგას და სულგანაბული გვისმენს. მან მონოლოგი მუსიკით მეორეჯერ გაგვამეორებინა. უეცრად გაისმა მისი ომახიანი ხმა "ყველა სასწრაფოდ სცენაზე", რეპეტიცია იქვე დაიწყო".

არცერთ სპექტაკლზე მარჯანიშვილს არ უმუშავია ასეთი გატაცებით, ასეთ თავბრუდამხვევ ტემპში და არცერთი მუსიკალური ნომერი არ უყვარდა ისე, როგორც ამ მონოლოგის მუსიკა. შემდგომში ეს მელოდია გადაიზარდა იუდითის ლაიტმოტივში, იგი სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი მუსიკალური თემა გახდა.

"ურიელ აკოსტა" მარჯანიშვილის სპექტაკლთა შორის განსაკუთრებით დამახასიათებელი, მკაფიო ნიმუშია, რომელშიც მუსიკა პასუხობს რეჟისორის ნოვატორულ ჩანაფიქრს.

მუსიკის ავტორი, თამარ ვახვახიშვილი მარჯანიშვილის დასში მოვიდა სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ მაღალი პროფესიული განათლე-

ბის მქონე კომპოზიტორი. მან დაამთავრა თბილისის მუსიკალური სასწავლებლის ორი ფაკულტეტი - საფორტეპიანო და საკომპოზიციო. შემდეგ სწავლობდა ცნობილ ჩუს პედაგოგთან ჩერეპნინთან პეტერბურგის კონსერვატორიაში და სწავლა-განათლება პარიზში დაასრულა. მანამდე მას არასოდეს დაუწერია თეატრალური მუსიკა, მაგრამ მის პირველივე ორპა ნამუშევარმა - "ცხვრის წყაროს" და "ურიელ აკოსტას" დაარწმუნა მარჯანიშვილი, რომ იგი მონდებით თეატრალური კომპოზიტორი იყო. ამ ნამუშევრებში ო.ვახვახიშვილმა გამოავლინა საუკეთესო თვისებები: სცენის შეგრძნება და ამროვნების სახოვანება. მას იმპროვიზაციული ნიჭი ჰქონდა. ამ თვისებებს მარჯანიშვილი განსაკუთრებით აფასებდა მასში. ო.ვახვახიშვილმა თერთმეტი წელი იმუშავა დიდ რეჟისორთან და ამ ხნის განმავლობაში მისი თანამოაზრენე გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ მუსიკას მარჯანიშვილის წარმოდგენებში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი, მას არასოდეს დაუკარგავს მომიერების გრძნობა, არასოდეს გადაუქცევია დრამატულ სპექტაკლი მუსიკალურ-დრამატულ წარმოდგენად. მაგრამ, მის სპექტაკლებში მუსიკას არასოდეს ჰქონია საილუსტრაციო ხასიათი. აქ, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო რეჟისორის მესანიშნავი თვისება - ყოველი თეატრალური ტანრის ბუნების, სპეციფიკურობის შენარჩუნება. "ურიელ აკოსტაში" ო.ვახვახიშვილმა ნიჭიერად შეასრულა მარჯანიშვილის მოთხოვნილება - სპექტაკლის მუსიკა ისე ძლიერად და ორგანულად შეეწყო მოქმედებას, რომ მისი ამოღება იქიდან შეუძლებელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვეოდა მისი მხატვრული მთლიანობა.

"ურიელ აკოსტას" მუსიკის ანალიზის დროს, მე ხელი მქონდა საავტორო /ე.ი.კომპოზიტორის/ და სადირიჟორო ეგზემპლარები, რამაც დამარწმუნა, რომ ეს არის დიდი პარტიტურა, აგებული დასრუ-

ლებული მუსიკალურ-სცენური ნაჭარმოების კანონების გათვალისწინებით, გამარჯვული მუსიკალური დრამატურგიით.

სპექტაკლის მუსიკა 29 წოწინისგან შედგება. მისი სუფთა ხანგრძლივობა არ აღემატება I საათს; და,თუმცა, მთელი რიგი epizodebisa და სცენებისა სრულდება მუსიკალური თანხლების გარეშე, სრული მთლიანობა იქმნება იმისა, რომ მუსიკა მთელი სპექტაკლის მანძილზე არ წყდება. ამგვარი მთლიანობა იქმნება მუსიკალური ნიმუშების დიდი ემოციური სიმდიდრით და თემატიკური მასალის განვითარების თავისებური პრინციპის წყალობით.

კომპოზიტორი ფარდად იყენებს მუსიკალური ტრანსფორმაციის, სახეების ლაიტმოტივური დახასიათების, მუსიკალური კონტრასტისა და მუსიკალური რემინისცენციის ხერხებს, მუსიკალურ პაუზებს, რაც ფსიქოლოგიურად ამზადებს მაყურებელს წინასწარ, უკმნის მას გარკვეულ განწყობილებას.

"ერიელ აკოსტას" პარტიტურის ანალიზის დროს ნათლად ჩანს ერთი, მეტად მნიშვნელოვანი საკითხი - რამდენად ეროვნულია ქართველი კომპოზიტორის მიერ დაწერილი მუსიკა. ი.ვახვახიშვილი მეთოქეობდებოდა მიუდგა ამ პრობლემას. ხოლო ის თავის მასწავლებლების საუკეთესო ტრადიციები, ებრაული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების სტილიზირების პრინციპის მსგავსად, მან გვერდი აუარა ქართული მელოდიებისა და რიტმების უბრალო, მექანიკური ციტირების იოლ გზას, თუმცა, ზოგიერთი epizodi amkarna aRmosavluri kolorits atarebs. კარგად ცნობილია, რომ მუსიკის ეროვნულ სტილს, მის ხასიათს იერს არასოდეს განაპირობებდა გამოყენებული ან ციტირებული მელოდიების რაოდენობა. მაგრამ ი.ვახვახიშვილი სულით, ბუნებით, რწმენით აქ ჭეშმარიტად ქართველ კომპოზიტორად წარმოგვიდგება. ამ სპექტაკლის მუსიკის ეროვნულობის საკითხს უფრო ფართოდ და ღრმად უნდა მივუდგეთ და განვსაზღვროთ მისი ეროვნულობა იმ

ტემპერამენტით, რომანტიკული აღმაფრენით, ექსპრესიულობით და ემოციური სიმძაფრით, რამაც განაპირობა მარჯანიშვილის ახალგაზრ-და თეატრის ეროვნული სახე.

...ფარდა ჯერ არ ახდილა, მაგრამ სპექტაკლი უკვე დაიწყო, საორკესტრო შესავალს მაყურებელი შეჰყავს დრამის განწყობილებაში /მარჯანიშვილის თითქმის ყველა სპექტაკლი იწყებოდა მუსიკით/. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საორკესტრო ინტროდუქციას და, თუმცა, იგი ზოგჯერ თემატიკურად არ იყო დაკავშირებული მუსიკის შემდგომ განვითარებასთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინტროდუქცია მნიშვნელოვან დრამატურგიულ ფუნქციას ასრულებდა. "ურიელის" შესავალი ორი ძირითადი, ერთმანეთთან კონტრასტული ინტონაციური ბირთვისაგან შედგება: ეს ორი ეპიზოდი სხვადასხვა მხატვრულ სახეს, ეკლესიის ორ წარმომადგენელს წარმოგვისახავს. აუჩქარებელი, მშვიდი, აღელვებული მელოდიური მუსიკა ჟღერს PP-ზე შენელებულ საორკესტრო tutti-ში.

ეს და-სილვას სამყაროა. ის ჯერ არ გამოჩენილა სცენაზე, მაგრამ მუსიკალური სახე უკვე ნაჩვენია. აკორდული ფაქტურა, მის ფონზე სადა, დიატონური მელოდია, ნათელი ჰარმონიული ენა. არაფე-რი არ არღვევს აქ მყუდროებას, დროის მშვიდ დინებას, ბრძენი და-სილვა აუჩქარებლად ფურცლავს ცხოვრების წიგნს.

მწვავე კონტრასტად შემოიჭრება ამ მშვიდობიან სამყაროში გაბრაზებული, გამყინავი ხმა, PP შეიცვალა ff-ით. თემა რამდენჯერმე მეორდება მოსაზღვრებლად. პუნქტირული რიტმი, მელო-დია შეკავშირებული ბგერებით, აქცენტის გადატანა ტაქტის სუსტ ნაწილზე, ერთი და იგივე მოტივის უცვლელი გამეორება – ყოველივე ეს თემას აფორიაქებულ, მშფოთვარე ხასიათს ანიჭებს. მუსიკა უწინასწარმეტყველებს მოვლენებს – მრისხანე რაბინი და-სანტოსი აღასრულებს თავის ბოროტ საქმეს. ამგვარად, ეს პატარა შესავალი

მთელი მუსიკალური კონსპექტის ფუნქციას ასრულებს: კომპოზიტორი იყენებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხერხს – მუსიკალური კონტრასტის ხერხს, რაც შემდგომ აზროვნების და მუსიკალური მასალის განვითარების ძირითად პრინციპად იქცევა. ერთმანეთთან დაპირისპირებულია ორი საწყისი – გონება ებრძვის რელიგიურ ფანატიზმს; დე-სანქტისის თემის ბოლო ბგერების ჟღერადობის ფონზე ნელა იხურება ფარდა.

სცენა მძიმე, კუპრივით შავ ხავერდშია ჩაფლული. წყვდიადს, სიჩუმეს და იდუმალებას დაუსადგურებია აქ. ამ ფონზე მწვავე კონტრასტად გამოირჩევა თეთრი კიბე – რა სიმსუბუქე, სილამაზე და სივრცეა მასში. დე-სანქტისის გამოჩენისას, ურიელის წიგნით ხელში, კვლავ იგივე შესავლის მრისხანე თემა ჟღერს საყვირების პარტიაში. ამიერიდან ეს თემა სპექტაკლში ლაიტმოტივის მნიშვნელობას იძენს. იგი იმდენად დე-სანქტისის კონკრეტული მუსიკალური დახასიათება კი არაა, რამდენადაც რელიგიური ფანატიზმის განზოგადებული ფუნქციის მქონე. ყველაზე კულმინაციურ ეპიზოდებში რამდენჯერმე შემოიჭრება, წინ აღუდგება სიხარულს, აქარწყლებს იმედებს, ამსხვრევს ბედნიერებას. ამ თემის შემოქმედებითი ძალა მის უმოძრაობაშია. იგი არ იცვლება, არ ვითარდება, მრისხანე და შემზარავია თავისი სქემატურობით.

მაგრამ შავი ხავერდი, წყვდიადი, მრისხანე დე-სანქტისი გაქრა, გაუჩინარდა და სცენაზე შემოიჭრა სინათლე, სიხარული, უსაზღვრო ბედნიერება, თითქოს ყოველივე კამკამა მზით ქანაობდა. პირველი მოქმედების მეორე სურათი ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და პოეტურია სპექტაკლში და ამ ლირიკულობის, მაღალი რომანტიკულობის განწყობილებას, უპირველეს ყოვლისა, მუსიკა ქმნის. ეს ის ცნობილი მონოლოგია, რომელმაც მარჯანიშვილს ბიძგი მისცა "ურიელ აკოსტა" დაედგა სცენაზე. ივლიტის მიელ პობოლევი მუსიკის ფონ-

ზე სრულდება. აქ კომპოზიტორმა აირჩია ერთ-ერთი ყველაზე ნათელი, მზიური ტონალობა ლა-მაჟორი. სხვათა შორის, ვენის კლასიკოსებში იყენებდნენ ამ ტონალობას ყველაზე ნათელი, უშუალო ემოციური განწყობილების გადმოსაცემად, რიმსკი-კორსაკოვი კი, რომელსაც ფერადი სმენა გააჩნდა, ამბობდა, რომ ლა-მაჟორი, თითქოსდა, კამკამა მზიურ სხივებს აფრქვევს. ივლითის გამოჩენისთანავე ორკესტრში აჟღერდება ღამაში, ლირიკული მელოდია. ვრცელი, ფართო სუნთქვის დაუსრულებელი სიმღერის მთაბეჭდილებას ქმნის. მელოდია ვითარდება, მაგრამ ძირითადი ტონალობის ძირითადი განწყობილება არ იცვლება. ლოლებისა დაჭრილების შეწყმა მას შინაგან მთრთოლვარებას და ლირიკულ მღელვარებას ანიჭებს. ინსტრუმენტული მელოდია იძენს ვოკალის მღელვარებას და გამომსახველობას. ამას კიდევ უფრო აღრმავებს სიმებიანი ჯგუფის კანტილენა, ხოლო ფლეიტისა და მანდოლინების ნაზი, კაშკაშა ბრილისებური ტრელები კიდევ უფრო ამდიდრებენ ივლითის პორტრეტს, საოცნო სახეს. იქმნება მთაბეჭდილება, თითქოს, ივლითი მღერის. ამ მონოლოგის შესრულებისას, ვერიკო ანჯაფარიძე წარმოუქვამდა ტექსტს, როგორც მუსიკას, როგორც ლირიკულ დეკლამაციას. პ.ჩაიკოვსკის მუსიკა აღაღრთოვანებდა მას, ხელს უწყობდა სიყვარულის მაღალი გრძნობის გადმოსაცემად. ივლითის მონოლოგი, რომელიც გადმოსცემს მის მდიდარ სულიერ სამყაროს და მასში მიღწეულია სიტყვისა და მუსიკის იდეალური სინთეზი – წარმოადგენს გმირი ქალის დასრულებულ მუსიკალურ პორტრეტს. მაყურებელს შეეხებოდა რომ უყვარდა ასე ძალიან ეს მუსიკა და მიაჩნდა ეს სცენა სინთეზური ხელოვნების მაღალხარისხოვან ნიმუშად. მონოლოგს დასრულებული ლირიკული არიის ფორმა აქვს და მთავრდება ტრადიციული კლასიკური კადანსით. ამის შემდეგ იწყება ამ დიდი სცენის მეორე მონაკვეთი, რომელიც აღრმავებს პირველის განწყობილებას. სცენის სიღრმეში გამოჩნდება

ურიელი – უდრეკი, ვაჟკაცური, ამაყი. უსაზღვროა ივდითის ბედნიერება. სიტყვებზე: "მაგრამ, ის მოდის" – მთლიანად გამოითიშება ტექსტი და სცენას დაეპატრონება მუსიკა – ამაღლებული, მგზნებარე, სადღესასწაულო. ფსიქოლოგიური პაუზის მუსიკით შევსება ვახვახიშვილისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ხერხია. ამ ხერხმა მარჯანიშვილის დიდი მოწონება დაიმსახურა. შემდგომში რეჟისორი კომპოზიტორისაგან მოითხოვდა მის გამოყენებას სხვა სპექტაკლებშიც.

დავუბრუნდეთ ურიელის სცენაზე გამოჩენის ეპიზოდს /პირველი მოქმედების მეორე სურათი/. თუ ივდითის მონოლოგის მუსიკა ინტიმურ-კამერულ ხასიათს ატარებს, თუ ლირიკა აქ ალერსიანი, რბილი, თბილი და მსუბუქი ცვლით არის მოცემული, სცენის მეორე ნახევრის მუსიკა აყვანილია პათეტიკის სიმაღლეზე. ამ სცენის ორივე მონაკვეთს აშკარად გამოკვეთილი ფორმა აქვს; თუ პირველს პირობითად ლირიკული არია ვუწოდეთ, მეორე – შეყვარებულთა მგზნებარე, ემოციური დუეტს მოგვაგონებს. კრეშჩენდო ორკესტრში უზარმაზარი ტალღების ჯახუნს ემსგავსება, ტრიოლებს ცვლის სექსტოლები, მუსიკა წინ მიაქრის, თითქოს ფრთები შეისხა და ჰაერში ლაღად გაინავარდაო. თვით ივდითიც, ვით თეთრი გედი, წინ გაშლილი ხელებით, მიესალმება ურიელს: "ის ჩემთან მოდის, თავს უკრავენ მას ყვავილები".

სიყვარულის თემა ყოვლისმომცველი ხდება, მთელ ორკესტრში ჟღერს. ერთსახელიანი მინორისა და მაჟორის შენაცვლება სრულდება ძირითადი მაჟორული ტონალობის განმტკიცებით, ქრება ყოველგვარი შიში და ეჭვები. ახლა ისინი ერთნი არიან. მშვიდად, წყნარად, საჟ ppp -ზე ვიოლონჩელის პარტიაში, ალერსიანად მღერი ორკესტრის ფონზე დასრულდება სიყვარულის ლაიტმოტივი. ამ სცენის შესრულებისას, მარჯანიშვილი განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს უყენებდა დირიჟორს: "ხმადაბლა, რაც შეიძლება ხმადაბლა! ფორტისიმო! დარბაზი აივსოს ტალღით. აქ სიყვარული იმარჯვებს!"

ამ სცენაში გაბატონებული ლირიკა, ესოდენ მრავალფეროვანი, ბან ალერსიანი, იმპიტური, ბან აღგზნებული, პათეტიკური, იცვლება სტილიზებული, ერთფეროვანი საცეკვაო მუსიკით. ერთობიან მანასეს სტუმრები. მოსაბეზრებლად ტკბილ ერთ და იგივე მელოდია, იგი გაბმულად შემღერებულია ლიპამონში, შედგება ტაბილი, მოკლე მუსიკალური ფრაზებისაგან, მოკლებულია მინაგან სიღრმეს და ემოციურ სიღრმეს, ცივი და უსიცოცხლოა. ოთხის ცოცხალი ადამიანების ნაცვლად, სცენაზე, მექანიკური თოკინები მოძრაობენ, სიკოპირებული რიტმი აძლიერებს მოძრაობის მექანიკურობას. რა მარტონი არიან მაო მორის იქვითი და ურიელი!

დე- სანჯოსის მისვლისა და წყევლის სცენიდან მოყოლებული, მუსიკაში ხდება გარდატეხა ლირიკულობიდან ტრაგიკულობისაკენ. ამის შესახებ მსმენელს აუწყებენ საყვირის მრისხანე ხმები. ჩემთვ აღვნიშნავ ამ მოტივის დიდი დრამატურგიული ფუნქცია, რომელიც სპექტაკლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლაიტმოტივია. მოგ ეპიზოდში ეს მოტივი ასრულებს მუსიკალური რემინისცენციის როლს. ეპიზოდში, როდესაც ურიელი დე-სილვასთან მოდის და ეს უკანასკნელი ატყობინებს მას, რომ სინაგოგამ უარყო მისი წიგნი, კაბინეტის მყუდროებაში შეშფოთებულად შემოესმება საყვირის ხმები, რომლებიც შეახსენებენ ურიელს, რომ ის ფანატიკოს-რაბინების მსხვერპლია. ეს ეპიზოდი ერთხელ კიდევ ადასტურებს. ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ აზრს, რომ დე-სანჯოსის ლაიტმოტივი არა იმდენად მისი კონკრეტული დახასიათებაა, რამდენადაც სინაგოგას საშინელი ძალის განსახიერება. ეს ძალა განსაკუთრებით შეშფოთებულია წყევლის სცენაში, სადაც მუსიკა ტკივილს გამომსახველობას აღწევს. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სპექტაკლის ამ ერთ-ერთ, ყველაზე დრამატულ სცენის დიდი შემოქმედებითი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ აბსოლუტურად სინქრონულია საღაპარაკო და მუსიკალური ტექსტი.

მ.ვახვახიშვილი მუსიკის სამუსიკალო ნიმუშების ქმნის სცენის განწყობილებას. პაპარა, რვატაქტიან ნაწყვეტს აქ ღიდი ამოსუნთქვა დატვირთვა ეკისრება. პირველი ოთხი ტაქტი pp ძლერს, გმინავს და ქუხს ორკესტრი, მერყეობს ტონალობა, ჩნდება მორეული მიდეატები /დო მაჟორი, ლია ბე მინორი/ შემდგომ ოთხ ტაქტზე მუსიკა მიიისწრაფის წინ და უცბად შეწყდება, იყინება dim.-ზე, ერიელ სამინელი აღსასრულის მოლოდინშია. იწყება წყევლის სცენა. მუსიკა აქ. სრულიად მოკლებულია მელოდიურ საწყისს, შეწყება სხარტი, მოკლე, რიტმულად მკვეთრი ფრაზებისაგან. კომპოზიტორი აღნიშნავს პარტიტურაში Recitativo; თანდათან დაბლა ჩამოდის დე-სანტოსი კიბეებზე, სულ უფრო სამინლად გაისმის მისი წყევლა, სულ უფრო შემზარავად გმინავენ წაბინები, სულ უფრო იხრება წელში საბრალო ივდითი და ხუთი ბგერისაგან შემდგარი /დო, სოლ, მი-ბე მოლ, რე/ ამ სცენის ძირითადი მუსიკალური ფრაზა სეკვანტურად მოსდევს ქვემოდ. 10-ჯერ უცვლელად მეორდება ეს გამომწვეული, ტანჯვა, უხეში ფრაზა და უეცრად წყდება, თითქოს შუაზე გაკვეთესო. შეწდება ერთი წამით ორკესტრი, "რაბინო, სტყვი!" წეკრიებს ივდითი, ქრომატული აკორდები ეღვის სისწრაფით აკორდებიან მეორედ, არქარდება ტემპი /ქ'ieh/, ძლიერდება ემოციურობა, სულ უფრო ჩუმად ძლერს წყევლის თემა, ბოლო მის წაცვლად მაღალ სცენა, ორკესტრი, მაყურებელთა დარბაზი, კულისებიც კი კამკამა მშვიდ იცსება. აქ მაჟორობს გაბატონება და მუსიკა - მარკანიშვილის თეატრის ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. აქტორი აღნიშნავს ორკესტრში "ილუსტრაციის". მგმნებარე, პოეტური მელოდია, რომელსაც ასრულებენ, უფრო სწორად, მღერიან ვიოლინები და მათ უბისონში რბილად, ალერსიანად აჰყვება მის ჩასაბერი საკრავები - შეყვარებულთა სიმღერა ანმოკლე, მაგრამ უძლეველი სიყვარულის ალთქმაში,

როგორც ლუნაჩარსკიმ აღნიშნა, "გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა".

სპექტაკლის ეს ერთ-ერთი ყველაზე ნათელი სცენა მოთავსებულია ორი დრამატული ეპიზოდს შორის, რომლებშიაც მუსიკას ეკისრება არა მარტო მნიშვნელოვანი, არამედ გადამწყვეტი როლი. ესაა ზემოთ აღნიშნული წყევლის სცენა და მესამე მოქმედების ლედასთან შეხვედრის ცნობილი სცენა. ამ სცენის გარეგნულ სტატიკურობაში უდიდესი დინამიკურობაა და ამ დინამიკურობას დიდ როლს ანიჭებს მუსიკა. სტილიზებული ებრაული ინტონაციების მქონე აღმოსავლური ხასიათის სევდიანი მელოდია ჟღერს მთელი სცენის მანძილზე. და, კვლავ კონტრასტი. - ურიელი მიექრის სინაგოგასაკენ, რათა უარი თქვას იმაზე, რისიც ასე სწამდა და რაც ასე უყვარდა.. მუსიკა ორკესტრში გაძლიერებულად ვითარდება. ლედასთან შეხვედრის ინტიმური სცენა იცვლება სინაგოგას ხმაურიანი, დრამატული ეპიზოდით. ურიელი შემორბის მუსიკის ყველაზე კულმინაციური ჟღერადობის ფონზე.

ხმა ჩაიკმინდეთ, დადუმდით ყველა,
მე ყველას გიცნობთ, ვინც რაცა ხართ.

აქ გამოყენებულია მარჯანიშვილისათვის ერთ-ერთი, ყველაზე დამახასიათებელი ხერხი; მას უყვარდა მსახიობის გამოყვანა ძლიერ მომენტში მუსიკის ფონზე. მაშინ, როდესაც სცენაზე იტანჯება ურიელი, ხოლო ორკესტრში ბობოქრობს მუსიკა, შორს, კულისებში ისმის ქორალი. ურიელს ყველგან თან ახლავს ძალზე ლამაზი, სევდიანი მელოდია ორგანის თანხლებით, რაც ხაზს უსვამს მის მარტოობას. სპექტაკლში მუსიკის როლი განსაკუთრებით გაზრდილია ფინალში. აქ ორი საწყისი უპირისპირდება ერთმანეთს. პოეტური სიყვარულის თემა და სტილიზებული ცეკვა, რომელიც ახასიათებს გულგრილ, უმოწყალო სტუმრებს. კომპოზიტორმა იგი იმდენად ოსტატურად გამოიყენა, რომ მრავალფეროვანი თემატური მასალის მთლიანობა იქმნება.

სტილიზებული ცეკვის მელოდია და რიტმი, რომელიც პირველად მეორე მოქმედების დასაწყისში გამოჩნდა, აქ განსაკუთრებულად საზეიმოდ და ცივად ჟღერს. ესაა დ.მაჭავარიანის მიერ საცხოვრებლად დადგმული საქორწილო ცეკვა. მთელი მოქმედების მანძილზე ხან ხმამაღლა, ხან ჩუმად, ხან სევდიანად, ხან მრისხანედ გაისმის ეს საცეკვაო მელოდია. ეს მუსიკა სულ 8 ტაქტიანია, მაგრამ მრავალჯერ იცვლება მისი ამრომრივი მინაარსი. კომპოზიტორი ოსტატურად იყენებს მეტამორფოზის ხერხს. განსაკუთრებით გამოსახველია ეს მელოდია მაშინ, როდესაც ის გამოხატავს ივდითის სულიერ სევდას. იკარგება ცეკვის, რიტმული მოძრაობის მექანიკურობა, ძლიერდება მელოდიური საწყისი, ცეკვა მდიდრდება მინაგანი სითბოთი და ემოციურობით. ეს საერთო ცეკვაში მონაწილეობდა მთელი საორკესტრო tutti, ივდითის ტრანსფორმირებული მელოდია სრულდება ვიოლინოების პარტიაში სურდინით. სევდიან ცეკვას ჩაყურებელი ლოგიკურად მიაყავს ფინალისაკენ. ივდითი კვლება ყრუ, უწყვეტი საცეკვაო მელოდიის ფონზე, რომელიც დანდაჯანობით მისი ტრაგიკული სიყვარულის ლაიტმოტივში გადაიზრდება. მშვიდად, უოქმელად დალია სული ივდითმა, ვით დაჭრილმა გელმა და მისი მელოდიაც გედის გამოსამშვიდობო სიმღერად გაისმის.

მაგრამ სპექტაკლი არ დამთავრებულა. მაიკანიშვილი, რომელიც არასოდეს არ გამოუშვებდა მაყურებელს თეატრიდან დაღონებულს, იმედგაცრუებულს, "ურიელს" ამთავრებს საბეიმოდ და ამაღლებულად დე-სილვას სიტყვებით:

ამ დიად წუთებს ნუ შევეხებით,
თვითონ ცხოვრებამ იჩინა თავი
ჩვენ ჩიხ დაღუპულ ორ აისებში

მაყურებელი აღივსება სპექტაკლის ფინალის საზეიმო განწყობილებით. ამ სცენის შემოქმედებითი ძალა სამი კომპონენტის იდეალური სინთეზით არის მიღწეული:

სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მონოლოგის სიტყვები,

სულ უფრო კაშკაშად ნათდება სცენა,

სულ უფრო ძლიერად, ამაღლებულად და საშინლად ჟღერს მუსიკა. ივდითისა და ურიელის სიყვარული სიკვდილზე უძლეველია.

ნათელა არველაძე
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო სექტორის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

გ.სუნდუკიანი "პეპო" თარგმანებში

სომეხი დრამატურგის გ.სუნდუკიანის როლი ქართული თეატრის ისტორიაში მნიშვნელოვანია. მისი პიესები წლების მანძილზე ასაზრდოებდა სცენას; ქართველი მსახიობების შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესწავლა ადასტურებს, რომ გ.სუნდუკიანის გმირებმა გაამდიდრეს მათი სასცენო მოღვაწეობა და რამდენადმე განსაზღვრეს ქართველი მსახიობების ოსტატობა. გ.სუნდუკიანი პრაქტიკული საქმიანობითაც დიდად უწყობდა ხელს სცენაზე ცხოვრებისეული სიმართლის ასახვას, ეხმარებოდა მსახიობებს როლზე მუშაობის რთულ პროცესში.

გ.სუნდუკიანის შემოქმედების შესწავლას არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს ქართველმა მკვლევარებმა. ქართულ თეატრში მისი მოღვაწეობა თავის დროზე ჯეროვნად შეაფასეს ი.ჭავჭავაძემ, აკ.წერეთელმა, ს.მესხმა, ვ.გუნიამ, კ.ყიფიანმა, ა.ფურცელაძემ, კ.ბუაჩიძემ, მ.ზანდუკელმა, ი.ზურაბიშვილმა, ი.გრიშაშვილმა და სხვ. საგულისხმოა თანამედროვე ქართველ მოღვაწეთა სპეციალური გამოკვლევებიც. მაგალითად: გ.ბუხნიკაშვილის "გაბრიელ სუნდუკიანი"[1], მისივე "სუნდუკიანი"[2], ბ.არველაძის "გაბრიელ სუნდუკიანი და

1 ბ უ ხ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი გ., გაბრიელ სუნდუკიანი, თბ., 1950.
2 ბ უ ხ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი გ., სუნდუკიანი, თბ., 1976.

ქართული სინამდვილე"[1].

1950 წელს დაისტამბა გ.სუნდუკიანის პიესები ი.გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით. აღნიშნული გამოცემის წინათქმაში ი.გრიშაშვილი წერს: "გაბრიელ სუნდუკიანი ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ერთნაირი გატაცებითა და სიყვარულით ემსახურებოდა როგორც სომხურ, ისე ქართულ თეატრს. სუნდუკიანმა მოწიწებით შეაღო ქართული თეატრის აღაყაფის კარები და ჰპოვა იქ უსაყვარლესი სახელები: ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, კოტე ყიფიანი, რომლებმაც ორივე ხელით ჩამოართვეს ძვირფას მეზობელს ქართულ ხონჩაზე დაწყობილი ხელნაწერი პიესების ჰარ-მარი-ლი..."[2]

ი.ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ: "გაბრიელ სუნდუკიანი იმდენად ფესვგადგმულია ჩვენი ძველი თეატრის ისტორიაში, რომ ვერც ერთი მკვლევარი ამ თეატრის წარსულისა მას გზას ვერ აუქცევს.

მოყოლებული 1879 წლიდან, მის პიესებს დიდად საპატიო ადგილი ეჭირა ქართული თეატრის რეპერტუარში. ჩვენს წარჩინებულ არტისტებს მეტისმეტად უყვარდათ ეს პიესები, რადგანაც განუსაზღვრელ გასაქანს ჰპოვებდნენ მათში თავიანთ ნიჭისა და ოსტატობის გასაშლელად"[3].

უპირველესად გ.სუნდუკიანის პიესების მძაფრი სიტუაციური კონფლიქტები და ცხოვრებისეული სიმართლის განსაკუთრებული მიგნების უნარი იზიდავდა თეატრს. სრულიად სამართლიანად გვესახება ვ.გუნიას მოსაზრება, რომ "მის /გ.სუნდუკიანის – ნ.ა./ პიესებს დაუღალავი შრომა, საოცარი მეცადინეობა, ცხოვრების უტყუარი ცოდ-

---

1 ა რ ვ ე ლ ა ძ ე ბ., გაბრიელ სუნდუკიანი და ქართული სინამდვილე, თბ., 1976.
2 ს უ ნ დ უ კ ი ა ნ ი გ., პიესები, თბ., 1950, გვ.ჟ.
3 ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი ი., თეატრალური პორტრეტები, ნარკვევები მუსიკაზე, თბ., 1972, გვ.255.

ნა და დაწყებული საქმის დაბოლოება ეწყობა"[1].

ცხოვრებაზე, საზოგადოებაზე დაკვირვების განსაკუთრებულ თვისებას აღნიშნავს კ. ყიფიანი გ.სუნდუკიანის მოღვაწეობის 30 წლის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვაში: "ტიპებს, რომლებიც თქვენ მიერ არიან გამოყვანილი, ჩვენ ყველანი ვხვდებით ჩვენი ცხოვრების გზაზე ყოველ ნაბიჯზე, მათ ვხვდებით ახლაც, დღესაც კი, მაგრამ არცერთი ჩვენთაგანი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, სანამ თქვენ არ გაასხვულეთ ისინი თქვენს დრამებსა და კომედიებში და სანამ ამით თვალი არ გაგვიხილეთ ჩვენს გარემოებაზე..."[2]

გ.სუნდუკიანის დაკვირვებისა, ცხოვრებისა და ადამიანის შინაგანი სამყაროს კვლევის უნარზე მიუთითებს ა. წერეთელიც: "რომელი პიესაც არ უნდა აიღოთ იმისი /გ.სუნდუკიანის – ნ.ა./, ყველგან თქვენ უხვად პოვებთ გონებისა და ზნეობის საზრდოსა და წყაროს, ყველგან ჩაგახედებთ ის თქვენს და საზოგადოების გულს, ზნეობასა და ქცევაში... ის მიიღწევს თავისი ამოცანების ცხოვრებაში გაყვანის ნამდვილი აწონილი ცხოვრების მოვლენებათა ჩვენებით, აწონილი ცხოვრების ნაყოფის შესწავლით და გარჩევით"[3]

ამრიგად, ცხოვრებისეული სინამდვილის ცოდნა, დაკვირვების უნარი, ადამიანის შინაგანი სამყაროს კვლევა, საზოგადოებრივ ყოფაში ტიპური მოვლენების მიგნება, კონფლიქტური სიტუაციებისა და ზედმიწევნით ცოცხალი, ნაცნობი ხასიათების შექმნა არის ის თვისებები, რითაც გამოირჩევა გ.სუნდუკიანის პიესები. ამ ნიშნით იმსახურებენ ისინი დასისა და ფართო საზოგადოების ინტერესს.

მნიშვნელოვან ფაქტად მიგვაჩნია აგრეთვე ის, რომ გ.სუნდუკიანის კვლევის ობიექტი უპირველესად გახდა თბილისელი მოქალაქე,

---

1 გაზ. "ივერია", 1886, N44.

2 ციტირებულია წიგნიდან: გ.სუნდუკიანი, პიესები, გვ. II.

3 გაზ. "ივერია", 1901, N92.

ყარაჩოხელი, კინტო და უკვე საკმაოდ მომძლავრებული სოვდაგარობა და მევახშეთა ხასიათები. მისი პიესების პერსონაჟები არიან ჩვეულებრივი მოკვდავნი, ისინი, ვინც შეადგენდნენ საზოგადოების უმეტესობას. ამ მხრივ, გ.სუნდუკიანი უახლოვდება გ.ერისთავის მემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს და, ამიტომაც მისი მხატვრული აზროვნება ასე ორგანულად შეერწყა ქართულ საზოგადოებრივ აზრს, რომლის განუყოფელ ნაწილს ქართული თეატრი წარმოადგენდა. გ.ერისთავის თეატრის მხატვრულ აზროვნებას ახალ ხარისხში ავლენ-და აღდგენილი ქართული თეატრი, ამიტომაც გ.სუნდუკიანის, როგორც მოაზროვნისა და დრამატურგის, მხატვრული მეთოდი აღნიშნული თეატრის მიმართულების ახლობელი აღმოჩნდა. გ.სუნდუკიანი აღდგენილი ქართული თეატრის მსახიობთა თანამოაზრე გახდათ არამარტო როგორც მოქალაქე, არამედ წმინდა შემოქმედებითი მისწრაფებებითაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივი მოკვდავის, ე.წ. "პატარა ადამიანის" ცხოვრების ასახვა და კვლევა წამყვან ტენდენციას წარმოადგენდა XIX საუკუნის II ნახევრის მხატვრულ აზროვნებაში.

რეალიზმის ფართო ცნების შემადგენელ ნაწილს, როგორც ცნობილია, სწორედ სინამდვილის კვლევა, პის.კრიტიკა და ტიპური ხასიათების გამოხატვა წარმოადგენს. რადგანაც ცხოვრებაში არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული თვისებების მქონე, მაღალი იდეალებისათვის მებრძოლი, რჩეული გმირი იშვიათობას წარმოადგენდა, ამიტომაც, "პატარა ადამიანის" ყოფის, ზნე-ჩვეულებების, მორალისა და ჩვეობის ამოცანა ძირითადი საზრუნავი გახდა ამ მიმართულების მოღვაწეთათვის.

"პატარა ადამიანის" ცხოვრება თავისი ვნებებითა და მისწრაფებებით, მიზნებითა და იდეალებით, თავისი სოციალური სიმართლით თითქმის მეცნიერული სიმძაფრით გამოიკვლია ე.ზოლამ, გონ-

ნულმა ტენდენციამ თავის უკიდურეს გამომხატველობას სწორედ ე. ზო-ლას შემოქმედებითს მეთოდში მიაღწია.

სათეატრო ხელოვნებაშიც თვისებრივად ახალი ხარისხის შემცველი ეს ტენდენცია სათავეს იღებს ე. ზოლას მოძღვრებიდან, რომლის სცე-ნური გამომხატველი იყო ა. ანტუანი და მის მიერ დაარსებული თავი-სუფალი თეატრი. მან პირველი წარმოდგენა საზოგადოებას უჩვენა 1867 წლის 30 მარტს. აღდგენილი ქართული თეატრი ამ დროისათვის თავის მეორე სეზონს ითვლიდა და რეპერტუარში, გარდა პატრიოტული, გმირული, რომანტიკული პიესებისა, გააჩნდა გ. ერისთავის, გ. სუნ-დუკიანის, ა. ცაგარლის და სხვათა ნაწარმოებები[1].

ამრიგად, გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, გ. სუნდუკიანისა და ა. ცაგარლის პერსონაჟები არამარტო ქართული სინამდვილიდან არიან შექმნილი, არამარტო ცხოვრებისეული და ზუსტია მათს პიესებში ასახული მოვლენები, არამედ მათი შემოქმედებითი ხედვა სრულად გამოხატავს XIX საუკუნის II ნახევრის სოციალ-პოლიტიკურ ატმოს-ფეროს და შეესაბამება მისი დროის სულისკვეთებას.

სრულიად გასაგებია, რომ ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული ამ-გვარი მხატვრული აზროვნება განპირობებული იყო თვით ქართული სალი-ტერატურო აზროვნების მდიდარი ტრადიციებით.

რა თქმა უნდა, გ. სუნდუკიანისა და ა. ცაგარლის კომედიე-ბის მრისხანე კრიტიკა ფრანგული "Comedie rosse"-ს ადეკვატური ვერ იქნებოდა, მაგრამ სუსხიანი სინამდვილე აღნიშნულ დრამატურ-გებს მაინც შეულამაზებელი ფერებით გადაჰქონდათ ქაღალდზე, რაც მიგვანიშნებს, რომ საქართველოში იმხანად სალიტერატურო და სათე-ატრო აზროვნებაში იგივე პროცესები მიმდინარეობდა, რაც ევროპის

---

1 1879 წელს აღდგენილი ქართული თეატრის რეპერტუარი აღნუსხული აქვს ვ. გუნიას. იხ.: ვალერიან გუნია, კრბ. "ქართული თეატრის მოღვაწენი სასცენო ხელოვნების შესახებ", თბ., 1953, გვ. 10-11.

მონინავე ქვეყნებში.

ამრიგად, აღძენილი ქართული თეატრი თავისებურად ეხმიანება და თანამედროვე სალიტერატურო და საოპერო საშინაო ძირითად ტენდენციას. ამაც, როდესაც ამ პროცესთან დისტანცია აკვე გაჩნდა, შესაძლებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ა.ანტუანის საოპერო ესთეტიკა უდავოდ წეიცავდა რაციონალურ მარცვალს, რომელმაც ბევრად განაპირობა XX საუკუნის თეატრის მხატვრული ამრეკვნება, თუმცა უპირველესად გამოკვეთა და დაამკვიდრა თეატრში რეჟისორის შემოქმედებითი ავტორიტეტი.

სინამდვილისა და ადამიანის მინაგანი სამყაროს მეცნიერული სიზუსტით კვლევამ თვით სასცენო შემოქმედების ცვლილება გამოიწვია, რაც უპირველესად სპექტაკლის მზადების ფორმის შეცვლით უნდა დაწყებულიყო. ამიტომაც მიგვაჩნია აუცილებელ ფაქტორად ჩვენი კვლევისათვის ა.ანტუანის რეჟისორული ამრიგნების რამდენიმე ასპექტის გაბსენება.

როგორც ცნობილია, ა.ანტუანმა თავისი მხატვრული პროგრამა ჩამოაყალიბა 1890 წელს დასკვნებულ ბროშურაში, სადაც მისი საოპერო ესთეტიკის გამომხატველია ნაშრომი "თეატრის დირექტორის დღიურები", მოგონებები და მიმოწერა. ა.ანტუანი, როგორც შემოქმედი, ბოლომდე ერთგული დარჩა მისი მასწავლებლის ე.ზოლას მოძღვრებისა, ვინაიდან ახალი საოპერო ესთეტიკის დამკვიდრება თვისებრივად ახალი დრამატურგიის გარეშე მას შეუძლებლად მიაჩნდა.

ე.ზოლა კრებული "ექსპერიმენტული რომანი" ეხება დრამატურგიას და წერს, რომ ივი ელის ახალ ავტორებს, ახალ დრამატურგებს "მე ველი მათ უპირველესად იმისათვის, რომ სცენაზე გამოიყვანონ ცხოვრების სინამდვილიდან ამოკრებილი, შეცნობილად გააზრებული, სისხლხორცეული ადამიანი, ყოველგვარი სიცრუის გარეშე... მე ველი მათ, რათა გაშლევინონ გამოგონილი პერსონაჟები, სიკეთისა

სკეპტისა და ბორიკების სიმბოლოები, რომლებსაც არავითარი ღირებულება არ გააჩნიათ ადამიანის დოკუმენტური სტუსტიც გაიხატებისათვის"[1].

ა.ანტუანი, ეხება რა პარიზის სამ თეატრში თანამედროვე პიესების წარუმატებლობის საკითხს, იმოწმებს ე.ზოლას პოზიციას და აღნიშნავს: "რა ქნა უნდა, ახალი /ან განახლებული/ დრამისათვის საჭიროა ახალი ან განახლებული შესრულება; რა ქნა უნდა, ცხოვრებაზე დაკვირვებით ღრმავდება პიესების განსახიერება მეუძლებელია იმ, რითიც ათამაშებენ კლასიკურ პიესებს ან გამოსახავენ კომედიებს. რა ქნა უნდა, რომ ნებისიერ ამ თანამედროვე ადამიანთა ტყვეში, უნდა განთავისუფლდე ძველი ტვირთისაგან. რა ქნა უნდა, **სინწრფელით** აღსავსე პიესის თამაში საჭიროა **სიმარტივით**, ისევე, როგორც კლასიკური ხორცშესხმის ერის აუცილებელია **დეკლამაცია**, რადგანაც მასში პერსონაჟები უმეტესად აბსტრაქციაა, სინთეზია მატერიალური ცხოვრების გარეშე. რა ქნა უნდა, რომ პარიზელისა და ბიედერის პერსონაჟები ისეთივე ადამიანები არიან, როგორებიც ჩვენ ვართ. ისინი ციხე-სიმაგრეთა მსგავსი გარსაცების მკვიდრნი კი არ არიან, არამედ ჩვეულებრივი ოთახების ბინადარნი. ისინი ცხოვრობენ როგორც ჩვენ, ყუნწლებიან და ნაფურებიან ოთახებში, მაგიდის ირგვლივ და არა მოკარნახის კიბურთან, როგორც კლასიკურ რეპერტუარში. რა ქნა უნდა, მათ ისეთივე ხმა აქვთ, როგორც ჩვენ, მეტყველებენ ისევე, როგორც ჩვენ, მოკლე ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ფამილარული გამოთქმით, საჭიროა ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ენა და არა რიტორიკა და ჩვენი კლასიკოსებისთვის მაღალი სტილი"[2].

---

1 Э м и л ь Золя, Собрание сочинений в двадцати шести томах, т.24, М., 1966, с.350-351.

2 А н т у а н А. Дневник директора театра, М.-Л., 1936, с.160.

როგორც ვხედავთ, ე.ზოლას შემოქმედების კრიტიკას იზიარებდა ა.ანტუანი. ცდილობდა ცხოვრებისეული სინამდვილის სიზუსტით გადატანას სცენურ დანადგარზე, ჩვეულებრივი ადამიანის ყოფის დოკუმენტურ შექმნას სცენაზე. ამისათვის კი საჭირო მიაჩნდა ახლებური დრამატურგიის აღმოცენება, რომელიც ხელს შეუწყობდა მსახიობს დანამდვილევე ადამიანის ცხოვრების დოკუმენტური სიზუსტით გადმოცემისათვის.

ა.მილენსონი აღნიშნავდა: "მაინც რაში მდგომარეობს ანტუანის სასცენო რეჟისურის არსი?

ანტუანი უპირველესად მოითხოვდა მსახიობთა თამაშის რეჟისორისაგან, რაც შესრულების უბრალოებას გულისხმობს - ყოველგვარი "ტირილის", ხელოვნური "მანერულობის", მაყურებელთან კეკლუცობისა და სხვა ეფექტების გამოყენების გარეშე, მსახიობების სრული თავისუფლების მიღწევისათვის სცენაზე. მისთვის მთავარი იყო ისეთი შესრულება, როდესაც მსახიობისათვის არ არსებობდა მაყურებელთა დარბაზი"[1].

ანტუანის სასცენო რეჟისურა ძირითადად შემდეგ საკითხებს მოიცავს:

1. სინამდვილის ფოტოგრაფიული სიზუსტით ასახვა, "ცხოვრების სული ნაჭრის", ადამიანის "დოკუმენტური" სიზუსტით გადმოხატვა, სინამდვილის მეცნიერული კვლევა.

2. სრული გარდასახვის აუცილებლობა, გმირის ხასიათის ზედმიწევნით ზუსტი განსახიერება.

3. საუბარი სცენაზე და არა დეკლამაცია.

4. მსახიობური ამპლუის წინააღმდეგ გალაშქრება.

5. ხასიათის შექმნისათვის გადამწყვეტი არ უნდა იყოს მსა-

---

1 А н т у а н А., Упомянутый труд, с.XIX

ხიობის ფიზიკური მონაცემები, ძირითადი უნდა გახდეს მსახიობის ინტელექტი; ნიჭი მიმართული უნდა იყოს ხასიათის სიმართლითა და სიზუსტით გამოძერწვისაკენ.

6. მსახიობთა შესრულებაში ნიუანსის ფერადოვნების გამოყენება.

7. მსახიობური ინდივიდუალობის შენარჩუნება, ახალი ტექნიკით შეიარაღება.

8. ანსამბლური შესრულება.

9. დეკორაციის, კოსტიუმების, განათების, რეკვიზიტის პრობლემის ახლებური გადაჭრა.

10. ახალი სათეატრო შენობის პროექტის შექმნა.

11. მასობრივი სცენების საკითხის გადაჭრა.

12. რეჟისორის ავტორიტეტის დამკვიდრება რეჟისორ-დირექტორის თავისებური გამოხატულებით და სხვ.

აღნიშნული პრობლემების გადაჭრა, ე.ი. ახალი სათეატრო ესთეტიკის დამკვიდრება, უპირველესად, ითხოვდა ახლებურ დრამატურგიას, მსახიობის ახალი ტექნიკით შეიარაღებას და, ამდენად, სარეპეტიციო პრაქტიკის შეცვლას.

